

ისტორია

ქადაგისაბი,
მასონის
და მართლი
ცხადობის

საქართველოს
„ისტორიის
მაგა"

„თეთრი ბამი"
XII საუკუნის
„ტიტანია"

არსენა
მარაგდელი
(ტომ II)

მიხეილ ჯავახიშვილის
ისტორიული რომანი

3 ტემატიკა

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

უპველისი
ევროპისა
მასანისაზე
გუვნები

კათალი
სამოსაცი

საკანის
მისიანი:
აგასაცომ
ვეკუ
თანამედროვეთა
მოგონიაზე

მოგონიაზე

მხიარული
ამბაბი
„ივერიის"

პატიოჩას
მიზანი
უკანონოსობის
მიმართ



6



9



48



64



12



11



40

საჩივნი

ახალი ამბავი

კომპანია კვლავ გადასარჩევია..... 6

უძღველესი ეპროექტები შექანიანები

093266..... 8

თხუთმაშატაურებანი მოზაიკა იქსოს

სინაოლოს გამოსახულებაით 9

დინორავრების „კომპანია“ ჩინეთში 10

სირიის ქაგლები სავრცელებია..... 11

ხასიათის ბობჩაფიანები

საქართველოს „ისტორიის მაგა“..... 12

ჭარული მოხატვი

მოვრცები დიდი რომანის მარქიზან..... 20

საქართველოს საბოროს რეკონსტრუქციის ისტორიება

საქართველოს რეზაკანია

თვითმხილველის თვალით..... 26

საკართველო ეს მსოფლი

საკართველო უცხოელთა ფერები 34

ბაბუაზოვანი ხელიფიქანი

ეპიზოდები გრიგოლ I-ის ცემობრძანა 40

საკარის მუსიკი

აზესალომ ვეგუა: ზოგვა და მზია აქ

გინდრობებენ..... 48

აბესალომ ვეგუა თანაეპლოვეთა

მოგონებები 56

კარივითა მამაინული ბატუმი

ქართული სამოსელი 64

ახალი ამბავი

ბატონის ციხეს გადაარჩევნ



70



74



100



80



82



92



107

საქართველო

სისტემა	
აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი.....	70
საქონარ კასახომოვანი	
„თეთრი გემი“ – XII საუკუნის ტიტანები	74
ორალ ახავა	
ჩინგიზ ხანს დააყრობებაში კლიმატი	
დაქმარა.....	80
ამოკასხვი საილიონებანი	
რა ჰელოსებათ ტამაღიძერ რაინდებას?.....	82
ორალ ახავა	
ეგვიპტელი ჯარისპაცის 1800 ფლის	
ფერიძო.....	90
გვალის უმველესი რეცეპტი	91
საქართველოს ძეგლები	
გურაჯაანის შველაჭმილება	92
იაკვინის ვაზისანი	
კატლიურას ომი მთლიანი	
შპრაინისმავის.....	100
ცხოვრება	
ოთარ ერავინია: ერთ დღეს გაში-აჩუპად	
გავიღვიმე.....	107
xix-xx საუკანის ფინანსურული	
მხიარული ამგები „ივერიიდან“.....	111
„ისტორიის“ ბავშვებისთვის	
ცოდნის სამყარო	114
სკანდოლი	122

უკრნალ „ისტორიანის“ ქველი ნომრების შეძენა შეიძლიათ
 „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ԻՉԵՎՔԱՐԻՒՆ ԵՅԿԱՆ

ჩვენს ერთგულ მკითხველს „ისტორიანის“ კიდევ ერთი ახალი რეპრინის შესახებ გასურს ვესაუბროთ. ამიერიდან უურნალში ადგი-ლი დაეთმობა „მოსწავლის გვერდს“, სადაც დაიბეჭდება მოსწავლეთა გამოირჩეული ნამუ-შევრები. ჩვენი აზრით, ისტორიის პოქულარი-ზაციისთვის სკოლას განსაკუთრებული როლი ენიჭება. ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდა თაობა პირველად ეზიარება საშობლოს წარ-სულს. როგორც რომაელები იტყოდნენ, „ის-ტორია ცხოვრების მასწავლებელია“. ამდენად, გარდასულ ამბავთა ზედმიწევნითი გაცნობა მოზარდები მხოლოდ ქვეყნის სიყვარულს კი არ აღვივებს, არამედ მას დიდი პრაქტიკული და-ნიშნულება აქვს. ამიტომაც სკოლაში ისტორი-ის სწავლების გაუმჯობესება და წახალისება სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს საზრუნა-ვად უნდა იქცეს.

უკრაინი „ისტორიანი“ თავის მხრივ
შეცდება ამ მიმართულებით პრაქტიკული
ნაბიჯების გადადგმას. ამიერიდან, საუკეთესო
მოსწავლეთა ნაშრომებს მთელა საქართველო
გაეცნობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება
დაეთმობა მხარეთმცოდნეობით გამოკვლევებს.
მივმართავ ჩვენს ახალგაზრდებს – დაწერეთ
ნაშრომები თქვენი სოფლის, ქალაქის ისტო-
რიის შესახებ და გააცოცხლეთ საზოგადო-
ებისთვის ნაკლებად ცნობილი მოულენები.
ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია თქვენი კრიტი-
კული ხედვა. გამოსაქვეყნებელი თხზულება
შეირჩევა საგანგებო კომისიის მიერ. თუმცა
აქვთ უნდა ითქვას, რომ უკრაინი ყველა იმ
ახალგაზრდის სახელსა და გვარს გამოაქვეყ-
ნებს, რომლებიც თვითი ნაშრომს გამოაგზავნის
რედაქციაში. საქართველოს ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლებში (როგორც სახელმწიფო,
ასევე კერძო) ტრადიციადაა ქცეული ყოველწ-
ლიური სასკოლო კონფერენციების მოწყობა.
ვვიქრიბთ, „ისტორიანის“ ახალი წამოწება
ხელს შეუწყობს იმ მოსწავლეთა წახალისებას,
რომლებიც სკოლის მერხიდანვე ქმნიან საინ-
ტერესო გამოკვლევებს ჩვენი ქვეყნის წარსუ-
ლის შესახებ.

*T-85
Aug 25*



„ისტორიანის“ ახალი ფართულება ზავანა-ლისაგან იმ მოსაზღვრებელს, რომლებიც სკოლის მართვის დანართი ქმნიან საინტ-ეროვნ გამოყვალებელს ჩვენ კვეყნის წარსულის შესახებ

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

რედაქტორი გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა

ନେବୁ ତଥାର୍ଥିକ୍ସବିଗନ୍ଧ
ସାର୍ଵଜ୍ଞାନପ୍ରେସର ପ୍ରକଳ୍ପରେ
ଅର୍ଗ୍ଯୁଲିଶନରେ ଦୂରମାତ୍ରମେ ଉପରେ
ନିର୍ମାଣ କରିଛନ୍ତି ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା
ମହାନ୍ତିର୍ମାତ୍ରମେ ଉପରେ
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

კორექტორები:
ნანა მაჭუგარიან
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ქურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მას კონკრეტულ მომენტის

ეურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა-ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრამედიის“ ცხელი საზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge



პომპეი კვლავ გადასარჩენია

პომპეიში, ბოლო ერთი თვის განმაფლობაში ჯერ იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესული გვნერას ტაძრის კედელი ჩამოიშალა, შემდგვ ნეკროპოლის, მოგვიანებით კი დამთფლიერებლებისთვის დახურულ ზონაში ორმეტრიანი კედელი ჩამოწეუ. სპეციალისტთა განმარტებით, ნგრევა გადაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია.

ბოლო სამ წელიწადში ქალაქ-მუზეუმში ნგრევა რამდენჯერმე განმეორდა. არქეოლოგები შიშმბენ, რომ სახსრების უკმარისობა იტალიის კულტურულ მემკვიდრეობას საფრთხეს უქმნის და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, უძველესი საგანძური შესაძლოა სრულებით განადგურდეს. კიბილექსის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობის დაწყება კი მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებისა და იუნესკოს დაჭინებული თხოვნით მოხერხდა. პროგრამის ბიუჯეტი 105 მილიონი გურია.

ეს თანხები ქალაქ-მუზეუმის რეაბილიტაციას მოხმარდება, რომლის საერთო ფართობი 66 ჰექტარია. აქ 1500-მდე შენობაა. ფრესკების საერთო ფართობი 20 ათასი კვმ-ია, მოზაიკისა კი 17 ათასი. ამას გარდა, უძველესი ქალაქის ნაწილი, 22 ჰექტარი ჯერ კიდევ მიწის ქვეშაა. ამ დრომდე პომპეის მხოლოდ 80%-ია გათხრილი.

არქეოლოგების შეფასებით, პომპეი მსოფლიოს უძველესი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ქალაქ-მუზეუმში




ყოველწლიურად დაახლოებით 2,5 მილიონი ტურისტი ჩამოდის.

რომის იმპერიის ულამაზესი ქალაქი ვულკანი ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ ძვ.წ. 79 წელს განადგურდა. ქალაქის ნანგრევები XVII საუკუნეში შემთხვევით აღმოაჩინეს. ძლიერადაც წვიმებმა 2009 წელს ქალაქის კედლის 8 კვადრატული მეტრის მონაკვეთის ჩამოშლა გამოიწვია. ერთი წლის შემდეგ კი დაინგრა გლადიატორების ცნობილი სახლიც.

მომზადებულია „იტარ-ტასის“ მიხედვით





დისტენით თვალების მიუხედავად,
ძველ ვეროპელებს შევი ან მუქი
ფაფისფერი თმა და მუქი კანის
ფერი ჰქონდათ

მეცნიერებმა გენეტიკური
ანალიზით შეძლეს
დადგენა, როგორ
გამოიყურებოდნენ
თანამედროვე ვეროპის
ტერიტორიაზე მცხოვრები
უძველესი ადამიანები.
დაახლოებით 7 ათასი
წლის წინ მცხოვრებ
პირველყოფილ
ადამიანს, რომელსაც
შემგროვებლობითა და
ნადირობით გაჰქინდა
თვი, მუქი ფერის კანი
ჰქონდა.

უპველესი ევროპელები მუქანიანები იყვნენ

ამ აღმოჩენამ გააოცა მეცნიერები, რადგან
მათი უძრავლესობა მიიჩნევდა, რომ „ძველი
ვეროპელები“ ოუთრკანიანები იყვნენ. მოუ-
ლოდნელი შედეგის ახსნას ბარსელონას ევრ-
ოლუციური ბიოლოგიის მეცნიეროთა ჯგუფის
ხელმძღვანელი კარლეს ლალუესა ფოქსი
შეეცადა. „ღია კანი ევროლუციის შედეგად
გაცილებით გვიან გაჩნდა, ვიდრე ვერაუდობ-
დით“, — განაცხადა მან.

პირველყოფილი ადამიანის ორი ჩონჩხი,
რომლის გამოკვლევის საფუძველზეც ეს დას-
კენა გაეთდა, ესანათის ჩრდილო-დასავლეთ-
ში, მთან ზეობაში 2006 წელს აღმოჩინეს. ეს
ჩონჩხები სიცივისა და სიბრნელის წყალობით
კარგად არის შენახული. გენეტიკური ანალი-
ზისთვის საჭირო მასალა სპეციალისტებმა
ერთ-ერთის კბილიდან აიღეს.

კვლევებით ასევე გაირკვა, რომ ძველი ვერო-
პელები გენეტიკურად ყველაზე ახლოს შვედებ-
თან და ფინელებთან დგანან. თუმცა, ცისფერი

თვალების მიუხედავად, ძველ ვეროპელებს შევი
ან მუქი ფაფისფერი თმა და მუქი კანის ფერი
ჰქონდათ მეცნიერები კი ვარაუდობდნენ, რომ
უძველეს ვეროპელებს დაახლოებით 45 ათასი
წლის წინ, აურიკიდან მიგრაციის შემდგე მა-
ლვე გაუხდათ კანის ფერი და.

ლალუესა ფოქსი ამბობს: „მიიჩნევდნენ,
რომ კანის გალიავება აფრიკიდან ჩრდილოეთ-
ში განსახლებისას მოხდა, სადაც ულტრაი-
ისფერი გამოსხივება გაცილებით სუსტია.
ადამიანის კანში D ვიტამინის სინთეზიც
ამიტომ ხდება, კანი სწრაფად იცვლის ფერს
და დიავდება. აშკარაა, რომ ასე არ ყოფილა.
ადამიანები, რომელთა ჩონჩხებსაც გენეტი-
კური ანალიზი გაუკეთდა, დაახლოებით 40
ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ, თუმცა მათი
კანი არ იყო ღია“. მეცნიერებმა ასევე დაად-
გინეს, როგორ ხდებოდა შემგროვებლობითი
მეურნეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლა.
მომზადებულია BBC-ის მიხედვით

თეჯოთმეტსაუკუნოვანი მოზაიკა იქსორს სიმპოზიუმს გამოსახულებით



არქეოლოგებმა ისრაელში 1500 წლის ბიზანტიური ეკლესიის იატაქზე აღმოაჩინეს მოზაიკა იქსორს სიმბოლოთ. როული მოზაიკური გამოსახულება ჩიტებით არის გარშემორტყმული.

ანტიკურ მოზაიკას, თელ-აფიის სამხრეთით მდებარე სოფელ ალუმაში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიაკვლიეს. აღმოჩენილი ბაზილიკა აშენებულია გზის პირას და ეკუთვნოდა ბიზანტიურ დასახლებას. ახლომდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები თე-

მები მას სალოცავად იყენებდნენ. არქეოლოგ დაციდ ეისენბერგ დევენის თქმით, ეკლესიის ძირითადი ნაწილი გათხრილია.

„ბიზანტიურ სოფლებს, ჩეულებრთვ, ჰერინდათ ეკლესია, თუმცა ამ ბაზილიკის ზომა და მდგრადი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს“, — აცხადებს დევენი

კონსერვაციის შემდეგ მოზაიკას მუზეუმში გადაიტანენ.

მომზადებულია
LiveScience-ს მიხედვით

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზვა...)

კალიტრა მედია გისმენთ!..

დარეკეთ: 219 60 13

მოგვცერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

დინოზავრების „კომპანი“ ჩინეთში

მეცნიერებმა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში 130 მილიონი წლის წინ წარმოქმნილი დინოზავრებისა და ფრინველების „სასაფლაოს“ საიდუმლო გაშიფრუს. პალეონტოლოგები მოიძიენ დასკვნამდე, რომ ცარცულ პერიოდში ამ ტერიტორიაზე ვულკანი ამოიფრქვევა დაახლოებით ვეზუვის ტიპისა და სიძლიერის იყო, რომელსაც პომპეისა და პერკულანუმის დაღუპვა მოჰყვა.

დინოზავრები და ტერიტორიის სხვა ბინადრები ვულკანური ფერფლის ქვეშ დაიმარხნენ და მათი ნაშთები შესანიშნავად არის შემორჩენილი. ჩინელ პალეონტოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი, ნანკინის უნივერსიტეტის პროფესორი ბაიუ ცზინი ამბობს, რომ მეცნიერები ლიაონინის პროვინციაში დინოზავრების ამ უზარმაზარი სასაფლაოს საიდუმლოს ამოხსნას დიდი ხანია ცდილობდნენ.

დინოზავრების გარდა აქ უკვე გამქრალი ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და თევზების არაერთი სახეობის ნაშთებია შემონახული. ტერიტორიაზე ამ თვალსაზრისით იძღვნად მდიდარია, რომ ცარცული პერიოდის პალეონტოლოგიური ისტორიის აღქმაში რევოლუცია მოახდინა.

ტყეები და ტბები, სადაც ეს ცხოველები ბინადრობდნენ, ვულკანებით იყო გარშემორტყმული. ძლიერი ამოფრქვევის შემდეგ კი მათ თავს გაზის ძლიერი ნაკად, ფერფლი და ქვების წვიმა დაატყდათ. ცხოველები, ფრინველები და წყლის ბინადრები მყისიერად განადგურდნენ. შემდეგ კი ისინი ვულკანურმა ფერფლმა დაფარა.



ღოქტორ ბაიუ ცზინის განმარტებით, „სასაფლაოს“ ტერიტორიაზე შემორჩენილი დინოზავრების, ფრინველებისა და თევზების ნეშტების მდგომარეობა მოწმობს, რომ ისინი ზუსტად ისე იტანჯებოდნენ უპაერობით და ეწვოდათ კანი, როგორც აღამიანებს პომპეიში.


სპეციალისტთა განცხადებით, ცარცული პერიოდის ამ მონაკვეთში, ანუ დაახლოებით 130 მილიონი წლის წინ, ამგვარი ამოფრქვევა სულ რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ ისინი მეტად ძლიერი იყო.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

ცხოველების ნეშტი ვულკანურმა ფერფლმა კარგად შემოინახა



ქალღმერთ
ბელას ტაძარი
პალმირაში
— მსოფლიო
კულტურული
მემკვიდრეობის
ძეგლი



მეფე ზიმრილიძის ფირფიტა
შუმერულ ქალაქ მარიდან



ქალაქ ებლის დაზიანებული
ნანგრევები

၂၀၁၀ ခုနှစ်၊ ၂၀၁၁ ခုနှစ်၊ ၂၀၁၃ ခုနှစ်

კუროკავშირი სირიაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ძარცვისა და ხერევის პროცესის თავიდან ასაცილებლად 2,5 მილიონ კუროს გამოყოფეს. იუნესკო გქნერალური დირექტორის ასისტენტის, ფრანჩესკო ბანდარინის განცხადებით, ეს თანხები სირიის ტერიტორიაზე განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი ძეგლების შესახებ ინფორმაციის შეკროვებასაც მოხმარდება.

ବ୍ୟାକରଣମୂଳିତ୍ୟ ସାମର୍ଗ୍ସାଲ୍ଲାଜ୍ମ ଧାପିରୀକ୍ଷାବିନ୍ଦୁରେ ହେଉଥିଲା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

სწორედ პალმირაშია ქალღმერთ ბელას უძველესი სამღოცველო, რომელიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძრალთა ნუსაშია.

ფრანგებსკი ბანდარინის განცხადებით, ამ ძეგლების უმრავლესობა საკრძნობლად დაზიანდა, ხოლო პაპმა დაინჯრა.

სირიიდან უძეველესი არტეფაქტების გა-
ტანის პროცესის შესახერებლად იუნესკომ
მეზობელი ქვეყნების პოლიციისა და საბაჟო
სამსახურის თანამშრომლებს საგანგებო ტრუ-
ნინგები მოუწყო. ბანდარინის განმარტებით,
ამის წყალობით, მართალია მცირე რაოდე-
ნობით, მაგრამ მოპარული არტეფაქტების
ამღადება მაინც მოხერხდა.

მომზადებულია
archaeology.org-ის მიხედვით

Հայագիտական հանձնություն



საქართველოს „ისტორიის მამა“

0326 ჭავახიშვილი –
მოქალაქე, მცნობი,
პიროვნება

„უსლუგარულოდ და უნებისყოფოდ,
თავაგანწირულებისთვის შხაობის გარეშე
არც ერთი დიდი საქმის გაკეთება არ
შეიძლება. მით უმეტეს, მეცნიერებაში,
რაღაც მეცნიერის ზნეობრივი
პასუხისმგებლობა დიდა და ნივთიერი
კეთილდღეობის თვალსაზრისით —
მბიძე, ამიტომაც მას ეველა სიმძლეთა
დასაძლევად ხსიათის განსაკუთრებული
სიმტკიცე ესაჭიროება“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს,
ადამიანს, ვის სახელსაც ატარებს:

თბილისის ერთ-ერთი ქუჩა, სამეცნიერო
დაწესებულება (ისტორიის ინსტიტუტი) და საქართველოს მთავარი უნივერსიტეტი,
ხოლო მისი პირტულები გამოსახულია ეროვნული ფულის ნიშანზე. აღბათ
დამტანხმებით, რომ ასეთი რამ საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ
ივანე ჯავახიშვილის სახელი საქართველოში თითქმის ყველასთვის ცნობილია,
გფიქტობთ, მაინც უზინტერესო არ უნდა იყოს, რით არის განპირობებული ესოდენი
პატივი. ამიტომაც მისი ცხოვრების კონკრეტულ, ქრონილოგიურ ფაქტებზე მხოლოდ
იმდენ ხანს შეტერდებით, რამდენადაც ეს მთლიანი სურათისთვის არის საჭირო.
ძირითადი თემა კი იქნება: ივანე ჯავახიშვილი — მოქალაქე, მეცნიერი, პიროვნება.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 აპრილს (ახალი სტილით 23 აპრილს). გა-
მოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებში ხშირად
შევდებით ამბავს, როგორ ავლენდნენ ბავშ-
ვობიდანვე განსაციფრებელ ნიჭს, როგორ
ჰქონდათ არჩეული პროფესია თავიდანვე და
სხვ. უმეტესად ეს ლეგენდებია, იმ გულუბ-
რყვილო სურვილიდან გამომდინარე, რომ
გამოჩენილი პიროვნება თავიდანვე არაჩე-
ულებრივი უნდა იყოს. მაგრამ ზოგჯერ ინ-
ტერესი მართლაც აღრე კლინდება და ჩვენს
შემთხვევაშიც ასე იყო.

„გიმნაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვა-
რელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლო-
ბა, ისტორია და ფილოსოფია შეაღენდა.
მთელს ჩემს დროს სამეცნიერო წიგნებისა
და უცნალების კითხვას ვანდომებდი და
თანაკლასელებზე მეტად გატაცებული ვიყავი
მეცნიერებით“.



1895 წლის აგვისტოდან ივანე ჯავახიშ-
ვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმო-
სავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქარ-
თულ-ირანული განყოფილების სტუდენტია.
„მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა,
ამ დარგში კი არავინ მუშაობდა. ამიტომ მე
თვითონ უნდა მეცანა გზის გაკავება“: 1901
წლის 27 იანვარს ივანე ჯავახიშვილი აბარებს
გამოცდებს და ხდება ქართული სიტყვიერების
მაგისტრანტი.

1906 წლის 30 ოქტომბერს ივანე ჯავახიშ-
ვილი ჯვარს იწერს ანასტასია ჯამბაკურ-
ორბელიანზე.

ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა პეტერ-
ბურგში 1917 წლის აპრილამდე, მის სამშობ-
ლოში დაბრუნებამდე გრძელდება. იწყება
ბრძოლა ქართული უნივერსიტეტის დაარ-
სებისთვის, რაც, როგორც ცხობილია, 1918
წლის 26 იანვარს დასრულდა.

ამ დროიდან 1919 წლამდე ფანე ჯავაშიშვილი სიბრძნისტეტეველების ფაკულტეტის დეკანია, შემდეგ კი — უნივერსიტეტის რექტორი, ამავე დროს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე. 1926 წლიდან, რექტორობიდან გათავისუფლების შემდეგ განაგებს საქართველოს ისტორიის კათედრას. 1931 წლის მაისში კი საბოლოოდ აგდებს უნივერსიტეტიდან.

1931 წელი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კონსულტანტი.

1939 წელი — არჩეულია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1940 წლის 18 ნოემბერი — ფანე ჯავაშიშვილი გარდაიცვალა საჯარო ლექციის დროს.

„რაინდი უნივერსიტეტისა“

1900 წლის 14 ოქტომბერს საფუძველი ჩაიგეარა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობას. ამავე წლის 24 ივლისის „ივერია“ წერდა: „ახლო მომავალში აიგება განათლების ტაძარი, რომლის ბადალი ჩვენს ქალაქში არ იქნება. ეს ჩვენი სკოლა ისეთი დიადი რამ იქნება, რომ უნივერსიტეტსაც კი დაიტვის ღვთით!“ ჩვიმდეტი წლის შემდეგ, 1918 წლის 26 იანვარს სწორედ ამ შენობაში გაისხნა თბილისის უნივერსიტეტი. ამასთან დაკავშირებით მოსე ჯანაშვილი წერდა გაზეთ „საქართველოში“: „...ჯავაშიშვილის მხნეო-

ბამ ყოველივე დაბრკოლებას სძლია და ახალი ლაშპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცა ეროვნული დიდების ტაძრად, მისი უნივერსიტეტის სავანედ „... მაგრამ ამ დღეს წინ უძღვდა მრავალწლიანი უმძიმესი შრომა. რა ეღობებოდა ამ იდეის განხორციელებას? „ქართველთა საკმაო ნაწილმა ალარ იცოდა ხეირიანად ქართულად ლაპარაკი.რასაკვირველია, მასა განაგრძობდა ამ ენაზე ლაპარაკს, მაგრამ მრავალთათვის ეს ენა უკვე დედა ენა აღარ იყო“. აქედან გამომდინარეობდა საზოგადოების საგრძნობი ნაწილის გულგრილობა და ურწმუნობა, რომ ეროვნული უნივერსიტეტი შეძლებდა მეცნიერების ამჟამულებებს ქართულ ენაზე. რა უნდა გაკეთებულიყო, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი საქმე გამოსწორებულიყო? ამ მიზნით 1907 წელს პეტერბურგში, ფანე ჯავაშიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული სამეცნიერო წრე, სადაც მოხსენებები იწერებოდა ქართულად, მსჯელობა ქართულად წარმოებდა. შედეგად ახალგზრდობამ განივითარა ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ჰქონდა. შეძლებუნდა გამორკვეულიყო, არსებობდა თუ არა სამეცნიერო ძალები მომავალი უნივერსიტეტისთვის. ამ მიზნით მოქწყო გამოკვლევა. შეძლებუნდა უაღრესად იმედის მომცემი იყო. 1917 წლის 1-ელ მარტს, პეტეროგრადში, ფანე ჯავაშიშვილის ბინაზე შედგა თაობირი, სადაც

თბილისის სათავადაზნაურო
გიმნაზია





**მოსე
ჯანაშვილი**



**პეტრე
მელიძეშვილი**

გადაწყვდა, რომ „აუცილებლად უნდა გვეკადა, კერძო სახულებლის სახით მაინც გაგეხსნა უმაღლესი სახულებელია“. 12 მაისს უკვე თბილისში გაიმართა საჯარო სხდომა, სადაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტის დამსმარებელი საზოგადოება, რომელსაც მატერიალური სახსრების შექრება უნდა ეთავა. „მაგრამ შეძლება, როგორც ქართველ საზოგადოებაში არაერთხელ მომხდარა, ეს აღფრთვობანება როგორდაც განელდა. ... საქმე შესაძლებელია კატასტროფით დამთვრებულიყო და გამკილევი ჩევნში ბეჭრი მოიძებნებოდა მაშინ...“. აი, ასეთ სიტუაციაში, 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის სხენების დღეს, გაიხსნა უნივერსიტეტი. ამ დღის ხუთი წლისთვეზე გაზითი „ტრიბუნა“ წერდა: „მიუხედავად დიდი სურვილისა და მოწადინებისა, ყველანი მაინც ნაჩეარებად თვლიადნენ უნივერსიტეტის გახსნას. მხოლოდ ერთადერთი იყანე ჯავახიშვილი წინ აღუდგა უნივერსიტეტის გახსნის შეგვია-

ნებას და თავისი ფოლადისებური სიმტკიცით წინ წარუძღვა“.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს აქტი ბევრად აღემატება ერთი, ცალკე აღებული, თუნდ პირველი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მნიშვნელობას. უნივერსიტეტის დაარსებით საქართველოში საფუძველი ჩაუყარა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მთელ სისტემას; ვინაიდან პრაქტიკულად ყველა უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო ინსტიტუტი უნივერსიტეტის წიაღიდან არის აღმოცენებული.

თავიდან ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდათ სწავლა და მუშაობა. პროფესორის ხელფარი გიმნაზიის მასწავლებლის ხელფასის ნახევარს უდრიდა. პეტრე მელიძიშვილი საერთოდ უსასყიდლოდ ასრულებდა რექტორის მოვალეობას. არ იყო გათბობა, მაგრამ როგორც იგონებენ, არც ერთი ლექტორი პალტოთ არ შესულა ლექციაზე. 1919 წლის 11 ოქტომბერს პეტრე მელიძიშვილი გადადგა და რექტორად იყანე ჯავახიშვილი აირჩიეს. სხვა კანდიდატურა არც ყოფილა. ჩამოთვლაც კი ძნელია იმ უზარმაზარი დატვირთვისა, რაც იყანე ჯავახიშვილს დააწეა მხრებზე. პედაგოგიური, სამეცნიერო და აღმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა, სამსედრო ტერმინოლოგიის შემდგენელ კომისიაში მუშაობა, რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა იოსებ გიორგიშვილისათვის ერთად, სატერმინოლოგიო და სახელმძღვანელოების შემთახვევი კომიტეტის თავმჯდომარეობა და კიდვე სხვა მრავალი საქმე. მიუხედავად მასა, მას არასოდეს გაუცდენია ლექცია. არც დატვირთვა შეუმცირება.

ალბათ თქვენთვისაც უკვე ცხადი გახდა, რომ მოსე ჯანაშვილის სიტყვებს, რითიც თხრობა დავიწყეთ, სიხარულით გამოწვეული აღტაცების გარდა რეალური საფუძველი პქნენდა... და ასეთივე ჰუშმარიტებაა პეტრე მელიძიშვილის ეს სიტყვები: „იყანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამარსებელი, სულისხამდებელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა. აქ მას ვერავინ შეტოქება და შეეხიარება“.

მარიამ გორგაძე

ძალიან დიდია იყანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მექანიზმებისა. „ქართველი ერის ისტორია“ — ხუთი ტომი. „ქართველი ერის


ისტორიის შესავალი“: პირველი წიგნი — „საქართველოს, კუთხასისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“, მეორე წიგნი — „ქართული და კუთხასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“.

კაპიტალური ნაშრომი — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“ ხუთი წიგნი: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, „ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“. „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ — ორი წიგნი. „ქართული სამართლის ისტორია“ — სამი წიგნი. „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“. „ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორია“: პირველი წიგნი — „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, მეორე წიგნი — „საფეხულ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი“, მესამე წიგნი — „ტანისამოსი, ქსოვილები, ხელსაქმე“, მეოთხე წიგნი — „საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე“. ეს მხოლოდ ფუნდამენტური ნაშრომებია. გარდა ამისა, საკმალდ ბევრია მცირე მოცულობის, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა და ნარ-კვევი. ეს მშრალი ჩამონათვალი იმისთვის

„რა დიდი ღვწელიც უნდა მიუძღვდეს ერს წარსულში, თუ იგი აწყობი არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“.

გვჭირდება, რომ უფრო ნათლად გამოჩნდეს მისი საქმიანობის მოცულობა და მასშტაბი. ცხადია, ერთ წერილში შეუძლებელია ყოველი ნაშრომის განხილვა ან დახასიათება. მე მხოლოდ ვეცდები წარმოდგენა შეგიქმნათ ივანე ჯავახიშვილის მუშაობის მეთოდზე, მის მეცნიერებულ პოზიციაზე. პრინციპები, რომლებიც იყანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვწეობის ერთგვარ პროგრამად შეიძლება ჩაითვალოს, სრულიად ნათლად არის ჩამოყალიბებული 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „მამულიშვილობა და მეცნიერება“. „ყოველ განათლებულ ერისთვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; რასაკვირველია, უტევუარი, ჟემარიტი ისტორია და არა გაზიადებული, ყალბი. გაზიადებული ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰქონდებოდეს, ვისაც პსეურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააქმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების

ჯანე
ჯავახიშვილი
სამუშაო
მაგიდასთან





ექვთიმე
თაყაიშვილი



კატა
აბაშიძე

წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰყიქრობს. ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, რადგან მას არ უნდა დავიწყდეს – „რა დიდი ღვწლიც უნდა მიუძღვდეს ერს წარსულში, თუ იგი აწმობში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“.

„ქართველი ერის ისტორია“ ყველაზე ცნობილი და პოპულარული ნაშრომია ივანე ჯავახიშვილისა. მთელი მისი ცხოვრების შრომა და შესაძლოა, ამიტომაც, ქართველი კაცის წარმოდგენაში მის სახელთან არის შერწყმული.

აქ მცირე ხნით შევჩერდეთ, რადგან აუცილებლად უნდა გავიხსნოთ ივანე ჯავახიშვილის ერთი ნაშრომი, რომელმაც თავის ღროწეც ერთგვარი ვნებათა ღელვა გამოიწვია და ზოგჯერ დღესაც არა კეთილსინდისიერი სპექულაციის საგნად იქცევა ხოლმე. ეს გახლავთ „ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს ე.წ. შატბერდისეულ ცხოვრებას შორის არის; და შედეგად ზოგიერთი ფაქტის ეჭიქვეშ დაყინებამ. მაგალითად, შატბერდისეულ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მოციქულთაგან საქართველოში არავინ ყოფილა და წმინდა ნინო პირველია, ვინც ქრისტიანობა იქადაგა და სხვ. ჩემი მიზანი არ არის ამ ნაშრომის გარჩევა. მოკლედ ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა მოიხსენება, თუ გავმიჯნავთ მეცნიერულ მიღღომას რწმენისგან. ეს ნაშრომი კი წმინდა მეცნიერული ანალიზია. ამ ნაშრომში იგნე ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტის ოქროს მედალი მიიღო – ერთადერთი ჯილდო, მიღებული სიცოცხლეში. რაც შექება რწმენას – ქრისტიანული სწავლება იგნე ჯავახიშვილისთვის იყო არა შეგონებათა კრებული, რომელიც ადამიანმა ხშირად უნდა იმეოროს სხვის გასკონად და დასარიგებლად, არამედ ცხოვრების წესი. მაგრამ დავუბრუნდეთ „ქართველი ერის ისტორიას“.

„ქართველი ერის ისტორია“ ხშირად ისეთ წყაროებზე მაქვს დამყარებული, რომლებითაც წინად არ სარგებლობდნენ ხოლმე და სამაგიეროდ, მე არ მიხლმძღვანელნია ისეთი წყაროებით, რომლებზედაც განსაკუთრებით დამყარებული იყო წინად საქართველოს უძველესი ისტორია. ამის გამო არც გასაკვირებელია, თუ რომ ჩემი შეხედულება ჩვენი ერის წარსულზე ჩვეულებრივ შეხედულებისაგან არ ხებითად განირჩევა.“

წიგნმა უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში. „იგნე ჯავახიშვილმა ისეთი საჩუქარი უძღვნა ქართველ ერს, რომელიც წარუხოცელ კალს დაასკამს მთელ ჩვენს აწმოსა და მომავალს. მარტო მეცნიერი როდი კმაროდა – კეთილშობილი და თავგადადებულად სამშობლოს მოყვარული მამულიშვილი იყო საჭირო, რომ ასეთი წიგნი მოეცა, მოეცა ასეთი ცხოველი სურათი წარსულისა“ (კიტა აბაშიძე). არ დარჩენილა საქართველოს ისტორიისა და ისტორიის დამხმარე დარგების არც ერთი საკითხი, რო-

მელსაც ივანე ჯავახიშვილი არ შეხებოდეს. „გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქართველი ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისთვის მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად ეგრედწოდებული დამხმარე სამეცნიერო დარგების — ქართული ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიისა, დიპლომატიკისა, ქრონოლოგიისა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესწავლა და შექმნა იყო აუცილებელი“. პრინციპული სიახლე, რაც ივანე ჯავახიშვილმა შემოიტანა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, გახლავთ ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი. მიუხედავად ამისა, თავად ძალიან მორიდებულად აფასებს საკუთარ შრომას. „ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს. ეს მე თითონ სხვებზე უკეთსად ვიცი. მაგრამ მე ისეთ პირობებში მარჯუნა ბედამ მოღვაწეობის დაწყება, როდესაც მარი ბროსეს, დამიტრი ბაქრაძის, თუდო უორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილისა და მოსე ჯანაშვილის თითო-ოროლა ნაშრომის გარდა საქართველოს ისტორიაში თითქმის არაფერი იყო; და ყველაფერი ერთ ადამიანს და შეძლებისამებრ მაღლ უნდა გა-კეთებინა. გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვით გამაფერელი სივის უმაღურს სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც უნდა ვცდილიყო, ჩემი გაკეთებული უნებლივებ ჰაველად დაწერილის მსგავსი უნდა გამოსულიყო...“

პიროვნება

ჩვენ თვალი გადავავლეთ ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფიას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, სამეცნიერო შრომას. სრული სურათისთვის საგანგებოდ უნდა შევხორო მის პიროვნულ თვისებებს. ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში წერს: „იშვიათა კაცი, რომელსაც რამებ ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდ სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში, სანთლით რომ გეძებათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდით. ის სრულიად უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცომოვარე და გულშემატკიფარი. ერთს უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით“. შესაძლოა ეს სიტყვებიც, მოსე ჯანაშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ნათქვამის მსგავსად, სიყვარულითა და პატივისცემით გამოწვეულ გულწრფელ გადაჭარბებად გვეჩენოს. შესაძლოა! თუმცა ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი ადა-

მიანის სიტყვას აღბათ ცოტა სხვა ფასი აქვს. და მაინც, ვნახოთ კონკრეტული ფაქტები და შემდგვ, დაუ, ყოველმა თქვენგანმა საკუთარი დასკვნა გამოიტანოს.

1915 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ივანე ჯავახიშვილს შესთავაზა „ქართველი ერის ისტორიის“ საკონკურსო სიაში შეტანა. ივანე ჯავახიშვილმა უარი განაცხადა „შემდგვ პრინციპული მოსაზრების გამო: პრემიები... იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკელევარი ან წახალისონ, ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ. მე ჩემდა საბერძნიეროდ, ისედაც შეძლებისდაც ვმუშაობ და ჩემთვის არც რაიმე წახალისებაა საჭირო და არც ქონებრივი დახმარება; ...ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომელთაც წახალისებაცა და დახმარებაც სჭირიათ, შევეცილო“. სინას მთაზე ყოფნისას ივანე ჯავახიშვილს ხელთ ჩაგარდნია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ხელნაწერი მას ნიკო მარისთვის გადაუცია, ძეგლის გაცნობა-შესწავლა, პირველ რიგში, თქვენ გეაუთვინით. ეს ამბავი თვით ნიკო მარისგან არის ცნობილი. როგორც ჩანს, მისთვის სრულიად უცხოა პრიორიტეტის მოპოვებისა თუ შენარჩუნების სურვილი. პირიქით, ბუნებრივი



ივანე ჯავახიშვილი 1930-იან წლებში

ტემაზ ტემაზ უსტავეგიშვილი — მა -
 ტემაზ ტემაზ უსტავეგიშვილი და ქადა -
 გიან ბოგოლი ტემაზ სამართლის მართლის კუთხი -
 რისა ლიკ. უსტავეგიშვილი ასაკის მართლის მართლის
 ამართლის ტემაზ ტემაზ ტემაზ ტემაზ
 კ ტემაზ ტემაზ უსტავეგიშვილი ტემაზ
 ტემაზ ტემაზ ტემაზ ტემაზ ტემაზ ტემაზ.

ძანე
 ჯაფარიშვილის
 წერილი

და თუ ისთავად ცხადია — აზრის გაზიარება, მეცნიერებლი და ხმარება და საერთოდ, სხვისი წარმატებით სიხარული. ეს მისი სიტყვებია, რომ „მეცნიერებაში ხშირად არც არის საჭირო, დაწყებული საქმე ერთდაიმავა პირმა დაამთავროს; ოღონდ მიზანი ნათლად იყოს გათვალისწინებული, მუშაობის განსაზღვრული გეგმა არსებობდეს და დაწყებული საქმის გამგრძელებელი მკალევარნიც საკმაოდ აღმოჩნდებიან“. ცნობილია, რომ უნივერსიტეტის დაარსების დროს ივანე ჯავახიშვილს შესთავაზეს რექტორობა, როგორც ამ საქმის ორგანიზატორსა და მოთავეს, მაგრამ მან უარი განაცხადა და მელიქიშვილის კანდიდატურა წამოაყენა: „პეტრე მელიქიშვილი ცნობილი მეცნიერია, რესეტშიც და საზღ-

ვარგარეთაც და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსთ“. კიდევ ერთი თვისება — მიუკერძოებლობა და ობიექტურობა. 1918 წელი. 22 მაისი. „გთხოვთ წერა-კითხვის გამგრცელებელი საზოგადოების გამგებას მოახსენოთ ჩემი თხოვნა, რუსულ-ქართული ლექსიკონის განხილვისაგან განთავისუფლებისა. ჩემი შეხედულება ლექსიკონის შედგენის შესახებ სულ სხვანაირია, კიდრე ის გზა, რომელიც დაგით კარიჭაშვილს არჩეული აქვს. ამიტომ, რომ მსჯელობის დროს სრული პირუთვნელობა დაცული იყოს, უნდა ამ ლექსიკონის განხილვა ისეთ პირს მიენდოს, რომელსაც ამ საგანგზე არაფერი დაუწერია“. საგანგბოდ აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის უკომპრომისობა. 1921 წელს

შემოსვლის შემდეგ ბოლშევიკებს მოუთხოვიათ უნივერსიტეტის შენობის ჩაბარება. როცა ეს გაიგო, ივანე შესულა უნივერსიტეტში, კარი შიგნიდან ჩაუკტია და უთქვაშს: ახლა ვისაც როგორც უნდა, ისე შემოვიდესო. ერთი თუ რომ დღე ყოფილა ასე, შემდეგ ეტყობა, კომუნისტებს ყორთ ჭკუა და უნივერსიტეტის დაკავებაზე ხელი აიღეს. მეორე შემთხვევა ასეთია — ბერიამ მოინდომა, მისი ცოლი უნივერსიტეტში მიეღოთ, ოღონდ, მისი თქმით პრობლემა ის იყო, რომ სკოლის დამთავრების ატესტატი არ ჰქონია. ივანე აუხსნა, რომ ამ შემთხვევაში ჩარიცხვა შეუძლებელი იყო. ბერიას კითხვაზე, — ბრძანება რომ იყოს? ივანეს უპასუხია, — უნივერსიტეტში ბრძანებებს მე ვიძლევიო.

სამწუხაროდ, ცხოვრების გზაზე ივანე ჯავახიშვილს უსამართლობაც შეხვედრია, უმაღლერობაც და ცილისწამებაც, მაგრამ მუდამ პოულობდა ძალას, ადამიანთა სულმოკლეობაზე ამაღლებულიყო. „რექტორმა ორაგველი ძეგლი სამსაათიანი მოხსენება წაიკითხა უნივერსიტეტში, სადაც ყველა ჩემი ნაშრომის უკარგისობის დამტკიცებას ლამობდა... ბერდა ბევრი უსიამოვნება მარგუნა, მეტადრუ უკანასკნელ ათულში და ერთადერთი ნეგებში ჩემთვის სამეცნიერო კვლევა-ძიება იყო. ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ძლევარება თანდათან მიმშევიდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმარჯეს მავიწყებდა ხოლმე. ახლაც მუშაობა არ შემიწყვეტია იმისდა მიუხდავად, რომ ასეთი საზიზღარი შეურაც ხეოფუა ჩემი მოღვაწეობისთვის ჯერ არავის მოუ-

ეცნებია“. დასასრულ, კიდევ ერთი მაგალითი თავისადმი უკიდურესა მომთხოვნელობისა: „აკადემიკოსობას უნდა ჩემი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობის გაორგეცება-გაორმავება მოჰყვეს; ჩემი ძალ-ღონე კი უაღრუსად დაძაბულია და ჩემს ჯანმრთელობას ამაზე მეტის ატანა არ შეუძლია. გამოგა ისე, რომ მე ახალ მოვალეობას პირნათლად კერ შევასრულებ. ამას კი მიჩვეული არა ვარ და ეს ზნებრძოვად დამტანჯავს“.

თუკი არსებობს ბუნებაში რაიმე კანონზომიერება, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალება სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. ერისთვის თავდალებული, უაღრუსად განვითარებული მოვალეობის გრძნობის მქონე აღამიანი, მეცნიერი, მიდის ამ ქვეწიდან — საჯარო ლექციაზე, ისტორიულ თემაზე მსჯელობის დროს.

თანხუა ჯავახიშვილი

P.S. გადავითხე დაწერილი და უცებ და-ვეჭვდი, ხომ არ შეგექნათ შთაბეჭდილება, რომ იდეალიზებული სახე, თითქმის ჰაგიოგრაფიული სურათი დავხატე. მერწმუნეთ, ამგვარი რამ აზრადაც არ მომსვლია. თუნდ იმიტომ, რომ ეს პირველ ყოვლისა თვით ივანე ჯავახიშვილისადმი იქნებოდა გაუმართლებელი და უკადრისი, მისი ბუნების საწინააღმდეგო. მიზეზი, თუ რატომ შეირჩა და დალავდა ამ სახით ეს, და არა სხვა ფაქტები, გახლავთ კითხვა, რომელიც თავიდან დავსვით — რით არის განპირობებული ის პატივი, რომელსაც მიაგებდნენ და კვლევაც მიაგებენ ივანე ჯავახიშვილს.

უკანასწერი
ლექციის
მოსაწვევი

ა. წ. 18 ნოემბერს, სალამოს 8 საათზე, ხელოვნებათა
მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) შესდგება
აკად. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება თემაზე:

„ჩართული ცილოლოგისა და ძგვილი
მხატვრული მფერდობის ისტორიის
ამოცავი“

ზოხოვთ მობრძანეთ



ძ3.6. II-ი საცავებლის საწარმოს სამეცნიერო მუზეუმის ფული

ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებში ადგილობრივ სამონეტო ბაზარზე, ალექსანდრესა და ლისიმაქეს ფულის მინაბაძების მიმოქცევასთან ერთად, ახალი, შედარებით მცირე ნომინალის მონეტები მოიჭრა. ამ მონეტებზე მეზობელი პონტოს სამეფოსა და გაძლიერებული რომის რესპუბლიკის გავლენა ჩანს.

კოლხეთში სამეფოს არსებობა ძვ.წ. II საუკუნეში იმითაც დასტურდება, რომ იქ იყრება მცირე ზომის სპილენძისა და ვერცხლის მონეტები, აგრეთვე ბილონები (მდარე ხარისხის მონეტები). ეს ე.წ. სავლაკის მონეტებია, რომლებიც ჩვენამდე რვა ცალია მოღწეული. ერთის გარდა, ყველა მათგანი საზღვარგარეთაა დაცული. ეს მონეტები სამტკიცად იყოფა.

მ.7. სავლაკის მონეტები I ტიპი



აღმოჩენა: ბილონი, სპილენძი (ან ბი-

ლონი). წონა: ბერლინის მუზეუმის ცალი — 1,04 გრამი, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ცალები — 1,17 გრამი, 1,56 გრამი, 1,65 გრამი.

რემედიუმი: 1,04-1,65 გრამი

დიამეტრი: 11/12 მმ.

შებლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში.

ზურგი: მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი — BAΣΙ... ΣΑΥΛ... ან ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან საგმაკისა. მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკეთილი, ხოლო უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც Λ-დ, ასევე M-დ.

ზარაფხანა: უცნობია.

სიმინდა: ბილონი. 1,04-1,17 გრამი სპილენძი ან ბილონი. 1,56-1,65 გრამი.

თარიღი: ძვ.წ. II საუკუნის მიწურული.

კოლექცია: მოსკოვის ისტორიული მუზეუმი — 3 ცალი, ბერლინის მუზეუმი — 1 ცალი.

II ტიპი



აღწერა: ვერცხლი. წონა: ბერლინის მუზეუმის ცალი — 0,98 გრამი, ვანის მუზეუმის ცალი — 1,7 გრამი.

რემედიუმი: 0,98-1,7 გრამი

დიამეტრი: 10/11 მმ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში.

ზურგი: ვარღის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ლეგენდაა — BAΣΙΛΕ... ΣΑΥΛ... ΣΑΥΜ... ე.ი. მეფე სავლაკისა ან სავმაკისა.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: ვერცხლი. 0,98 გრამი — 1,7 გრამი.

თარიღი: ძვ.წ. II საუკუნის მიწურული.

კოლექცია: ბერლინის მუზეუმი — 1 ცალი, ვანის მუზეუმი — 1 ცალი.

III ტიპი



აღწერა: ვერცხლი(?), სპილენძი. წონა: ბრიტანეთის მუზეუმის ცალი — 1,75 გრამი, ბერლინის მუზეუმის ცალი — 1,83 გრამი.

რემედიუმი: 1,75-1,83 გრამი.

დიამეტრი: 12/13 მმ.

შუბლი: მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირ.

ზურგი: ფრთხისანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ წარწერაა: BAΣΙ... ΣΑΥ...

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: ვერცხლი(?). 1,75 გრამი, სპილენძი. 1,83 გრამი.

თარიღი: ძვ.წ. II საუკუნის მიწურული.

კოლექცია: ბრიტანეთის მუზეუმი — 1

ცალი, ბერლინის მუზეუმი — 1 ცალი.

არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად არ არის დაწერილი, რამაც მწვავე დისკუსია გამოიწვია. საკამათოა მონეტის რევერსზე მოცემული მეფის სახელის მეოთხე ასოს მოხაზულობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას ʌ-დ კითხულობს, აქედან გამომდინარე, წარწერა იშიფრება, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΛ(ΑΚΟΥ) — „მეფე სავლაკის“, ვინაიდნ კოლხეთის მეფეთა რიგში ასეთი სახელი ფიგურირებს. თუმცა მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით, მონეტის რევერსზე სადაც სიტყვის მეოთხე ასო იკითხება, როგორც M. პროფესორი გიორგი ღუნდუჟ მიიჩნევს, რომ მონეტის ზურგზე სწორედ ასო M იკითხება და აქედან გამომდინარე, მონეტაზე სახელი უნდა წაიკითხოს, როგორც ΒΑΣΙΛΕΩΣ ΣΑΥΜ(ΑΚΟΥ) — „მეფე სავმაკის“. ამ სახელით მეფე კი ბოსფორის სამეფოს ისტორიაშია ცნობილი.

მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც ამ მონეტებს კოლხეთის სამეფოს უკავშირებს, ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის, პლიტონის ცნობა, რომლის თანახმად, კოლხეთში ოდესალაც სავლაკი მეფობდა. მაგრამ, როგორც დაანგარიშებულია, ეს ზღაპრული სავლაკი კოლხეთში მეფობდა 1200 წლით ადრე, ვიდრე ჩემთვის საინტერესო მონეტები მოიჭრებოდა. ამ მონეტების მეორე ტიპზე გამოსახული ვარდის მიხედვით, იგი ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება.

მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღემდე ცნობილი რა ერთ კონკრეტური დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი.

არსებობს ასევე მოსაზრება, რომ მონეტები ეკუთვნოდა პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის მეფეართმთავრის — დიოფანტეს პატივ-საცემად ქერსონესში აღმართულ დეკრეტში მოხსენებულ სავმაკს, რომელმაც ძვ.წ. II საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა ბოსფორის სამეფოში. მცირე ხნით მას ტახტიც ეკავა და სწორედ ამ დროს უნდა მოეჭრა ჩემთვის საინტერესო მონეტები. ძვ.წ. 107 წელს დიოფანტემ იგი დაამარცხა და ტყვედ იგდო. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, სადაც მონეტები შესაძლებელია ბოსფორის სამეფოს ნუმიზმატიკას მივაკუთვნოთ. ამ დებულების

წინააღმდეგ კონტრარგუმენტის მოძებნა როგორია, თუმცა ერთი ცხადია: ვიდრე არ აღმოჩნდება ე.წ. სავლაკის (თუ სავმაკის) სრულწარწერიანი მონეტა, მანამდე ეს საკითხი ყოველთვის პოლემიკის საგანი იქნება.

დიოსკურიდის საქალაქო

მონეტები

ფულის მეორე სახეობა, რომელიც იმავე პერიოდში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს მოჭრილი, არის დიონისურიის სპილენძის საქალაქო მონეტები, რომლებიც ქალაქ დიოსკურიაში შზადგებოდა. მასზე გამოსახულია მითური მების — დიოსკურების ქუდები.



აღმოჩენა: სპილენძი.

რემედიუმი: ხალკი (სპილენძის ფულის ნომინალი) — 1,3-3,1 გრამი, დიხალკი — 3,7-5 გრამი, ტეტრახალკი — 6,1 გრამი.

დამეტრი: 14 მმ.

შებლი: დიოსკურების, ტყვები მმის, პოლიდეკასა და კასტორის ემბლემის — ორი ფრიგიული ქუდის გამოსახულება, რომელთა ზემოთ მოთავსებულია ორი ვარსკვლავი — ექვსქიმიანი და რვაქიმიანი.

ზურგი: მონეტის ცენტრში კვერთხის გამოსახულება, მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად ბერძნული ზედწერილი: ΔΙΟΣ/ΚΟΥΠΙΑ/ΔΟΣ.


ზარაფხანა: დიოსკურია.

ნომინალი: ხალკი — 1,3-3,1. გრამი, დიხალკი — 3,7-5 გრამი, ტეტრახალკი — 6,1 გრამი.

თარიღი: ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნა.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის მუზეუმი; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი.

დასავლეთ საქართველოში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის მო-



ნეტების აღმოჩენა პონტოსა და კოლხეთის ინტენსიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიანიშნებს. ამ კუთხით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოლხეთის ტერიტორიაზე მოჭრილი ადგილობრივი მონეტები. მათ შორისაა ქალაქ დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები წარწერით — ΔΙΟΣ/ΚΟΥΠΙΑ/ΔΟΣ. აღნიშნული მონეტები ტიპოლოგიურად პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტებს უკავშირდება. კერძოდ, შებლის მოტივი (დიოსკურების ორი ქუდი) აღებულია ქალაქ ამისოს იმ მონეტებიდან, რომლებიც ძვ.წ. 120-111 წლებში იჭრებოდა, ხოლო ზურგის გამოსახულება (დიონისეს, ე.ი. მითოლოგიური ეგპატორის კვერთხი) ნახესხებია სამხრეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის საქალაქო ნუმიზმატიკიდან.



იმ მონეტებიდან, რომლებიც ძვ.წ. 105-90 წლებშით თარიღდება.

ამრიგად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები ძვ.წ. II საუკუნის დასასრულითა და I-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. შესაბამისად, შევი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო თავის სამფლობელოს მითრიდატე 6 VI-მ ზუსტად ამ დროს შეუერთა. უკვე მითრიდატეს ქვეშვერდომი დიოსკურია-ელები მუნიციპალურ სტრუქტურებს ინარჩუნებენ და საკუთარ სპილენძის ფულს ჭრიან. დიოსკურიაში, ჩანს, მითრიდატე VI-ის გარნიზონი იდგა და მონეტების მოჭრას სწორედ მის მიერ დანიშნული მოხელე აკონტროლებდა.

ვანის მონეტები

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხ-

რების დროს 1967 წელს მოზაიკურიატაკანი ტაძრის საკურთხევლის წინ 119 სპილენძის მონეტისგან შემდგარი განძი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ის ქისაში იყო მოთავსებული. განძის 118 მონეტა იდენტურია.

ფულის ზურგზე მოთავსებული რვაქიმიანი რელიეფური გრძელებული პონტის სამუშაოსთან მის კავშირს მიანიშნებს. ეს სიმბოლო პონტოს მმართველი დინასტიის, მითრიდატეის ებბლემად მიიჩნეოდა. განძის 119-ე მონეტა ძვ.წ. 111-105 წლებში ან 105-90 წლებში ქალაქ ამისოშია მოჭრილი. ეს მონეტა განძის დანარჩენ ცალებსაც ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისით ათარიღდებს. ლოტოსის გამოსახულებანი სპილენძის ანონიმური მონეტები სულ 126 ცალია ცნობილი. ამ მონეტების ემისია, პირობითად, ვანში (ანტიკური ხანის სურიონი) განხორციელდა.

ვანის განძის მონეტები ისიდას სტილიზებული თავსამკაულის გამოსახულებით უნიკალურია. ანონიმური სპილენძის მონეტები ვარსკვლავის გამოსახულებით პონტომი იკრებოდა, მაგრამ — არა მითრიდატე VI-ის ხანაში, არამედ აღრე და სულ სხვა ტიპოლოგიური კომბინაციით. ვანის მონეტების იდენტური მონეტები ცნობილი არ არის და შესაბამისად, ისინი არც მსოფლიოს დიდ სამუშევრო ცენტრებშია წარმოიდგნილი. ამიტომ ამ მონეტების პონტოსადმი მიეცავნება შეუძლებელია. ეს შეუძლებელია ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც. პონტოში მოჭრილი ანონიმური სპილენძის მონეტები თარიღდება მითრიდატე VI-ის მეფობის წინარე პერიოდით, ვანში აღმოჩენილი ცალები კი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მოჭრილია ძვ.წ. I საუკუნის 80-იან წლებში.

ეს მონეტები კოლხეთის გარდა სხვაგან არსად არ არის ნაპოვნი. მონეტების ძირითადი მასა ვანშია აღმოჩენილი, რამდენიმე ცალი კი ეშერაში.

მითრიდატემ კოლხეთი ძვ.წ. 105-90 წლებში დაიპყრო. თვედაპირველად კოლხეთი პონტოს სატრაპიას წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგში კოლხები აჯანყებულან და მითრიდატესთვის მოუთხოვიათ, კოლხეთში შეილი — მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფის გაემეფებინა. მითრიდატე ევპატორმა ეს მოთხოვნა დააგმაყოფილა და მისი შეილი დასავლეთ საქართველოში გამეფდა. ეს ამბავი, როგორც ირკვევა, ძვ.წ. 85 წელს უნდა მომხდარიყო. ამ ხნიდან მოკიდებული,



მითრიდატე VI

კოლხეთი ნომინალურად პონტოს გასალური სახელმწიფოა. ოუმცა ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გავრძელებულა. მითრიდატემ შეიძლს დალატში დასდო ბრალი და ერთი წლის შემდეგ, ძვ.წ. 84 წელს სიკვდილით დასაჯა.

მამა-შვილის დაპირისპირების დეტალები ჩვენთვის უცნობია. შესაძლოა, მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსმა კოლხები აჯანყებისკენ მართლაც წააქმა, მონეტების ემისიებით კი მამას თავს ერთგულ „სატრაპად“ აჩვენებდა. მისთვის, როგორც სამეფო ოჯახის წევრისოფის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი სპილენძის ანონიმური ემისიების იურიდიული ბუნება და ტიპოლოგია. ამ კატეგორიის მონეტებს, რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით, პონტოს მეფეთა ნაცვლები ჭრიდნენ მითრიდატე VI ეპპატორამდე. აი, ამიტომ არის გამოსახული ვანში აღმოჩენილი მონეტების რევერსზე რელიეფური ვარსკვლავი, ის მთელი ანონიმური სერიის აუცილებელი თანამგზავრია და სამეცნიერო ლიტერატურაში ინტერპრეტირებულა, როგორც პონტოს მეფეთა დინასტიური ემბლემა.

რაც შევხება მონეტის ავერსზე ამოტ-ვიფრული ისიდას სიმბოლოს, როგორც გარსულობენ, ქალაქ ვანის/სურიონის კარიბჭესთან უნდა მდგარიყო ნაყოფიერების დვთა-ების (დემეტრა/ისიდა) ქანდაკება. ეს იყო ქალაქის მფარველი დვთაება. მითრიდატე უმცროსის რეზიდენცია კოლხეთში ვანი უნდა ყოფილიყო. ვინ ან რა უნდა გამოესახა მას

თავისი მონეტის შუბლზე, თუ არა ქალაქის მფარველი დვთაება ან მისი სიმბოლო?

ასეთია ის ლოგიკური გზა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავადასტუროთ ვანში მონეტის მოჭრის შესაძლებლობა.

განვი მოზრდილი საილენტის აღმიშური მონეტები



აღმოჩენა: სპილენძი.

რემედიუმი: ჰემისალკი 0,8-1,1 გრამი, ხალკი 1,2-2,1 გრამი.

დიამეტრი: ჰემისალკის 12-13/14-15 მმ, ხალკის 11/13-16 მმ.

შუბლი: ეგვიპტური ნაყოფიერების დვთა-ების ისიდას თავსამკაულის — სტილიზებული ღორუსის გამოსახულება.

ზურგი: რვაქიმიანი რელიეფური ვარსკვლავი (რომელიც, ნახევრმთვარის გამოსახულებასთან ერთად, მითრიდატიდების დანასტიურ ემბლემად მიიჩნეოდა).

ზარაფხანა: ვანი (?).

ნომინალი: ჰემისალკი — რემედიუმი 0,8-1,1 გრამი, ხალკი — რემედიუმი 1,2-2,1 გრამი.

თარიღი: ძვ.წ. 85-84 წლები.

კოლექცია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

არისტარქე პოლეის მონეტები

ჩვენამდე მოღწეულია არისტარქეს სახელით მოჭრილი მონეტებიც, რომელიც იმავე პერიოდით თარიღდება.

ძვ.წ. I საუკუნეში რომსა და პონტოს შორის ბრძოლები რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდა და საბოლოოდ, პონტოს მეფე მითრიდატე VI-ის მარცხით დასრულდა. რომის ძლევამოსილი სარდალი გნეუს პომპეუსი ჯერ სომხეთში შევიდა და იქ მეფე ტიგრან II (ძვ.წ. 95-55 წწ.) დაამარცხა, ხოლო შემდეგ, ძვ.წ. 65 წელს იბერიას მოადგა. შედგარი წინააღმდეგობის მიუხედავდ, ქართლის მეფე არტაგი იძულებული გახდა, პომპეუსს დამორჩილე-

ბორდა. იბერიიდან რომაელები კოლხეთში გადაიღნენ, სადაც პომპეუსმა ქვეყნის მმართველად მც.წ. 63 წელს არისტარქე კოლხი დანიშნა. სწორედ მისი სახელით მოჭრილმა ვერცხლის ექვსმა მონეტამ მოაღწია ჩვენამდე.

მონეტის ზურგზე მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი კოშკურა გვაირგვინიანი ქალის გამოსახულება, რომელსაც მარცხნა ხელში სფეროს მსგავსი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვნათი საჭეს ეყრდნობა. მონეტის ზურგზე არსებული გამოსახულების სწორი ინტერპრეტაცია ნუმიზმატმა კენეთ ჯენკინსმა იმის წყალობით მოახერხა, რომ მის ხელთ აღმოჩნდა შესანიშნავად დაცული გზემპლარი, რომელზედაც კარგად ჩანდა საჭე — შემთხვევის, ბედისა და ბერძნიერების ქალღმერთის, ტიხეს აუცილებელი ატრიბუტი.

არისტარქე კოლხის დრაქმების ისტორიული მნიშვნელობა ძალიან დიდია. მათი ლაკონიური ზედწერილი თვალსაჩინი ილუსტრაციაა, რა უპირატესობა აქვს ზოგჯერ მონეტის წარწერებს ისტორიულ წყაროებთან შედარებით — ზოგიერთი ანტიკური ავტორი არისტარქეს მეფეს უწოდებს, თვით მონეტის წარწერაში კი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, ეს უკანასკნელი მმართველად/მეფისაცვლად არის მოხსენიებული. ამრიგად, მონეტის ლეგენდის საშუალებით ქვეყნის პოლიტიკური სტატუსის დადგენა ხერხდება. ცხადია, კოლხეთი ამ დროს სამეფო კი არ არის, არამედ, ფორმალურად მაინც, რომელ დამოკიდებული მხარეა.

არისტარქე კოლხის დრაქმა



აღღმონა: ვერცხლი. რემედიუმი — 3,2-3,7 გრამი.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული უწერული მამაკაცის თავი გასხვისნებული გვაირგვინით (ჰელიოსი პომპეუსის სახის ნაკვთებით).

ზურგი: მარჯვნივ მიმართულ მაღალზურგიან ტახტზე მჯდომი ქალღმერთი ტიხე



გნეუს პომპეუსი

კოშკისებური გვაირგვინით თავზე. მარცხნა ხელში სფეროს მსგავსი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორივე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: APIΣΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ/ΒΙ („არისტარქესი, კოლხეთის მეფისნაცვლისა, ან კოლხეთის მმართველის, ან არისტარქესი, რომელიც კოლხეთის მართავს“), და თარიღი — 12, რაც ამ პირის მმართველობის მეთორმეტე წელს, ანუ ძ.წ. 52-51 წლებს უდრის.

ზარაფხანა: უცნობია.

ნომინალი: დრაქმა.

თარიღი: ძ.წ. 52-51 წწ.

კოლექცია: ბერლინის მუზეუმი; ეშმოლის მუზეუმი (ოქსფორდი); ბრიტანეთის მუზეუმი; პარიზის მედლების კაბინეტი; საქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის მუზეუმი.

იმდროინდელი სახელწიფოების მთელ რეგიონში გაშლილი მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიაზე ძ.წ. II-I საუკუნეებში ფულის გამოშვება არ შეწყვეტილა. ეს აჩვენებს, რომ ჩვენი წინაპრები სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელ ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს ინარჩუნებდნენ.

„ქართული ნუმიზმატიკის კატალოგის“
(ნაწ. I. ავტორები: თუდო დუნდუა, გიორგი დუნდუა; შემდგენლები ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნათა ფიფა, აკეთ ჩიქობავა, ემილ ავალიანი. თბ., 2013) და „ქართული ნუმიზმატიკის“ (ნაწ. I. ავტორები: გიორგი დუნდუა, თუდო დუნდუა; თბ., 2006)
აღმასანდრე ბრძიშვილმა



საქართველოს ოკუპაცია თვითმხილვების თვალით

ნაშროვა II

წინამდებარე მოგონებების ავტორია ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და მწერალი გიორგი ნადირაძე (1902-1960). ამ მოგონებების პირველი ნაწილი დაბიძეჭდა „ისტორიანის“ წინა ნომქრში. პუბლიკაცია გამოსაქვევნებლად მოამზადა და შენიშვნები დაუწოდო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, თუ პროფესორმა ნიკო ჭავახეშვილამ.

ნახევარი საათის შემდეგ მცხეთის მაგისტრალზე შევდგით ფეხი.

შევენიერი მხიანი დარი იყო. ქუჩაში არავინ ჩანდა. ღვინო ხმამაღლა გვალაპარაკებდა და ფანჯრების მინებთან მომდგარი თავები გაოცემული თვალებით გვაცილებდნენ. როცა ობილისის შარაგზაზე გავედით და სვეტიცხოველი აღიმართა თავისი დევი ტანით, მეგობრები შევაჩერე და პათეტიკური სიტყვა წარმოეტვი ქართულ გენიაზე. ახლა მახსენდება, რომ ჩემს სიტყვაში ბევრი ბუნდოვანი ფრაზა იყო, მაგრამ მით უფრო ჭკვიანურად მოქმედნათ იგი ჩემს მეგობრებს.

გაგიჟებით მიყვარდა და მიყვარს სვეტიცხოვლის ტაძარი, ჩვენი დიდების ერთი უმშვინიერსი ფურცელი. მასთანაა დაკავშირებული ჩემი ბაჟშობის რამდენიმე დაუვიწყარი წუთი. ათი წლის წინ (ეს რიცხვი მაშინ ძალიან დიდად მეჩვენებოდა) პირველად შევავლე თვალი მის ბუმბერაზ ტანს, პირველად დაფაცერდი პატარა კახის საფლავს. ეს იყო ზიარება საქართველოს

წარსულთან. მცხეთიდან არმაზის ხეობა გავჭერით და ახლა ქართული წარმართობის ბუდე მოვინახულეთ. ყველაფერი ეს უკვე ვიცოდი სახლიდან, სკოლის უფროსი მეცნიერებისგან, პეტრე მირიანაშვილისგან (საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. პომეროსის და კურანის მთარგმნელი, „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორი. რედ.), მაგრამ ვერაფერი შევდრება თვალის განცდას.

— ჩვენს მდგომარეობაში, მეცნიერებო, იმ დროსაც ბევრი ყოფილან. მაგრამ, ხომ ხედავთ, სვეტიცხოველი ისევ დგას და ასე იქნება ამართული მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში. სვეტიცხოველი ჩვენი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა.

ყველას ეტერობოდა, რომ ღვინო მოენატრა. მაგრამ იმდორინდელი წუთები ისე მღელგარე იყო, რომ დიდხანს არც სვეტიცხოველზე შეგვეძლო ფიქრი, არც საღლევრმელოებზე. თბილისისაკენ მიმავალი გზა არ უნდა ყოფილიყო უხილუო.



სახალხო გვარდიისლები, მათ შორის, გენერალი ოსუბე გეგვანაშვილი წმინდა აღექმანდრუ ნეკელის სახელობის სამხედრო ტაძრის, „სობოროს“ ეზოში, გოლოგინის პროსპექტზე (1920 წელი). ეროვნული არქივის ფოტო

— ერთი თხოვნა, მეგობრებო! მიგმაროთ თანამგზავრებს. უეჭველია, გზაში რუსი ჯარისკაცები შეგვხვდებიან. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სრული ლოიალობა, მაგრამ ისე, რომ ოდნავაც არ შევლახოთ ჩვენი დირსება.

მოული ერთი საათი მივდიოდით მოტიტვლებულ გზაზე. პირველ გაცს ზურგიდან წამოვწიეთ. ჩვენია. არავინ არ ვიცნობდით, მაგრამ მაინც შევიამხანაგეთ. ჩემი სქნია აღმოჩნდა. ძალიან გულმოსული ლაპარაკობდა ქართული ჯარის მესვეურებზე. ორიოდე მაგრა ქიმუნჯი მთავრობასაც გაჰკრა.

— ჩვენმა უხეირობამ დაგვდუპა! — გამახ-სენდა ბარათაშვილის სიტყვები.

— ისტორია მეორდება! დაუმატა ვიღაცამ. მაშინ ეს ფრაზა ისე გაცვეთილი არ იყო, როგორც ახლა.

— საქართველოს ისტორიაში მეორდება მხოლოდ უხეირობა. აბა დააკვირდით ჩვენს წარსულს. რამდენჯერ ამოტივტივებულა ზედაპირზე ერთი და იგვე სიბიძნეზე. მაგრამ სცადეთ და მოუნახეთ პარალელი დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებს! ისტორია მეორდება, მაგრამ ყველა ერთი იმეორებს იმას, რაც უფრო დამახასიათებელია მისთვის.

ჩემმა კომენტარუებმა, რომელთაც წეულიერი გრძნობების ლოგიკა ედოთ საფუძვლად, კამათის გუნებაზე დაყენა მგზავრები. გაიმართა ვრცელი ქართული პაექრობა, სადაც ყველაზე

ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს ხელების ფარჩხვა და ყვირილი. ვინ ვის აჯობებს, ნიშნავდა მაშინ — ვინ უფრო პათეტიკურად დაიყვირებდა. გვაჯობა ვანომ.

ჯერ ავჭალა შორს იყო. გაშლილ გზაზე თვალი მოვკარით ცხენოსანს, მხარზე შაშხანა ეგიდა და დინჯად მოდიოდა ჩევნსაგნ. ყველანი დავდუმდით და ყურადღებად გადავიქეცით.

— როგორც ჩანს, ეს მეორე შევეღრა იქნება ჩრდილოეთის კაცან, წარმოსთქვა ვანომ.

— პირველი დეკანოზმა აგვაცილა არყით. ახლა აღარც დეკანოზი გვაყვს, არც არაყი გვაქვს, გვაქუმრე მე.

ცხენოსანი თანდათან ახლოვდებოდა.

— არც ნაბიჯი შეანელოთ, არც გზიდან გადაუხვიოთ, ბრძანება გასცა ვანომ.

ყველანი მივაშტერდით ცხენოსან წითელარ-მიელს და ერთბაშად სიცილი აგვიტყდა.

— კარგია, მეგობრებო! ჩვენს სიცილს წითელარმიელი ისე მიიღებს, როგორც სიხარულის გმოხატულებას, განმარტა ვანომ.

ცხენზე იჯდა ბრგე აგებულების, მაგრამ შიმშილისაგან ჩამომხმარი და ძონქებში გამოხვეული მხედარი. მოგვიახლოვდა თუ არა, სახეზე ღიმილი გადაეკრა და ცხენი მოგვაგდო..

— Здравствуйте, товарищи (სალამი ამხანაგებო)!

— Здравствуйте (სალამი)! — ერთხმად



წითელარმიელი
ოჯუანტები
თბილისში
(1921 წლის
თებერვალი)

გავეპასუხეთ და ისევ დამილსა და ყურადღებაში ჩატარდებოდა ჩატარდებოდა.

— Есть что-либо покушать, товарищи (ролью საჭმელი თუ მოგემვებათ ამხანაგებო)? — Имажე დამილით მოგვმართა წითელარმიელმა.

— К сожалению, ничего нет, товарищ армеец (სამწუხაროდ, არაფერი გვაქვს ამხანაგები არა არმიელი)! — უპასუხა ვანომ.

— Ну, видно мы в самом деле товарищи, ни у меня ничего нет, ни у вас. А кто вы такие (როგორც ჩანს, ჩვენ მართლაც ამხანაგები ვართ, არც მე მაქვს რაიმე და არც თქვენ. თქვენ ვინ ხართ)?

— Студенты (სტუდენტები).

— Студенты? А родные (სტუდენტები? თქვენი მმობლები)?

— крестьяне (გლეხები).

— крестьяне? хорошие вы крестьянские дети! отдется как буржуи (გლეხები)? რა კარგი გლეხის შვილები ყოფილხართ, ბურჟუებივით ხართ ჩატულნი!

ეს იყო პირველი კლასობრივი შემოტევა. ახლა აღარც წითელარმიელს ეღიმებოდა, აღარც ჩვენ.

— Эй ты, парнишка (яю შენ, ყმავილო), тиото გაიშვირა წითელარმიელმა არჩილი-საკნ, რომელიც ვანოს ზურგს ეფარებოდა, откуда у тебя английский френч (საიდან გაქვს ინგლისური ფრენჩი)?

— Френч (ფრენჩი)? — ლუდლუდით წარმოსთქა არჩილმა. მას ვონა, წითელარმიელი ბრალსა მდებსო და თვის მართლებისათვის მოემზადა, — Видите ли (იცით რა)...

წითელარმიელს გამოიქვის არ ეცალა.

— Вот что, братец. У меня путь далекий, мне еще освобождать ваших родичей. Снимай-ка свой френч и дай мне его сюда, а сам возьми вот этот мой тулуп (აი, რა მმობილო, მე შორი გზა მაქვს გასავლელი, ჯერ კიდევ უნდა გავათავისუფლო თქვენი თანამემამულები). გაიძრე შენი ფრენჩი და აქ მომეცი, ხოლო შენ კი ეს ჩემი ქურქი აიღე.

არჩილი შეკუყმანდა, მაგრამ ვურჩიეთ, ხმა არ ამოედო.

— Ладно, как будто по мне сшили (კარგია, თითქოს ჩემს ტანზეა შეკერილი), ისევ გაედიმა არმიელს, როცა ინგლისური ფრენჩი ჩაიცვა.

— А ты дорогой (შენ კი ძვირფასო), მიუბრუნდა ვანოს, смени мне папаху (გამიცვალე ფაფახი), და თავისი დაძონილი ქუდი პირდაპირ თავში შახალა.

— Спасибо товарищи! Будьте уверены, что Ермак изгонит всех буржуев с нашей земли (გმაღლობთ ამხანაგებო! დარწმუნებულნი იყვით, რომ ერმაკი განდევნის ყველა ბურჟუას ჩვენი მიწიდან).

ასეთ სიტუაციაში სიტყვა „товарищи“ ცოტა არ იყოს უცნაურად გაისმა, ხოლო „наша земля“ („ჩვენი მიწა“) — ხანჯალთვით მოგვხვდა ყველას.

მაგრამ დიდხანს არც ამაზე შეჩერებულა ჩვენი ფიქრი. „ერმაკი“ ჯერ ჩვენი თვალის მახლობელ არეში მიაჩაქაქებდა ცხენს, რომ ჩვენმა ხარხარმა იქაურობა გააყრუა. არჩილი ფრთამოტებილი ბატივით იდგა, ვანო გაოცებული ათვალიერებდა ქუდს, ჩვენ

სიცილით ვიგუდებოდით. მარტო ჩემი სქნია გამდგარიყო განზე, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ჩენეს უწესრიგო რეაქციებში და ისე გვიცეროდა, თითქოს გადარეულები ვკოფილიყვათ.

— რა გაცინებო, თქვე უტვინოებო! უსინდისოებო! — იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა სქნიამ.

— რა დაგემართა, ბიჭო!

— ასე დაცით? არა გრცხვენიათ?

— მოითმნე, ახალგაზრდა! სერიოზულ ტონზე გადავედი შეც. რა მიგაჩნია ჩენ საქციელში უგუნურებად, სინდისის დაკარგვად, დაცემად, სირცხვილად? იქნებ, კეთილ ინებოთ და გაგვიძარტოთ.

— ეს ლაპრობაა, სიმხდალეა! განაგრძობდა პათეტიკური სიტყვების კანონადას აღლელებული სქნია.

— უკან დახევა ძალის წინაშე მე არ მიმაჩნია ლაპრობად. თუ გნებავთ, ეს არის სტრატეგიული მანევრი.

ჩემს მოსაზრებას გაცხარებულმა ახალგაზრდამ ვერაფერი ვერ დაუპირისისირა. მან დააპირა უძლურთა არგუმენტაციაზე გადასვლა, მაგრამ ჩენმა მკაცრმა გამომეტყველებამ და ვაროს ბრეგე გარეუნობამ დაკარგული გონიერება დაუბრუნა.

სხვათა შორის, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დავინტერესდი მისი პიროვნებით და ბედით. აქა-იქ მოვიკითხე. ყველამ, ვინც კარგად იცნობდა, დამარწმუნა, რომ ორი თვის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში შევიდაო. 1937 წელს დაპატიმრეს და დახვრიტეს.

მოკლე და ენერგიული დისკუსიის შემდეგ ჩვენ ისევ განვაგრძეთ გზა. თბილისამდე საკაოდ დიდი მანძილი იყო ფქვისნისათვის. თან ყველას გვერჩეარებოდა ოჯახში მისვლა. მე ძალიან ვწუხდი დედახეზე. გადაწყვიტეთ, ნაკლები გველაპარაკა და სამხედრო მარშით გველო.

გავცდით თუ არა ავჭალას, ჩვენსკენ მომავალი წითელარმიელების ცხენოსანი რაზმი შევნიშნეთ შორიდან იგი შავი ღრუბელით ჩანდა. ორიოდე წუთში რაზმი იძღენად დაგვიახლოვდა, რომ უკვე კარგად ვჟედავლით დამშეული ცხენების ჩაქინიდრულ თავებს და გაქონილ ტანისამოსში გმოწყობილ მხედრებს.

ყველანი შესახვედრად მოვემზადეთ.

ცხენოსნებმა შეგვაჩერეს, ვინაობა გამოგვითხეს, ტანისამოსი შეგვიცვალეს, გზა მშვიდობისა გვისურვეს და დაგვემშვიდობნენ.

ეს მეორე სცენაც ხარხარით დაგვირგვინდა.

სქნიას შევხედე... სახე სერიოზული ჰქონდა, მაგრამ ახალ ტანისამოსში მეტად სასაცილოდ გამოიყურებოდა. ფეხი აუზჩქარეთ.

რაც უფრო მივიწვდით წინ, მით უფრო გახშირდა არასასიამოვნო შეხვედრები. თბილისის მისადგომებთან საფრთხობელებს დავგმსგავსეთ.

თბილისში უკვე ბინდი ჩამოწვა, როცა მის ქვეფებილზე შევდგით ფეხი. ყველანი საშინელ დაღლილობას ვგრძნობდით. დაგვდალეს განცდებმა, ფიქრმა საქართველოს მომავალზე, ერზე, საკუთარ ბედზე. მაშინ ჩენ იმდენად ახალგაზრდებით ვიყავით, რომ ყველაფერს გრძნობებით ვზომავდით. არაფერი არ ღლის ადამიანს ისე, როგორც გრძნობა. ცივი რეალისტური ინტელექტის ადამიანები ყველაზე ბედინერები არიან ადამიანთა შორის. მაგრამ რეალიზმი მოდის გვიან, მაშინ, როცა ადამიანს ასე აღვილად აღარ შეუძლია აიტანოს გრძნობების მღელვარე ზღვში ცურვა.

მე ფრთხილად დაგვაკუნე სახლის კარზე. დიდხანს ხმა არავინ არ გამცა. მოხვდი, რომ საჭირო იყო ხმაც.

— დედი!... კარი გაიღო და შეშინებულ ჩემიანებს გადავჭვიე...

გადაწყდა, სოფელში წავსულიყვათ. სიხარულით და მღელვარებით მოველოდი გათენებას, როცა კახეთის ზოზინა მატარებელს უნდა წავიდან ჩემს სააკვნეში. რამდენიმე დღით აღრუნველისტებიდან წიგნების დიდი შეკვრა მოგათრიე. ეს იყო ლოგიკის, ფიქროლოგის და ფილოსოფიის ისტორიის ცნობილი კურსები. ვინდელბანდი, ცელერი, ლიპსი, ლოსსკი მაშინ ჩემი კერპები იყვნენ და ყველაფერი, რასაც ისინი მეტებიდნენ, აბსოლუტურად შეუმცდარი მჯონა. უნივერსიტეტიდან მოტანილ ტვირთს



გიორგი ნადირაძე
ჭაბუკიძისას
(XX საუკუნის
ოცანი წლები)

საკუთარი წიგნთსაცავიდან ამოკრეფილი აუტორები მიუუმატე. აბსტრაქტული ტრაქტატების გვერდით აქ რამდენიმე საკურელი ხელოვანიც შევარჩიე, მათ შორის ოსკარ უაილდი, ავგუსტ სტრინბერგი და ოქტავ მირბო. მაშინ ეს სახელები ისე ქუხდნენ, როგორც სტენდალი და ბალზაკი დღეს. შენაურები ღიამილით ათვალიერებდნენ ჩემს ინტელექტუალურ ბარგი-ბარხანას. მე კი ერთადერთი მიზანი მქონდა: მესწოდა და ცოდნის საჭუალებით მომებოვებინა სულიერი სიმშვიდეც და საცხოვრებელი ადგილიც ცისქვეშეთში. საოცარია, რა ნათლად მქონდა წარმოდგენილი ეს ამოცანა უკვე მაშინ, ჰაბუკობის წლებში.

გამგზავრების დილაც გათენდა.

იმ საღამოს ყველას მოუსვენრად გვეძინა. როგორ მიგვიღებს სოფელი, რას გვეტყვის და რა უნდა ვუპასუხოთ. ეს კითხვა მგონი არავის არ გაძლვდა მოსვენებას.

მე ყველაფერი მოიფიქრე იმ მშფოთვარე დამტეს. არავის არ გავეკარები, არავის არ გაეცასუხები, ჩემი ერთადერთი მეგობრები იქნებიან წიგნები; უნდა ვისწავლო, — ასეთი იყო ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება. მაშინ არ მესმოდა ერთი რამ: ცხოვრება ისეა თავისთვად მოწყობილი, რომ იგი ვერ ითმენს ნეიტრალურ პოზიციას. თუ შენ არავის ცხოვრებაში არ შეიჭრება, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მშვიდობიანად შეგიძლია იარსებო. ცხოვრება იყენებს ყველას, ხეიბრებსაც. მისი ბუნება დინამიურია და აგრესიული. როგორც უნდა გადარაზო კარი, ის აუცილებლად იპოვის ნაპრალს, რომ შემოიჭრას შენს სულში, გინდა თუ არა, იძულებული გახდები, რაღაც ურთიერთობა დაამყარო მათან.

მეორე დილას უკვე აივანზე ვიჯექი ფილოსოფიურ შტუდიებში ჩაძირული. დღის განმავლობაში რამდენიმე საგანზე ვთიქობდი. მათ შორის პირველი ადგილი ეკავა ლოგიკას.

მაშინ იმ აზრისა ვიყვავი, რომ ამ საგანში ვერავინ ვერ დამამარცხებდა. ლოგიკას მოსდევდა ფსიქოლოგია და მერჯ ფილოსოფიის ისტორია. საღამო განკუთვნილი იყო პოეზიისათვის. მაგრამ ხანდახან პოეზია სრულიად სდევნიდა აბსტრაქტულ დისციპლინებს. საერთოდ კი იმ ხანად მე საკმაოდ მარჯვედ ვათვასებდი ფილოსოფიურ ცნებებს პოეტურ სახეებთან. არ ვიცი, რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მომდევნო წლებში პოეტური შემოქმედების სიყვარულმა თანადათან დაუთმო თავისი პოზიციები ფილოსოფიურ ინტერესს. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს გარემოება აუცილებლად უნდა პასივში შევიტანო. მე ახლაც არ მწამს ისეთი განათლება, რომელიც მოკლებულია ფილოსოფიურ საფუძვლებს, არ მწამს ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც არ გააჩნია რაიმე სამოძღვრებო აზრი. შინაგანი სიცარიელე არ ახასიათებს ბუნების არც ერთ მშვინიერებას. ადამიანის ესოუტიკური გემოუნება იწვრონება ბუნების მშვენიერებათა მასალაზე. რატომ უნდა ახასიათებდეს ასეთი რამ იმას, რაც გამოდის ადამიანის ხელიდან?

ჩვენს სახლს მშვინიერი ეზო ეკრა. ბავშვობიდანვე ჩვენს უდიდეს სიხარულს შეადგენდა ამ ვებერთულა ეზოში სირბილი სანადირო ძალების კომპანიაში. ეზოს ძრავალი ბურჯი ჰყავდა — გიგანტური კაკლის ხეები, ორი მსხმოიარე ბალი, ქლიავის, ვაშლისა და მსხლის ხეივნები. ეზოს მუშაცა და მოურავიც დედჩემი იყო. დაუკიწყარია ამ მუდამ მოუსვენარი შშრომელი დედაკაცის ფუსფუსი ბოსტნეულის კვლებში. ახლაც მასხვეს, როგორ აშენებდა აივნის წინ უშვენიერეს საგარდეს, როგორ რგავდა ალვებს სახლის ირგვლივ. დღე-დამტე ჩვენს ეზოში ვარდის სურნელება იყო დაფრენეული.

ჩვენი სახლის ერთი ნაკლი ის იყო, რომ



მტკიცება ბრძოლაში
დაღუპული ქართველი
მომარჯებები

მისი ფართო აფნის პირდაპირ დიდებულის მთის კალთაზე სოფლის სასაფლაო მოჩანდა. საკვირველია, რატომ არ ვერძნობდი მაშინ მიცვალებულთა სავაის სიახლოეს? არც ჩემი და-მძებისგან გამიგია ასეთი რამ, არც მობლებისაგან. ასე მგონია, არავინ არ ფიქრობდა მაშინ სიკვდილზე. ყოველ შემთხვევში, ეს იყო ისეთი შორეული ამბავი, რომელსაც მაშინდელი ადამიანი არასოდეს არ თვლიდა უბედურებად. სამწუხაობდ, სიცოცხლისა და სიკვდილის ასეთი შეპირისპირება სიმბოლური აღმოჩნდა მთელი ოჯახისათვის. საგალალო ისაა, რომ უდანაშაულოდ და უგუნურად.

იმსანად მამაჩემის ნივთიერი მდგომარეობა ძალიან შერყეული იყო. საერთოდ ჩვენ არასოდეს არ გვიცხოვრია დოვლათიანად და, მით უმეტეს, ხელგაშლილად. ყველაფერი გვაკლდა პურისა და ღვნის მეტი. დედაჩემის მარჯვენის მადლით სოფელში მწვანილიც ბევრი გვერდისა. მამაჩემის პალსტუხსა და შლაპას, მისი შვილების გიმნაზიურ ფორმას ყველანი შეცდომაში შეჰყვდა. მახლობლებიც და გარეშებიც იმ ახრისა იყვნენ, რომ მამაჩემს დიდი ქონება პქრიდა. ნაძლვილად, ის სახლიც კი, რომელსაც მე ჩვენს სახლს უწოდებ, ნახევარზე მეტად გალით იყო აშენებული. საწყალი მამაჩემი თუთრად ათენებდა დამეტს იმაზე ფიქრით, თუ საიდან უნდა გადაქადა ეს ვალები. ჩვენი სოფელი მდიდარი იყო, ვაჭრებისა და ბობოლა გლეხების ბუდე. თვითეულ მათგანს იძენი შემოსავალი პქრიდა თვეში, რომ მასთან მამაჩემის წლიური შემოსავალიც ვერ მოვიდოდა. მაგრამ იცით, რა იყო მაშინ ქიზიყველი გლეხი?.. თუმცა უმჯობესია ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

ჩამოსევლის დღიდან ახალი საფიქრებელი გაგვიჩნდა. რანაირად უნდა დაგბრუნებულიყავთ შემოდგომაზე თბილისში? გადაწყდა, გაგვყიდა აევა და პატარა ბინაში გადასულიყავთ.

მამაჩემი რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში დაბრუნდა ჩვენი უკანასკნელი „კაპიტალის“ სალიკვიდაციოდ. რამდენიმე დღემ მშვიდობიანად გაიარა.

ფილოსოფიური შტუდიები შესანიშნავად დაწყო. ლოგიკა დამარცხებული იყო, ვეჭიდებოდი კანტს. მაგრამ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ბედს სურდა და არა მე.

ერთ მშვენიერ დილას ეზოში ძაღლების ეფუა ატყდა. მე სასწრაფოდ დავეშვი კიბეზე



თუთრ ცხენზე ამხედრებული წითელარმიელი თბილისში

და ჭიშკარში შემოსულ სტუმარს შევვებე. სტუმარმა გამარჯვება მისურვა და შერე თავისი მოსვლის მიზანი განმიმარტა.

— საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ბაიდოშვილი გოთხვიდეო.

მე გამიკვირდა ასეთი თავაზიანობა.

— საიდან იცის საბჭოს თავმჯდომარებრემა ვინაობა?

— მაშ რას ვაკეთებთ, თუ ეგეც არ გვეცოდინება, დიმილით მომაწონა თავი ქიზიყელმა.


— კეთილი, რაკი ასეა, გეახლებით.

სტუმარი ჭიშკართან მიგაცილე და საჩქაროდ უკან შემოვბრუნდი. დედაჩემს არ ესიამოვნა ეს დაპატიჟება, თუმცა ის ზრდილობიანად იყო შემოთავაზებული. მე სუფთად გამოვწეუ და დანიშნული დროისთვის სახალხო თუთრის პოლიგონისკენ გავწიი.

სახალხო თუთრი შენდებოდა ჩვენი სახლის გვერდით. ის უკვე დაწყებული იყო. საძირკველი ჩაყარეს და ძველი „ხაზეინების“ წასელის შემდეგ შეწენებლობა თავისთვად შეწყდა. თუატრს აშენებდა სოფელი, აშენებდა თავისი სახსრებით და თაოსნობით. მისი ერთერთი პირველი მოთავე მამაჩემი იყო. როგორც ჩანს, სოფლის ახალ ხელმძღვანელობას განზრახული პქრიდა მშენებლობის განახლება.

სულ რამდენიმე წუთში თუთრის მოედანზე თავი მოიყარა სოფლის ინტელიგენციამ.

ალექსი ბაიდოშვილი! — გაისმა ხმა და გზაზე გამოჩნდა სოფლის თავმჯდომარის



ნიკო ფიროსმანის ნახატი „კაზთოს მატარებელი“

ფიგურა. ეს იყო შეუ ტანის ახალგაზრდა. ხელში მათრახი ეჭირა და ტარს მარჯვენა ჩემაზე ირტყამდა. მოგვაიაზღვდა თუ არა, გაუცინარი სალამი მოგვცა და გარდი-გარდ-მო აგვედ-დაგვედა. სახის გამომეტველება მეტად არასასამოვნო ჰქონდა. რატომდაც წარბმერული გველაპარაკებოდა და ჩვენი თვალის ისრებს ისე გაურბოდა, როგორც მხეცი მონადირეს.

— სადაურია? შევეკითხე ჩემს გვერდით მდგომ ახალგაზრდას. მან მეზობელს შეხედა და ჩემი კითხვა გადასცა უსიტყვოდ. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მან იცოდა არაფერი. მეოთხემ ჩუმად ჩაგვილაპარაკა:

— არავინ არ იცის, მაგრამ ნამდვილად აქური არ არის.

— საერთო სოფლის არც ერთი ხელმძღვანელი ჩვენებური არაა. არც იასონ ფხეიძე, არც ჩხეიძე.

— ესწინ ვიღა არიან?

დმტრომა უწყის, ვინ არიან. არც ის ვიცით, რას აკეთებს თვითეული მათგანი. ხელისუფალი არიან, მორჩა და გათავდა. განა ეს საქმარისი არაა?

— აი, რისთვის მოგიწყიერ, ამხანაგებო, — დაიწყო საბჭოს თავმჯდომარება, — თუატრის აშენება უნდა განვაგრძოთ. თქვენ ალბათ ბევრი თუატრი გინახავთ. კარგი იქნება, შევამოწმოთ ჩვენი შეხობის გვემა აი ამ სამირკველის მიხედვით და, თუ რამე შესასწორებელია, ახლავე მივიღოთ ზომები. მეორე საკითხია სახსრების შეკრების ორგანიზაცია. მაგრამ ამაზე შერე მოვილაპარაკოთ.

იქ თავმოყრილ ახალგაზრდობაზე ამ სიტყვებმა დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯერ ერთი, გვეკითხებოდნენ, ე. ი. ჩვენს აზრს ანგარიშს უწევდნენ, მეორეც, მართალია ფრაზები წარმოთქმული იყო ემოციური ოპერტონების გარეშე, რაღაც ცოვად და შშრალად, მაგრამ ადამიანის პირველი შთაბეჭდილება ჩვეულებრივ აფასებს აზრს და თავაზიანობის ფორმას. ეს უკანასკნელი ყველამ კმაყოფილებით მიიღო. ჩამოწვა დუმილი.

— აი, დააკვირდით ამ სამირკველს, განაგრძო ისევ საბჭოს თავმჯდომარებ. ეს არის პარტერი, ეს ფოიები, ეს შესავალი, ეს სცენა, რომელიც შევამცირე პარტერის გასაღილებლად.

ჩვენ დავიწყეთ მომავალი შენობის დათვალიერება. კველაფერი თითქოს რიგზე იყო. არავის არ მოგვწონა მხოლოდ სცენა. ის მეტისმეტად ვიწრო სხანდა. გადაზისმეტ კულისები და პროსკონიუმის ადგილი დაემსგავსა სიგანზე გაჭიმულ ლენტს. სცენა მოკლებული იყო სიღრმეს. აქ არაფრის დადება არ შეიძლებოდა. ის არ ფარგებდა არც პიესისათვის, არც საესტრადოდ. მდგომარეობა სავსებით ნათელი იყო, მაგრამ სხის ამღღებას ვერავნ ბედავდა.

— რაკი არაფერს ამბობთ, ჩანს კარგად შევვისწორებია ძველი გეგმა, წარმოსთქვა საბჭოს თავმჯდომარებ.

— მე და ალბათ სხვებსაც, — დავიწყე მე, ერთობ შევიწროვებულად გვეჩვენება სცენა. შეიძლება ვცდებით, მაგრამ მგონი კარგი იქნებოდა სიღრმე გაგვევარითეუბინა. ამ ვიწრო მოედანზე პიესა არ დაიდგმება. აქტიორები...

— ჩვენი მთავარი ამოცანა სალხი და არა აქტიორები, შემაწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარებ.

— აქტიორებმა პიესა უნდა დადგან ხალ-

ხისათვის. მე არ მიუიქრია, რომ ისინი ცა-
რიელ დარბაზში ითამაშებდნენ.

ახალგაზრდებმა, რომელთაც კვერი და-
უკრეს ჩემს პირველ ფრაზას, ხმა ჩაიკმინდეს
ჩემი გამოპასუხების შემდეგ.

— ნუ ეკამათები, წამჩურჩულა მეტობელმა.

— ეს არის რჩება და არა კამათი, თუ გნე-
ბავთ, კამათი იმის გამო, რომ შევამოწმო ჩემი
საკუთარი აზრი.

მე მოველოდი მოწონებას, მაგრამ თუმჯ-
დომარის მოღუშულმა სახემ მაგრძნობინა,
რომ ვცდებოდი.

— კეთილი, ამის შესახებ მე და თქვენ
მოვილაპარაკოთ ცალკე, წარმოსოქვა თუმ-
ჯდომარებ.

— რატომ ცალკე? უმჯობესია აი ამ ამხა-
ნაგების წრეში. იქნებ სხვასაც სურს თუვისი
აზრი გამოიტქვას.

ბაიდოშვილი უცნაურად შეწრიალდა.
მათრახი აათამაშა მარჯვენა ფქზე და მკა-
ხედ ძრძნა.

— დავიშალოთ, ამხანაგებო! სახლებისაკნ!

მე შევამჩნიე, რომ ჩემს გვერდით მდგომი
ახალგაზრდა, თუ არ ვცდები, ფედერალის-
ტების პარტიის ყოფილი წევრი, საჩქაროდ
გამშორდა. ზოგიერთიმა თვალი ამარიდა. ზო-
გი თუვის ალაგას დარჩა. როგორც სჩანდა,
უმეტესობის თვალში მე მოკვეთილი ვიყავი.

— რა გააკეთე, ბიჭი? მოიჭრა ჩემთან ფე-
დერალისტი, როცა ბაიდოშვილის ფიგურა
თვალს მოეფარა.

— არ მეშმის, რა გავაკეთე ისეთი, რომ ასე
გამომატებული თვალები.

— შენ შენი თვით დამფუძნებელ კრებაზე
ხომ არ გონია. მან მარჯვენა თითო ასწია
ზევით და შთამაგონებლად წარმოსოქვა —
დიქ-ტა-ტუ-რა!

— დიქტატურა და სოფლის თეატრი!
რანაირად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს ეს
ორი ცნება?

მე უკვე მოვემზადე, რათა ფორმალური
ლოგიკის მოედანზე დამემარცხებინა ჩემი
მოკამათე, მაგრამ ფედერალისტი ხითხითით
გამეცალა და მოული „სათათბირო“ აქეთ-იქით
გაიფანტა. მე ნელი ნაბიჯით სახლისაკნ შე-
უხვიე. შინ არაფერს არ ვიტყვი — ეს იყო
პირველი დასკვნა, რომელიც ამ უცნაური
დისკუსიიდან გამოიტანე და რამდენჯერ-
მე გავიმეორე ეს ფრაზა, რომ მეტსიერებაში
მტკიცედ ჩამჯდარიყო.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ კანტს ვე-
ჭიდებოდი.

მთელ დამე მოუსვენარ ფიქრში გაგაოუნე.
მაინც რა უცნაური ამბავი მოხდა. საკვირვე-
ლია, კაცმა დაგვიბარა თვითონ და გვთხოვა
ჩემი აზრი გამოგვთქვა. ისე, არც მას ვიც-
ნობდი, არც თუატრის საქმე მეკითხებოდა. გა-
მოვცხადდი და გამოვთქვი ჩემი აზრი. თითქოს
მადლობა უნდა ვთქათ...

მე მაშინ ვიცოდი პლატონიც, არისტო-
ტელეც, კანტიც, მაგრამ არ ვიცოდი ერთი
უმნიშვნელოვანესი ჰეშმარიტება, რომელსაც
ჩვეულებრივ ცხოვრების გამოცდილება გვანი-
ჰებს. არ ვიცოდი, რომ არსებობენ ადამიან-
თა როული და მრავალფეროვანი ხასიათები.
სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ყოველ
საქმეს წარმართავს და აგვარებს მხოლოდ
გონება. როგორ შეიძლება დავეთანხმოთ
ასეთ აზრს თუნდაც იმიტომ, რომ უმეტესობა
მოკლებულია გონიერებას და ცხოვრება კი
გამუდმებულ დუღილშია. ეს აზრი სწორია
იდეალში, მაგრამ აბსურდია სინამდვილეში.
იგი სასურველია, მაგრამ ძალიან იშვიათად
წარმოადგენს რეალურ ძალას. ლოგიკა ძლი-
ერია მეცნიერისა თუ მწერლის კაბინეტში და
სრულიად უძლური იქ, სადაც ერთიმეორეს
ეჯახებიან ნივთიერი თუ სქესობრივი ინტერუ-
სები. ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ გო-
ნების ლაგამი ამოსდონ თავის ინსტინქტებს,
ერთეულებს შეადგენენ. ჩვეულებრივ ისინი
არც მონაწილეობენ ცხოვრების მოედანზე
გამლილ შეჯიბრებაში, გამოგეტილ ოთახე-
ში სხედან და თავისი გონებრივი ძალ-ღონის
მოაზროვნებს ეჭიდავებიან. ცხოვრებაში
ადამიანი არის არა გონება, არამედ ხასიათი.

(1960 წელი)



აზ
მოვიზებათ
აუტორი
გოორგა
ნადირაძე XX
საუკუნის შეუ-
ხანებში



„ტიფლისის ხედი“ მიხაილ ლერმონტოვის გამორჩეული ნახატია, იგი ზეთის საღებავებითა შესრულებული 1837 წელს

(დაფილი II)

„მე სიყრმითგანვე უდედობა
დამეცა ზარად...
და როცა ბინდში გარდისფერი
გმოსავდა ნისლი, —
მე შენს სფრცეში მელანდვოდა
ჩურჩული მისი;
მიტომ მიყვარდა გარინდება
შენს მოუბთან წენარად!..
ო, კავკასიავ, შენ გეტრით მარად!“

ეს სიტყვები იმ ცნობილ პოეტსა და
პოლიტიკოსს მიხაილ ლერმონტოვს (ანზორ
აბეკანაძის თარგმანი) ეკუთვნის, რომელმაც
რუს მხატვართა შორის ერთ-ერთმა პირველმა
დაიწყო კავკასიის ბუნების ტილოზე გადა-
ტანა. ლერმონტოვის შემოქმედების ამ მხა-
რეს ჩვენში ნაკლებად იცნობენ. არადა, მისი

საუკეთესო ნახატების უმეტესობა სწორედ
კავკასიას უკავშირდება.

1837 წელს მეფის მთავრობა ძალიან
შეაშფოთა პუშკინის მკვლელებისადმი მი-
მართულმა ლერმონტოვის ლექსმა „პოეტის
სიკვდილი“. ამიტომ ის საქართველოში გად-
მოასახლეს და ნიუნი-ნოვგოროდის ღრაგუნთა
პოლკში განაწესეს. სწორედ ამ დროს გაიტა-
ცა პოეტი სატვამ. ლერმონტოვი მეგობარს,
სეიატოსლავ რავვსკის წერდა: „ესეცაა, რომ
ბოლოს მე ისევ დამაბრუნეს გვარდიაში,
ოღონდ გროდნოს პოლკში. ბებია რომ არ
ყოფილიყო, მე, სიმართლე გთხრა, სიამოუ-
ნებით დავრჩებოდი აქ, ვინაიდან საეჭვოა,
რომ გადასახლება უკეთესი იყოს, ვიდრე
საქართველო. მას შემდეგ, რაც რუსეთიდან
წამოვედი, განუწყვეტლივ ვმოგზაურობდი —

ხან საფოსტო ეტლით, ხან ცხენით. მოვიარე სამხედრო ხაზი სულ მთლად... ტანჩე მეცვა ჩერქეზული ტანსაცმელი, ზურგზე კი ორფი მქონდა გადაკიდებული. დამეს ვათუვდი ტრიალ მიხღორში, ვიძინებდი ტურების კივილში, ვჭამდი მჭადს, ვსამდი (ასე გასინჯე) კასურ ღვინოს... აქ ბევრია კარგი ყმავილი. განსაკუთრებით ტიფლისში ძალიან წესიერი ხალხია. მაგრამ ნამდვილი ნეტარება არის აქ თათრული აბანოები. მე საჩაროდ გადავიდე ყველა იმ შესანიშნავი ადგილის სურათი, რომელსაც კი ვესტუმრე, და სურათების გვარიანი კოლექცია მომაქვს თან“. კახეთისევნ მიმყალ გზაზე ლერმონტოვი დააგადდა და სტავროპოლის ჰისპიტალში მოხვედრილი, მალევე გადაიყვანეს ჰისპიტორსკში სამეცნიანოდ. ზაფხულის ბოლომდე პოეტი ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა, კისლოვოდსკას და უელზნოვოდსკში მეტრნალობდა, შემდეგ კი საქართველოსევნ დაიძრა. აი, როგორ შეაფასა ვისარიონ ბელინსკიმ ლერმონტოვის ჩვენს მხარეში გამოჩენა. „აკვკასია იქცა ლერმონტოვისთვის პოეტურ სამყაროდ, რომელიც მან მხურვალედ შეიყვარა. კავკასიის მიუვალ მწვერვალებში იძოვა მან თავისი პარასი“. დღემდე შემორჩენილია იტალიური ფანქრით შესრულებული ლერმონტოვის ჩანახატები, საყარაულოდ, გზაში შექმნილი: „ნნნგრვები არაგვის პირას“, „დარიალი“, „ტიფლისი, მეტების ციხე“, „მოცეკვავე ქართველები სახლის ბაზე“.

ნახატი „ჯვრის უღლეტეხილი კობის ხეობიდან“ შესრულების მანერით ლერმონტოვის სხვა ჩანახატებისაგან გამორჩეულია და აშკარად მიუთითებს პოეტის მიღრეკილებას დაწერ ხატვა ზეთის საღებავებით. ნახატი 1837-1838 წლებში ბებიისთვის შექმნა. 1896 წელს ის პეზის ბიბლიოთეკაში მოხვდა, პეზიდან კი 1930-1940-იან წლებში მიხაილ ლერმონტოვის სახლმწიფო მუზეუმ-ნაკრძალ „ტარხანიში“ გადაიტანეს.

ჩანახატების მიხედვითაა შექმნილი ლერმონტოვის ერთ-ერთი საუკეთესო ტილო „ჯვრის მთა“. მეობარ სვიატოსტლავ რავესკისადმი გაგზავნილ წერილში ის ემოციებია გადმოცემული, რომლებიც ლერმონტოვს საქართველოს მთიანეთის ხილვისას დაუფლობით აღმოგნდი, ურემი მიგაგდე და ცხენს

შემოვახტი, სვლა დათოვლილი მთის (ჯვრის) კენწეროსევნ განვაგრძე, ეს კი ადვილი არ გეგონოს; იქდან ნახვარი საქართველო ხელისგულიყით მოხსნას. სიმართლე გითხრა, ამ გასაოცარ გრძნობას ვერ აღვწერ და ვერც მის გადმოცემას მოვახერხებ: ჩემთვის მთის პატი ბალზამია, დარღი და მოწყენილობა ვერ გამეკარა, გული საგულედან ამოხტომას ლამობდა, მკრდილ მეფურად ვსუნთქავდი. იმ წუთებში არაფერი მინდოდა, მთელი ცხოვრუბა ასე ვიჯდებოდი და ამ თვალწარმტაც ხედ ვუყურებდი“.

ლერმონტოვმა ნამუშევარი თავის საუკეთესო მეგობარს აღექსანდრ ოდოვესკის აჩუქა. 1968 წელს ის ჰელისინკიში შეიძინა ფრანგმა საბალეტო მოღვაწე სერე ლიფარეგ და საბჭოთა კავშირის საარქივო სამმართველოს გადასცა. ნამუშევარი მხატვარ აღექსეი კორინის მიერაა რესტავრირებული, უკანა მხარეს დატანილია წარწერა: „ეს ნახატი პოეტმა ლერმონტოვმა კავკასიოში უკანასკნელი გამგზავრების წინ მაჩუქა. ზედ ჯვრის მთაა გამოსახული, სადაც მან სული დალია. თავადი ვ. ოდოვესკი“. (მინაწერში შეცდომაა: ლერმონტოვი პიატიგორსკში მოკლეს). საბჭოეთში ჩამოტანილი ნახატი 1971 წლიდან პიატიგორსკში, მიხაილ ლერმონტოვის სახლმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში ინახება.

პოეტმა საქართველოს მიწაზე ორ-სამ თვეს დაყო (დაახლოებით 1837 ოქტომბერ-დეკემბერი), როგორც თვითონ წერდა სვიატოსტლავ რავესკის, აქ „ბევრ კარგ ახალგაზრდას“ გაცნო. ამ ახალგაზრდებს შორის არაერთი ქართველი იყო: 1837 წელს ლერმონტოვთან ერთად ნიჟეგორონდის პოლკში



მიხაილ
ლერმონტოვი



„ჯვრის მთა“

მსახურობდა პოდპოლკოვნიკი ბარათაშვილი, მათი მორი კორლანაშვილი, შტაბს-კაპიტანები: ფავლენიშვილი და შალიკაშვილი, პრაპორ-შიგები-ანდონიგაშვილი, იოსელიანი, ერის-თავი, მაჩაბელი, საყვარელიძე-ბეჭანიშვილი. აქეთ იყვნენ სტუმართმუყარეობით ცნობილი გულბაათ ჭავჭავაძის ძმები, წინანდალში მცხოვრები იასონი და სპირიდონი.

„როგორც კი წინანდალში ნიჟეგოროდე-

ლები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, — გადმოგვცემს პოეტი, — ალექსანდრე ჭავჭავაძის „ტრამალვით გადაშლილი კარ-მიდამო“ სტუმრებით აფსებოდა. დაიწყებოდა ცხენების ჭენება, ლოდი, სროლა. იარაღით თავს იწონებდნენ რუსებიც და ქართველებიც. თითქმის გველას პერიდა ძეირფასი საბუღრიანი ხანჯალი და ხმალი, დამბახა ქამარში გარჭობილი და თოფი მხარზე გადებული. ნიჟეგოროდე-



„თუდასხმა.
სუნა
ძველას
ცხენებიდან“

ლექს ყაბარდოს ცხენები პყველათ, ზოლო ქართველებს ძვირფასი ყარაბაღული ულაყები, სპარსული ყაჯრებით და ყოველ მოძრაობაზე მოქადარუნე ბალთებით შეკაზმული“.

საქართველოს წარმტაცმა ბუნებამ, ქართველთა ყოფამ, ხალხურმა სიტყვიერებამ პოეტზე დიდი შთაბჭდილება მოახდინა. ნახატზე „თამარის ციხის ნანგრევები კახეთში, სოფელ ყარაღაჯის მახლობლად“ ნაჩვენებია გარემო, სადაც ლერმონტოვი მსახურობდა (ყარაღაჯში იდგა ნიუნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკი). მაღალი კლდე პირქუშად გადმოჰყურებს ძველ საფაჭრო-საქარაგნო გზას.

საქართველოს ძველმა დედაქალაქმა მცხოამ ლერმონტოვის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა. პოემა „მწირი“ მცხოთის, უფრო სწორად, ჯვრის მონასტრის აღწერით იწყება:

მას შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია...

სადაც ერთვან და ხმაურია,

ჩაჰკვრიან ერთურთს ისე, ვით დები,

მტკვრის წყალს და ტალღებს

არაგვის წყლები,

ნახავთ მონასტერს. დღესაც იქ გზები

მგზავრს რომ მიიყვანს,

თვალს ჰქონავს გალავანს,

შეძლებს კოშკთა და სვეტთა დალანდვას,

დანგრეულ კოშკს და თაღთა დანახვას. თუმცა აღარ ჩანს, როგორც ღრუბლები, სურნელოვანი კვამლის ქულები, არ ისმის დამით ხმა სიმღერების... ჩვენთა სულთათვის მლოცველ ბერების... (ალექსანდრე ელერდაშვილის თარგმანი)

მცხოთის ხედი ლერმონტოვმა ტილოზეც გადმოსცა: მდინარის პირას გზაზე კოშკი აღმართულა, იქვე სამიკიტნოა, შორს მთაზე კი ჯვრის მონასტრის სილუეტი მოჩანს.

ლერმონტოვი ნახატებში იმ პეიზაჟებისა და საყოფაცხოვრებო სცენების გადმოცემას ცდილობდა, რომელთაც პოეტზე დიდი შთაბჭდილება დატოვეს და ამასთანავე, ახალი ლიტერატურული სახეების დაბადებასაც მისცეს ბიძგი. ამდენად, ეს ნახატები თავისებური სამახსოვრო ბარათებიცაა, რადგან ისინი მხატვრული ნაწარმოებების დაწერამდე შეიქმნა.

ლერმონტოვის გამორჩეული ნახატი „ტიფლისის ხედია“, იგი ზეთის საღებავებით 1837 წელსაა შესრულებული. ნახატი რომანტიკული მხატვრობის საუკუთხო ნიმუშია. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ტილოზე ზედმიწვნითაა გადმოცემული ძეგლი თბილისის ხიბლი, არქიტექტურა,

„თამარის
ციხის
ნანგრევები
კახეთში,
სოფელ
გარაღაჯის
მახლობლად“





„საქართველოს სამხედრო გზა მცხოვლისათვა“

კარგად ჩანს ნარიყალას კედლები, გალავანი მტკვრის პირას (მისგან დღეს არაფერია შემორჩენილი), მეტქის ტაძარი და სხვ. ნახატი ლერმონტოვმა თავის ნაუსავ პაველ პეტროვს 1837 წელს სტავროპოლიში აჩუქა. იგი ამჟამად მოსკოვში, სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახბა.

ირაკლი ანდრონიკაშვილი, საბჭოთა მწერლი და ლიტერატურათმცოდნე 1953 წელს ნახატის შესახებ წერდა: „რამდენიმე წლის წინ ქალაქ თბილის სამხატვრო გალერეაში აღმოჩნდა ლერმონტოვის ნახატი, შესრულებული ნატურიდან ზეთის საღებავებით. ნახატი წარმოადგენს თბილისის სერთო ხედს ავლაბრის მხრიდან. ლერმონტოვს ეს დაუხატავს ისე, რომ სავარაუდოდ, მისი მოლდებული მდგარა მდინარის ფლატებიან ნაპირზე, იქ, სადაც მტკვარი უხვევს, ცოტა ზევით „გოგილოს“ აბანოებზე. აქ იწყებოდა გარეუბანი მირზა-აბადი, რომელიც მერე „ძალლის უბნად“ იწოდებოდა. ამის შემოწმება ძნელი არ არის: საქართველოს მაუმარის ქუჩიდან მტკვრის ნაპირზე გავიდეს, „გოგილოს“ აბანოს მახლობლად ბორცვზე აიაროს და მის თვალწინ გადაშლილი პანორამა ნახატის რეპროდუქციას შეადაროს. იქვე, ახლოს, ერმოლოვის დროს აშენებული ოფიცრების ყაზარმები მდებარეობდა, რომლებსაც შემდეგ პოკროვსკის ყაზარმები შეარქვეს.

ბევრი ოფიცერი კერძო ბინაში ცხოვრობდა, ყაზარმის მახლობლად. ალბათ ლერმონტოვმა მოინახულა ვინმე სამხედროთაგანი, რომელსაც ავლაბარში ჰქონდა ბინა, აღაფრონოვანი პოეტი თბილისის პანორამაშ, აქედან რომ იმულებოდა, და ერთ ან ორ სეანსში (მუშაობდა იგი საოცარი სისტრაფით) დაასრულა ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევრი“.

1840-1841 წლების ზამთარში, როცა ლერმონტოვი შევტულებას პეტერბურგში ატარებდა, პოეტი სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მიზანი ბებიის წინააღმდეგობის გამო ვერ შეასრულა, ელიზავეტა არსენიევა შვილიშვილის სამხედრო კარიერაზე დიდ იმედებს ამყარებდა და სრულიად მიუღებლად მიაჩნდა მიხეილის გატაცება პოეზიით. ამდენად, 1841 წლის გაზაფხულზე პოეტი საქართველოში დაბრუნდა. მან რამდენიმე ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა ქართველ ოფიცერ კონსტანტინე მამაკაშვილთან (მამაცვათან) ერთად. საბედისწერო გამოდგა პოეტის შეკამათება მაიორ ნიკოლაი მარტინოვთან, რომელმაც მიხაილ ლერმონტოვი დუელში გამოიწვია და პოეტი პიატიგორისკში ემსხვერპლა კიდეც ამ დუელს.

გიორგი აალანდია

საქართველოს ოფიციალური მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესიონალი

TIME

მ ი - 2 0 ს ა უ კ უ 6 0

გაზეთ „კვირის პალიტიკასთან“ ერთად, თვეში იჩივერ



მსოფლიო ბასტისელი!

გევაგროვე 16 წიგნად

ლეგენდარული ურნალის მიერ

„ცხელ კვალზე“ მოპოვებული

მასალები დოკუმენტური

ფაქტები, რეალური მოვლენები

და შეეხე ეპოქას!

7-დან 14 აპრილამდე

ნიგნი მასაზ
მეორე
მსოფლიო ომი

გამოსახული

რესერვის

რევოლუცია

და ს.ს.რ.კ.

ნიგნის ფასი: 7 ლ

გაზეთიან ერთად: 8 ლ

ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია
ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

ეკიზოდები გრიგოლ I-ის ცხოვრებიდან

მეცობა, ტყვეობა,
რუსეთში
მოღვაწეობა,
შთამომავლობა

ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო
დინასტიის ერთ-ერთი ღირსეული
წარმომადგენლის, ქართლ-კახეთის
უკანასკნელი მეფის, გრიგოლ I-ისა
და მისი ხელმძღვანელობით მიმდინარე
ბრძოლის შესახებ ჩვენს უკრნალში უკვე
ეწერდით (იხ. „ისტორიანი“, №№ 11, 15).
ამჯერად გაგაცნობთ რამდენიმე
ეპიზოდს გრიგოლ I-ის ცხოვრებიდან,
რაც ნაკლებად არის ცნობილი, ანდა
დღემდე უცნობი რჩებოდა. კრძოდ,
მოვითხრობთ მისი ხანძოელე
მეფობის ისტორიული მნიშვნელობის,
დაუტუსაღების, რუსეთში გადასახლების
შემდგომი ცხოვრება-მოღვაწეობისა და
შთამომავლობის შესახებ.

გრიგოლ ბაგრატიონი (1789-1830) იყო მე-
ფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, მეფე გიორგი
XII-ის შვილიშვილი და უფლისწული იოანეს
(1768-1830) ერთადერთი ვაჟი.

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუ-
სეთის იმპერიის ადგილობრივმა ადმინისტრა-
ციამ რუსეთში გადაასახლა ქართლ-კახეთის
სამეფო სახლის წევრი მამაკაცები, გრიგოლი
ამას იმის წყალობით გადაურჩა, რომ იმ-
ყოფებოდა დედის, ქეთევან ზურაბის ასულ
წერეთლის მამულში, იმერეთში, რომელიც
როგორც სამეფო, 1810 წლამდე არსებოდა.
აქევე დავძირთ, რომ გადასახლებას გადაურჩა
ალექსანდრე ბატონიშვილიც, რომელსაც თავი
სპარსეთის შეაფარა.

1812 წლის 31 იანვარს კახეთში იუეთქა
სახალხო აჯანყებამ, რომელმაც ქართლის
ნაწილიც მოიცვა. თებერვლის შუა რიცხ-
ვებში აჯანყებულებთან ჩავიდა უფლისწული
გრიგოლ იოანეს ძე. იმხანად რუსთავის უკვე
გათავისუფლებული იყო კახეთი და ქართ-
ლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც



გრიგოლ

გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონის უტოგრაფი

საოცუპაციო რეჟიმი და ცარიზმის კანონები
ადარ მოქმედდებდა.

23 წლის ბატონიშვილი აჯანყებულებმა
სიხარულით მიიღეს, თავიანთ წინამძღო-
ლად აღიარეს და ქართლ-კახეთის მეფედ
გამოაცხადეს. თვით რუსელი საისტორიო
წყაროები იუწყებან, რომ ქართულ ეკლესია-
მონასტრებში გრიგოლი მეფედ იხსენიებოდა.
ქართველი ხალხი ახლად კურთხული მეფის
სახლზე ლოცულობდა. გრიგოლ I-ის სამეფო
ხელისუფლება 1812 წლის 20 ოქტომბერიდან
6 მარტამდე ვრცელდებოდა მტრისგან გან-
თავისუფლებულ ტერიტორიაზე, რომელიც
ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს ნახევარზე
მეტს შეადგენდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლეგიტიმიზმის
საერთაშორისო პრინციპიდან გამომდინარე,
იმ დროისთვის ქართლ-კახეთის სამეფო ტახ-
ტის უპირველეს მემკვიდრეს წარმოადგენდა
გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი — დავითი
(1767-1819), რომელიც გვირგვინოსანი მამის
გარდაცვალებიდან (1800 წლის 28 დეკემბერი)

1801წლის მაისამდე სამეფოს გამგებელი იყო. 1803 წლიდან იგი პეტერბურგში, ფაქტობრივად, ტყვეობაში იმყოფებოდა. ვინაიდან დავითს შეილი არ ჰყავდა, სამეფო ტახტის რიგით მეორე მემკვიდრე იყო მისი მომდევნო ძმა იოანე, რომელიც, ასევე პეტერბურგში, ტყვეობაში იმყოფებოდა. იოანეს ერთადერთი ვაჟი — გრიგოლი იმხანად წარმოადგენდა სამეფო ტახტის რიგით მესამე მემკვიდრეს და იმავდროულად, გიორგი XII-ის ერთადერთ მამაკაც შთამომავალს, რომელიც რუს დამპყრობელთა ტყვეობაში არ იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, გრიგოლი, თავისი წარმომავლობით, სავსებით უფლებამოსილი იყო, ლეგიტიმური უფლების განხორციელებაზე და შესაბამისად, ქართლ-კახეთის სამეფოს რესტავრაციაზე ეზრუნა. მის სასახლოდ უნდა ითქას, რომ ყოველივე ეს, თუმცა მცირე ხნით, მაგრამ მაინც მოახერხა.

გრიგოლ I იყო რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ მებრძოლი ერთადერთი მევე აღმოსავლეთ საქართველოში, რომლის ლეგიტიმური უფლებები აღიარა რუსული იმპერიალიშმის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველი ერის დირსეულმა ნაწილმა. ბაგრატოვანი ხელმწიფის დროშის ქვეშ დარაზმული ქართველობა თავდადებით იბრძოდა ქართლ-კახეთის აღდგენილი სამეფოს დასაცავად.

იმავე წლის მარტში, ჩრდილოეთ კავკასიიდან დამატებითი სამხედრო ძალის მიღების შემდეგ, თბილისში მოკალათებულმა საიმპერიო ადმინისტრაციამ სისხლში ჩაახშო ამ სახალხო აჯანყების პირველი ეტაპი და გრიგოლ I-იც ვერაგულად დაატყვევა. გრიგოლის მეფობა სულ ორიოდე კეირას გაგრძელდა, მაგრამ ეს ფაქტი სამუდამოდ ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში, როგორც მორიგი მაგალითი, ბაგრატიონთა ხელმძღვანელობით დარაზმული ქართველი ერის დირსეული ნაწილის სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლისა.

შეუდოფილი რუსეთში გადასახლეს. ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა რუსეთშივე დატოვეს. ჩრდილოეთში გადასახლებულ სხვა ბაგრატიონთა მსგავსად, ისიც ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა. საყურადღებოა მისი პატიმრული და სატრუიალო ლექსები, რომელთა ორიოდე ნიმუშს ავტორისეული ავტოგრაფით აქ ვაქვევნებოთ.

გრიგოლ ბაგრატიონი იძულებული გახდეს, ჩარიცხული რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში, სადაც იმხანად უკვე ათასობით ქართველი მსახურობდა. გრიგოლი მონაწილეობდა რუსეთის არმიის საზღვრაულო ლაშქრობაში, რაც თავის სამოგზაურო ხსიათის თხზულებაში აღწერა. ერთხანს იგი ასტრახანში, ლაიბგვარდიის კახაკთა პოლკში მსახურობდა. მიუხედავად ამისა, მეფედოფილი ხიცოცხლის ბოლომდე დირსეულ მამულაშივილად დარჩა.

სამხედრო სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის წოდებით გადამდგარი გრიგოლი ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც ქართული კოლონიის თვალსაჩინო წევრი გახდა. მწერალი და მწიგნიბარი შმობლიურთან ერთად ფლობდა: რუსულ, ფრანგულ, სპარსულ, არაბულ, სომხურ ენებს.

1823 წლის, პეტერბურგში, 51 წლის ასაკში გარდაიცვალა ქეთივან წერეთელი. იგი დაპრაბრძოს წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ქეთივანის ერთადერთ მემკვიდრეს, გრიგოლ ბაგრატიონს ხება დართეს, რომ სამშობლოში დროებით ჩასულიყო და განსვენებული იყო პირადი ნივთები გადაებარებინა.



უფლისწერი დაფით — გიორგი XII-ის უფროსი გუვა, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე



**იოანე ბაგრატიონი — უშვილოდ გადაგემული
უფლისწელ დაფითის მოძღვნო ძმა, ქართლ-კახთის
სამეფო ტახტის რიგით შეორუ შეკვიდნე**

1824 წლის იანვარში თბილისში ჩამოსულ გრიგოლს დედის სული ნივთები გადასცა ბიძამ, პოდპოლკოვნიკმა გრიგოლ წერეთელმა.

იმავე თვეში 35 წლის გრიგოლმა თბილისში იქორწინა კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის, პოლონეური წარმომავლობის ფილდორ ბუკრინისკის ასულზე — ბარბარეზე (1810-1876), რომელიც თბილისში დაიბადა.

გრიგოლ ბაგრატიონი წერდა: „ვიყვა ათას რვაას ოცდაოთხში საქართველოში... ტფილისში დაფიწერუ ჯვარი გარეოუბანს. ეფრემ ძლვდელმა დამწერა ჯვარი სამების საყდარში იანვრის 21-ს... დაკემბრის 28-ს მამცა ღმერთმან ძე — დავით“.

გრიგოლსა და ბარბარეს შეეძინათ ოთხი შვილი: დაფითი, იოანე, ქეთეგნი და ეკატერინე. როგორც ვხედავთ, გრიგოლმა თავის უფროს ძეს დაარქვა ბიძის — დაფით ბატონიშვილის სახელი, მომღებნო ძეს — მამის სახელი, ხოლო უფროს ქალიშვილს — დადის სახელი.

მოღებნო ვაჟისა და ასულის დაბადებით გახარებული გრიგოლი წერდა: „იოანე დაიბადა წელსა 1826, თიბათვის 24 დღესა, ორშაბათს, ღამის 12 საათზე, ნათლისმცემლის დღესა. იმისმა მაღლმა გაზარდოს. ამინ!.. ქალი, ქეთეგნ დაიბადა მარიამობისთვის 16-სა, წელსა 1828, ღმერთმან გაზარდოს, ამინ!“. 1830 წელი საბედისწერო აღმოჩნდა მეფედყოფილისთვის.

გრიგოლ ბაგრატიონის ოთხშვილიანი ვჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა ასტრახანში, ნაქირავებ სახლში. სიღუწირეში მყოფი მეფე-პოეტი თავის წუხილს ლექსის ასეთ სტრიქონებში აქსოვდა: „სიცოცხლე მჭირს მეტად მწარი“, „მურსა ვთხოვ ჩემსა ციერსა“. ამის მიუხედავად, იგი დახმარებისთვის არავის აწუხებდა.

მეფედყოფილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მცხოვრები ქართველობის რჩეულ წარმომადგენლებთან. მათ შორის იყო მონაზონი იონა ხელაშვილი, რომელიც კარის მოძღვრად სხვადასხვა ღროს მსახურობდა და თუმცა ბატონიშვილებთან, ასევე იმერეთის დედოფლებთან — ანა ორბელიანთან (დავით II-ის მეუღლე) და მარიამ დადიანთან (სოლომონ II-ის მეუღლე).

იონა ხელაშვილმა გულთბილი წერილით მიუღლცა გრიგოლ ბაგრატიონს ახალი, 1828 წლის დადგომა, სადაც ხაზი გაუსვა მის ღრმად მორწმუნებას, თავმდაბლობასა და ცხოვრების მოკრძალებულ სტილს: „აპა, ესერა წელსა ამასცა 1828 და მრავალთა წელთაცა ერთბაშად მომლოცველობ თქუნდა და უკანათლებულესისა მეცხდრითურთ, ძებით და სახლეულითურთ, რათამცა სიცოცხლე თქუნი ძვირფასი თქუნთვის ამსახუროთ ღმერთსა და ცხებულსა მისსა... ესერა მაღალმან წინასწარევე უწყოდა, რომელმან მრავალთა ძვრათაგან გიხსნა და გიცავს... ხოლო უფროსდა სიმრთულითა შეგძინა სახიერმან ჭოველნი კეთილნი, ვითარცა მესმიან, ე.ი. მხოლოდ ნაქონებისა შემოსავლითა ცხოვრება თქუნი, რომელთაცა კმაყოფილებთ, რომელსა გძაგსთ ვასხისა მიღება და მით ცხოველობა... გრიდოს ღვთაებამან ყოვლად წმინდამან გალნი და ცოდვანი, რათა ხვასტაგნი მონაგებნი თქუნნი იქმნენ გარდაფენილ სხეუათა ზედა და იყუნეთ შეეუარებულ თქუნერთი მრავალთაგან სათხოდ მაღლისა...“

უმოწყვალესო ხელმწიფეო ჩემო! აპა, ესერა მმა ჩემი გიორგი დიდ ფრიად გმაღლობს და მეცა უფრიადესად შეწყნარებისათვის ამისსა. მოიხსენეთ ჩემი შეთხოვნა და მისწერეთ მეფის ძეს, მამასა შენსა იოანეს ბატონისშვილს“.

1830 წელი საბედისწერო აღმოჩნდა მეფედყოფილისთვის.

15 თებერვალს პეტერბურგში გარდაიცვალა გრიგოლის მამა — 62 წელს მიღწეული იოანე ბატონიშვილი, რომელიც ასევე შეჭირ-

ვებულად ცხოვრობდა. მისი დასაფლავების სარჯი სახელმწიფომ გაიღო. იგი დაკრძალეს წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, სადაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მრავალი წარმომადგენელი განისვენებს.

22 ფლისს, პეტერბურგში მცხოვრები იმერეთის დედოფლის, მარიამის მოძღვრის, მამა ონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლი წერდა: „სასურველო მამაო ონა, მოწყალე ხელმწიფებ, მარჯვენას გიამბორებ და გთხოვ მათს უძალლესობას დედოფლალს მარიამ იმერეთისას ჩემ მაგიერათ მიულოცო თავის ანგელოზის დღეობა. მე თვით მსურდა მილოცვა, მაგრამ ცოტა შეუძლოთ გახლავარ და ამის მიზეზით ვერ ვახელ და ვთხოვ ბოლიში იშუამდგომლოდ, რომელ მადლობელი ვიქმნები სადამოზედ თუ შევიძელ, ვახლებ“. სექტემბერში, პეტერბურგში მყოფი გრიგოლ ბაგრატიონი გაცივდა და რვადღიანი ავადმყოფობის შემდეგ, 21 სექტემბერს, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალეს წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლის მეუღლე რცი წლისა დაქვრივდა, იგი აღარ გათხო-

ვიდა. მან შვილები ღირსეულ ქართველებად გაზიარდა. 1876 წლის 29 ნოემბერს ბარბარე გრუზინსკაია 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალეს მეუღლის გვერდით.

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მეფების, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ყველა შთამომაზებლს მიენიჭა წოდება „თვალი გრუზინსკი“, რომელიც 1865 წლიდან ჩამოყალიბდა როგორც — „უგანათლებულესი თავადი გრუზინსკი“. შემდგები მათ ეს წოდება გაუგვარდათ, ვინაიდან რუსეთის იმპერიის მესევერებს ბაგრატიონთა გვარის ხსენებაც კი აღარ სურდათ.

საგულისხმოა, რომ გრიგოლის გარდაცვალებიდან მესამე წელს მის ბიძას (მამის ძმას), ილია ბატონიშვილს შეეძინა ვაჟი, რომელსაც მეფედყოფილის სახლი დაარქვეს.

გრიგოლ I-ის გარდაცვალების გამო, მისი შვილები უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათ თავიანთი ნათესავები შეძლებისდაგვარად ქმარებოდნენ. ობლებს მცირეოდენი შემგვიდრეობაც ერგოთ.

1838 წლით დათარიღებულ ხელნაწერში კვითხულობა: „ჩვენ, მეფის გიორგის ძეთა,



კახთმეფეთა სატახტო ქალაქი თელავი. სამეფო რეზიდენციის გაღაფანი (ბატონის ციხე)

უკანას	მ. მ. მ. მ. მ. მ.
თავის ქადაგისა:	შემოს უს
საცხოვს რეალისა:	გა მ მ მ მ მ
აწ კვავ წყლისა:	მ მ მ მ მ მ
რეალისას უს:	გ გ გ გ გ გ
ასეთი თავს ჩეს:	კ კ კ კ კ კ
შე ს უ ს უ ს უ ს:	ა ა ა ა ა ა

მეფედფოფილი გრიგოლ ბაგრატიონის პატრიოტული ლირიკის საუკუთხოს ნიმუშები

მეფის ძე ბაგრატის, თეიმურაზს, მიხაილს, ილიას, ოქროპირს, ირაკლის და ჩვენი ძმის იოგანეს შეიღინებებს, გრიგოლის იბლებს, დაგვრჩა ჩვენი საკუთარი მამული და მემკვიდრეობით თავის საყოფელი ქარვანსრა, საქართველოში, ტფილისის ქალაქში, მახლობელი სიონის სობორისა მდგომარე“.

ახლა, რაც შეეხება მეფე გრიგოლ I-ის შთამომავლებს, რომლებიც ცნობილი არიან გრუზინების გვარით.

გრიგოლის უფროსი ვაჟის — დავითის გარდაცვალების თარიღი უცნობია. იგი უშვილოდ გადაევო.

მამის გარდაცვალების შემდეგ, იოანე გრიგოლის ძე (1826-1880) მიიჩნეოდა უგანათლებულესი თაგადი გრუზინსკების გვარის ანუ ფაქტობრივად — ქართლ-კახეთის სამეფო სახლის მეთაურად. 1847 წელს მან დაამთავრა პაჟთა კორპუსი. კამერ-პაჟი იოანე ჩაირიცხა კავალერგარდის პოლკში, სადაც ერთ წელიწადის მსახურობდა. ამის შემდეგ მან სამხედრო სამსახურს თავი დაახება.

უცხოეთში ყოფნისას იოანე გრუზინსკი დაუახლოედა მწერალს, პუბლიცისტს, ფილოსოფოსა და რევოლუციურ მოღვაწეს ალექსანდრ გერცენს. ალექსანდრ გერცენისა და ნიკოლაი ოგარიოვის ხელმძღვანელობით, ემიგრაციაში (ლონდონი, შენგვა) გამომავალ გზებით „კოლოფოლი“ იოანემ 1865 წელს გამოაქვენა სტატიები: „Из Тифлиса“ და „Из Грузии“. მას ამ გაზეთის გამოცემაში მატერიალური წვლილი შეპქონდა. სამაგიეროდ, უნევაში კილის შეძენაში იოანეს გერცენი დაქმარა.

იოანე გრუზინსკი იყო ქართული ლიტერატურის, ხელაწერების, მხატვრული ჭედურობისა და ისტორიულ რელიკვიათა შემგროვებელი. მას პქონდა მდიდარი ფონდი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო და თვითონაც საქმარე შეასრო.

თანამედროვეთა ცნობით, იოანე გრუზინსკი იყო მჭვრმეტყველი და „პტერბულში ერთადერთი შექმრები ქართული ძველი ნაშთებისა და ღირს-შესამჩნევ ნივთთა. ასე რომ, მისი სახლი შეადგინდა ქართულს ძვირფასს მუზეუმს. იმის ბიბლიოთეკაში იყო ბევრი ძველი სხვადასხვანარი მეფის სიგელი და ნივთები და სხვათა შორის, ბრილიანტის საათი ერკლე მეფისა, პავლე იმპერატორისაგან ნაჩუქერი. წიგნთა შორის განსაკუთრებითი ფურადღების ღირსნია ძნელად საშოვნი სახარების უზემპლიარები და სხვ საკელესიო წიგნები, რომელიც უცხოდ არიან შექულნი ვარაყებით და სხვ. გარდა ამისა, იმას პქონდა სურათები ქართველთ მეფებისა და მათი სახლობებისა.“

1850 წელს უგანათლებულებმა თავადმა იოანე გრუზინსკიმ ცოლად შეირთო გერმანული წარმომავლობის გრაფინია ეკატერინე პალენი. მათ შეიღები არ შესძენიათ. იოანეს სიმარი იყო კავალერიის გენერალი, გრაფი პავლე ფონ დერ პალენი, შვილი ასევე კავალერიის გენერალ პეტრე ფონ დერ პალენისა, რომელსაც გრაფის ტიტული იმპერატორმა პავლე I-მა მიანიჭა.

იოანეს ქვისლი იყო გიორგი დადიანი, უცხოეთში ძე ოდიშის მთავარ გრიგოლისა.

იოანე გრუზინსკი — გამბედავი, მხიარუ-

Աղամած աւանդութեա: Երևան ապէն
Տագանց աւանդութեա: Երևան ապէն
Եղանակ աւանդութեա: Երևան ապէն

ამ ლექსების აუტოგრაფები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ლი და გარობის მოყვარული ადამიანი იყო. მას ახლობელ-მეგობართა ფართო და გავლენიანი წრე გააჩნდა. ერთ-ერთი თანამედროვეს შეფასებით, ორანეს „ბევრი კარგი ზე სჭირდა... ნათესავებისათვის არაფერს იშურებდა.... გარდა ამისა, ვინც კი საქართველოდგან აქ მოვიღოდა, ცდილობდა ყოველისფრით პატივი ეცა... ბევრჯერ... დარიბ და საწყალ ქართველ სტუდენტებისათვის ხელი გაემართავს“.

იოანე გრუზინსკი პეტერბურგში არსებული ინგლისური კლუბის წევრი იყო.

იმაგ შამილის დატევევებისა და კავკასიის დაპყრობის დასრულების შემდეგ (1859 წ.), პეტერბურგს ეწვია ამ რეგიონის მეფისნაცვალი, გენერალ-ფელდმარშალი ალექსანდრ ბარიატინსკი, რომელსაც, როგორც ტრიუმფატორს, დედაქალაქის ელიტა დიდებულად დახვდა. სარდლის პატივსაცემად ინგლისურმა კლუბმაც მოაწყო ბანკტი, რომელსაც იოანე გრიჭინსკიც დაესწრო.

ამ ბანკეტის შესახებ დღიური დმიტრი ივაიხ
ობოლენსკის მოგონებებში ვკითხულობთ
(რესულიდან თარგმანი ჩვენია): „სადილზე
იმქოფებოდა თვალი იოანე გრიგორის სიკი, სი-
ნა მადვილებში ქართველი უფლისწული, კაუ-
კასიის მფლობელთა შთამომავალი, მთელი
პეტრებურგის სითვის ცნობილი ბონ-ვეფანი, რო-
მელსაც მეტსა ხელად „კარ-ივანს“ ეძახდნენ.

სადიღლე ბევრი სადღევრძელო წარმოითქმა. ბოლოს, ბარიატინსკის სიტყვით მიმართა ცნობილმა ნიკოლაი ფანიჩ გრუხმა, რომლის სიტყვაც გრძელი და მოსაწევენი იყო. მას საუბარი შეაწევეტინა გრუზინსკიმ და ბარიატინსკის შესახებ ალიზშა, რომ მან

გაიმარჯვა არა რუსული იარაღის ძალით, არამედ პირადი მომზიგლელიბით, გონიერებით, დიდსულოვნებითა და სიმართლით, რის გამოც მას მიექმნენ კავკასიელი თავადები და მოსახლეობა...

ფრიად უკმაყოფილო გრეჩმაც თავის მხრივ
შეაწევებინა გრუზინსკის:

— ნება მიძოტე, დავამთვარო! „ცარ ივანია“ იგი ხელის მპრძანებლური ჟესტით შეაჩერა და დამსწრე საზოგადოების გასაღონად, ხმამალლა განაკაბა:

— როდესაც არწივები ლაპარაკობენ,
თუმცირები არ უნდა ბზუოლნენ!..

ამ განცხადებისას „ცარ ივანი“ წელში
გაიმართა და საცოდავი გრეჩი საბოლოოდ
დააპირა. სცენა ძლიერ ეფექტური გამოდ-
გა; განსაკუთრებით, თუ კვითსენებთ თავად
იოანე გრუზიისკის თეატრალურ გარეუნობას:
მის მაღალ შუბლს, არწივის ნისკარტისებურ
(ჯვირს და წარმოტობულ წერს“.

1868 წელს უკრნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა პლატონ იოსელიანის წერილი სახელწოდებით: „მათ უგანათლებულებობას, მეფისა გიორგი მეათცამეტისა ძის იოანეს ძის-ძეს იოანე გრიგორის ძეს, გრუზინსკის“. წერილის დასასრულს პლატონ იოსელიანი იოანე გრუზინსკის ასე მიმართავდა: „მეფე გიორგი მეათცამეტე იყო პაპისა თქვენისა მამა; ამისთვის, თქუენ, ვითარცა უფროისა, პირშოოსა სახლისა მისისა შთამომაგალდა და მემკვიდრესა, გიძღვნი ცხოვრუბასა ამას მისსა. უგანათლებულებობას თქვენისა ერთგული და მორჩილი პლატონ ეგნატის ძე იოსელიანი“.

იოანე გრუშინსკიმ მასთან დაცული ხელნაწერები პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა.

1880 წლის 15 სექტემბერს, პეტერბურგში მყოფი იოანე გრუშინსკი 54 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გაზეთი „დროება“ წერდა: „გარდაცვლილა იოანე გრიგოლის ძე გრუშინსკი, შვილის შვილი მეფის ძის იოანე გიორგის ძისა, რომელმაც შეადგინა ქართული ლექსიკონი. ეს ლექსიკონი, სანამ ჩუბინაშვილის ლექსიკონი გამოიიდოდა, დიდი ხანი ერთადერთი მასალა იყო მეცნიერ-ორიენტალისტებისათვის“.

იოანე გრუშინსკის გარდაცვლებიდან შე-ორმცე დღეს პეტერბურგში აღალინეს მისი სულის მოსახსნიერებელი პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ: განსვენებულის და ქეთევანი, ბატონიშვილები გიორგი, ილა და სხვები.

1880 წლის 7 ნოემბერს, გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „რუსეთი. პეტერბურგი, 26 ოქტომბერი“ ვგით ხულობთ: „ამ დღეს, პეტერბურგში დანიშნული იყო წირვა და

პანაშვიდი განსვენებული თვალი ივანე ბატონიშვილისა, რადგან იმ დღეს სწორედ ორმოცი შესრულდა იმისი გარდაცვლების შემდეგ. პეტერბურგი და საძაგელი ამინდის გამო, ხალხი ბევრი არ იყო; მაგრამ ვინც პეტერბურღში ბატონიშვილის გარისანი არიან, ყველანი იყვნენ... ამ ბოლოს დროს, განსვენებულმა ძლიერ მიპყო შრომას ხელი. ის მსახურობდა აქაურ დუმაში და რამდენიმე კომისაში წევრათ იყო ამორჩეული... დიდი ლირსება ჰქონდა განსვენებულსა: რასაც კი დაგპირდებოდა ან რაზეც სიტყვას მოგცემდა, უთუოდ აგისრულებდა კიდეცა. ეს ლირსება, როგორც მოგჭირებათ, ძალიან ძვირია ჩვენში“.

გრიგოლ I-ის უმცროსი ასული ეკატერინე გრუშინსკაია (1830-1917) — რუსეთის დედოფლის სეფექალი (ფრეილინა) იყო. დედოფლის გარდაცვლების შემდეგ, საცხოვრებლად იტალიაში გაემგზარა.

გრიგოლის უფროსი ასული ქეთევან გრუშინსკაია (1828-1891) ცოლად გაჰყვა გენერალ-მაიორს, თავად მიხეილ ლუარსაბის ძე

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის საფლავზე აღმართული ობელისკი.
პეტერბურგი, წმ. ალექსანდრე ნეველის დაფრა





რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის კორონაცია. დანიელი შხატვრის, ლაურიტს ტუქინის ნახატი

სუმბათშვილს (1822-1886). მათ შვიდი შვილი შეეძინათ მათი ერთ-ერთი ასულის, 1871 წელს დაბადებული მარიამ სუმბათშვილის შესახებ საყურადღებო მოგონებაა დაცული ნიკო ბაგრატიონ-მეხრანბატონიშვილის (1865-1933), ანუ „ნიკო ბურის“ მოგონებებში. აქვე დავძძნო, რომ ნიკო ბური, როგორც ქართველ თავადაზნაურთა დეპუტაციის წევრი, დაესწრო ნიკოლოზ II-ის იმპერატორად კურთხვის სახეიმზ ცერემონიას, რომელიც 1896 წლის 17 მაისს, ძოსკოში, მიწქმის ტაძარში გაიმართა.

კორონაციის შემდეგ მოეწყო წვეულება და მეჯლისი, სადაც თვით მოიგარეს არაერთი ქვეყნის არისტოკრატიის წარმომადგენლებმა და მათ შორის, მშვინიერმა მანდილოსნებმაც.

ნიკო ბურის მემუარებში ვკითხულობთ: „ლამაზ ქალთა თაიგულში ერთი მეორეს სჯობდა, ერთი მეორეზე მეტად მომწონდა და მაღლებებდა. მათ შორის გამოირჩეოდა ელენე ჩერნოვორსკაია (ჩერნოვორიის მთავრის ასული), რომელიც შემდეგში იტალიის დე-

დოფალი გახდა. აგრეთვე ყველას ყურადღებას იპყრობდა მეორე ულამაზესი ქალი, ქართველების სასისარულოდ და სასიქადულოდ — მარიამ მიხეილის ასული სუმბათშვილი.

ფართოდ გაღებული კარიდან შოპენის პოლონეზის მომაჯადოებელ ხმაზე გამოვიდნენ ბრწყინვალე წყვილები, სამჯერ შემოუარეს დარბაზის ირგვლივ. ყოველ შემოვლაზე მამაკაცები ინაცვლებდნენ წყვილში მყოფ მანდილოსნებს. შემდეგ დაიწყო ცეკვები“.

რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის კორონაციაზე შესანიშნავი გარეგნობით გამორჩეული მარიამ სუმბათშვილი, შვილიშვილი უკანასკნელი ქართველი მეფისა, იმხანად 25 წლისა იყო...

ასეთია რამდენიმე ეპიზოდი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გრიგოლ I-ისა და მის შთამომაცალთა ცხოვრებიდან.

ნიკო ავავაზიალი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თუ პროფესორი

გამოშვიდობა დიდ გაცნოერთან და „სადღეგრძელო“ გეორგ იბერიძის



აბესალომ ვახან: ზეზოა და მზია ჩე პინადროპდნეო...

საუკუნის მეცნიერად სიცოცხლეშივე აღიარეს, ხოლო აღმოჩენა, რომელიც მის სახელს უკავშირდება — ამერიკულმა სამეცნიერო-პოპულარულმა „საინსტა“ 2000 წლის მსოფლიო საოცრებათა ათეულში მესამე ნომრად შეიტანა.

88 წლისა წავიდა ჩვენგან აბესალომ ვეკუა და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე საყვარელ საქმეს ემსახურებოდა.

ბატონი აბესალომი „ისტორიანის“ პირველი ნომრის რეპონდენტიც გახლდათ და უკავშირდება სერგეი პირველი ხელმომწერიც. მსოფლიო დონის აღმოჩენებსაც პირველს „ისტორიანს“ აცნობდა და მის სფეროში წმოჭრილ საკითხებზე კომპეტენტურ დასკვნებსა და რეკომენდაციებსაც გაწევდიდა.

„ისტორიანის“ მკითხველთაგან არაერთი თანაგრძნობის ზარი და შეტყობინება მიეკუთვნება ამიტომაც გადავწევიტეთ, ვრცელი მასალა მიგვეძლვნა ჩვენი ღირსეული თანამემამულის ცხოვრებისა და მოღვწეობისთვის.

დეანისი — პირველი ეპროპელის საშორაბლო!

თბილისიდან სულ რაღაც 85 კილომეტრში, მდინარეების — მაშავერასა და ფინეზა-ურის შესართავთან მდებარე დანაისის ნაქა-

ლაქარი კარგა სანია, ქართველ და მსოფლიო პრეისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:
1982 წელს, დმანისის შუა საუკუნეების

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელებმა ვახტანგ ჯაფარაშვილმ და ჯუმბერ კოპალიანმა პალეობიოლოგიის ინსტიტუტს აცნობეს, ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრებისას „საეჭვო“ ძვლებს გადავაწყდითო. იმდენად დიდი იყო აბესალომ ვეკუას სურვილი, პრეიისტორიული ცხოველებისთვის ადამიანიც „მიემატებინა“, რომ რამდენიმე საათში უკვე ნაქალაქარზე იყო. „საეჭვო“ ძვლები მილიონ წელზე ადრინდელ ხერხმლიანთა ფუნქსის მიეკუთვნებოდა, ამიტომაც გამოცდილი პალეონტოლოგი დმანისზე გამომორჩო. მისი „კოლექცია“ სულ უფრო მდიდრდებოდა. საერთაშორისო სიმპოზიუმზე ნოვოსიბირსკში, საქართველოს დაკითლორთქიფანიერ წარმოადგნდა, იმ დროისთვის ახალგაზრდა მეცნიერი. მან ბატონი აბესალომის აღმოჩენილი პრეიისტორიული სპილოს, ჟირაფის, ადრუელი ცხნის, აფთრის, ხმალებილა ვეფხვის ნაშთების შესახებ ცნობილ გერმანელ პროფესორს გერპარდ ბოსინსკის უამბო. ისიც უთხრა, პირველყოფილ ადამიანთა ქვის იარაღებიც ვაპოვეთო და ბოსინსკიც დაბარებულივით „გამოცხადდა“ ობილისში.

გერმანელი პროფესორი იმდენაც განცვიფრებული დარჩა, თავადვე ითავა შემდგომი გათხრების დაფინანსება და ქართველი

მეცნიერები გერმანელებთან ერთად მათივე „ხარჯზე“ მუშაობდნენ დმანისში...

მთელი ათწლეულის შემდეგ, თითქოს სიმბოლური იყო, რომ პრეიისტორიული ადამიანის პირველ კვალს ახალგაზრდა გერმანელი არქეოლოგი ანთა იუსტუსი გადაწყდა. ჰერ აბესალომს დაუწეუდა... აბესალომ ვეკუას მოგონებიდან: — სადამო ხანი იყო, მაგრამ თბილისში რა გამაჩერებდა. დმანისში ჩასულს, შემოგებამდე კიდევ თითქოს გრძნობდნენ, რომ სენსაციური აღმოჩენა გველოდა და იქ მყოფთ კაცონი დაენთოთ... ინათა თუ არა, გათხრები დავიწყეთ, მოული ორი დღე მოვუნდით. მოსალოდნელი მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ ყველას გაცნობეთ, ტელეოპერატორებიც „გვდარაჯობდნენ“.

და აი, ხელო მქონდა მსოფლიოს ყველა პალეონტოლოგის ოცნების საგანი — 1 მლნ 800 ათასი წლის წინანდელი 22-25 წლის ადამიანის ქვედა ყა! ეს იცით, რას ნიშნავდა? გადატრიალებას მსოფლიო პალეოანთროპოლოგიაში. მანამდე მიიჩნევდნენ, რომ აფრიკაში 2,5 მლნ წლის წინ წარმოშობილმა ადამიანმა 1 მლნ ან 600 ათასი წლის წინ ჩამოაღწია ევროპაში. ჩვენ კი ერთ შშვნიერ დღეს გასკვნით, რომ 1 მლნ 800 ათასი წლის წინ საქართველოში უკვე ბინადრობდა იმ უძ-

დმანისის ნაქალაქარი





აბესალომ ვეკუა — პალეონტოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ეროვნული მუზეუმის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მოსოფრაფიის ავტორი

ველესი აფრიკელის მსგავსი ადამიანი. და რომ პირველი ვეროპელის წინაპარიც სწორედ ის იყო. ბევრი როდი გვიჯერებდა. ლეო გაბუნიაძ და დავით ლორთქიფანიძემ ფრანკფურტში, სამეცნიერო კონფერენციაზე წაიღს „ქართველი“ ჰომინიდის ქვედა ყბა. ზოგიერთმა ბოლომდე არც მაშინ დაგვიჯერა.

1999 წელს კი მსოფლიო საუკუნის აღმოჩნდის მოწმე გახდა. დმანისში ნაპოვნმა 1 მილიონ 800 ათასი წლის წინანდელმა ორმა თავის ქალამ (რომელთაგანაც ერთ-ერთს მიეკუთვნებოდა აღრე ნაპოვნი ჰომინიდის ქვედა ყბა) მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება

ამჯერად უკვე დაუკვებლად დაარწმუნა ათი წლის წინანდელ მოსაზრებაში, რომ დმანისური აღმოჩენა ჰომო ერეტისების აფრიკულ ჯგუფს უკავშირდება, და რომ აღმოსავლეთ აფრიკიდან, რითმის დაბლობიდან წამოსული პრეისტორიული ადამიანი, ახლო დერუფნის გავლით, ჯერ კიდევ 1 მილიონ 800 ათასი წლის წინ მიადგა დმანისს.

ამგვარად დასრულდა ესპანელების, იტალიელებისა და ფრანგების დავა პირველებრობელობაზე. მეტიც, ტოტაველელი (სამხრეთ საფრანგეთი) მამაკაცი დმანისელზე 1,3 მილიონი წლით უმცროსია...

მეცნიერის გიოგრაფიიდან

ფოთში დაიბადა და მფრინაობაზე ოცნებობდა. როცა 37-ში მამა გადაუსახლეს (საიდანაც ვეღარ დაბრუნდა), ოჯახის დასახმარებლად, 12 წლისა სახერხ ქარხანაში მუშაობდა. სავიაციო სასწავლებელი თბილისში დაამთავრა, ფრენა „ტუ-2“-ზე ისწავლა ნაფარეულის ესკადრილიაში, ერთხანს ტამბოვში დაფრინავდა. ასაკის გამო არ უომია. დემობილიზებული თბილისში რომ დაბრუნდა, მიხვდა, მფრინაობა ჩემი საქმე არ არისო. იურიდიულ ინსტიტუტში ჩაირიცხა, ორი წლის შემდეგ სასწავლებელი მოსკოვში გადაიტანეს. დედამ რუსეთისთვის კვლავ ვერდარ გაიმეტა შვილი და... ამჯერად უნივერსიტეტში ჩაირიცხა, გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

აქ კი მიხვდა, რომ სწორედ იმ გზას დასდგომობდა, რომელსაც ლამის მთელი ახალგაზრდობა ეძებდა. სწორედ აქ შეხვდა მსოფლიოში აღიარებულ პალეონტოლოგს, ლეო გაბუნიას და აქედან დაიწყო მათი მეგობრობა.



დმანისური პრეისტორიული თავის ქალამის „კოლექცია“

მესამეკურსელი იყო, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში, პალეონტოლოგიურ ექსპედიციაში პრეისტორიული (17 მილიონი წლის წინანდელი) აფთრის ქვედა ყბა აღმოაჩინა, რომელსაც სახელი ბატონმა ლეო გაბუნიამ დაარქვა: „ჩროცუტა-აბესალომი“ ანუ „აფთარი-აბესალომი“. კარგა ხანია, მსოფლიო პალეონტოლოგიის „ანაბანა“ აქედანაც იწყება.

კვლავ აღმოჩევები

პირველი გახმაურებული დმანისური აღმოჩენის შესახებ საინტერესო მოსახრებას გამოთქვამდა საფრანგეთის აღამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი ანრი დე ლუმლეი: „დმანისის ადგილსაპოვებელში აღმოჩენილი ნამარხი ორი ახალი თავის ქალა დაკავშირებულია მსხვილი ძუძუმწოვრების მდიდარ და მრავალფეროვან ფაუნასა და არქაულ იარაღებთან... აქედან ცხადი ხდება, რომ პირველების გროვებითა შთამომავლები სწრაფად იპყრობდნენ ევროპის ხმელთაშუა ზღვის ნაბირებს ხორვატიიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე. მიჰქონდათ კულტურა, რომელიც სამყაროს ისტორიის ახალ განზომილებას წარმოადგენდა“.

„დმანისური მონაპოვარი ნამდვილი ოქროს საბადოა“, — წერდა უურნალისტი ანა ტავერნი გაზეთ „ფიგაროში“ (საფრანგეთი).

ტოტუველში მოვწყო საერთაშორისო ექსპოზიცია „ევროპის პირველი ბინადარნი: საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო“.


ტოტუველი, ერთ დროს პატარა პროინციული ქალაქი მამაკაცის ერთმა პრეისტორიულმა თავის ქალამ ევროპაში უმნიშვნელობის გათხოვის გამოყოფილი იყო.

დავით ლორთმიშვანიძე (ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი): — ბატონი აბესალომი მსოფლიოში სახელგანთქმული პალეონტოლოგიის, ლეო გაბუნიას მოწაფე იყო. ბედინერი გარ, რომ გმონაწილეობდი მათთან ერთად კვლევაში პომინიდების ახალი სახეობის — პომო გეორგიევსის გამოყოფილისას. აბესალომ ვეკუას სახელს პრეისტორიულ ცხოველთა მრავალი ახალი სახეობის გამოყოფა უკავშირდება, როთაც მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.



დმანისის გათხოვებზე ქართველი და უცხოუკლი არქეოლოგები ერთად მუშაობენ





ლოვანეს კვლევით ცენტრად აქცია. ამდენად, ბუნებრივი იყო, რომ დმანისის ნაქალაქარმა ერთბშეად მოიზიდა მეცნიერები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან.

მოგვიანებით აღმოჩნდა მეოთხე, მეუთე თავის ქალა. ამ ბოლო აღმოჩნას კვლავ დაუტმო ადგილი ჟურნალმა „საინსტა“. სტატიის ავტორები კი ქართველი მეცნიერები — დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა და ანი მარგველაშვილი იყვნენ, თანაავტორები კი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები. ამ ჟურნალის გარეკანზე მოხვედრა კიდევ ერთი მსოფლიო აღიარებაა.

2009 წლიდან დმანისში საველე მუზეუმი გაიხსნა. როგორც მაშინ ბატონი აბესალომი ამბობდა, „ეს ადგილი მთელ მსოფლიოში ჰომინიდების ადგილსამყოფლის ცენტრადაა უკვე აღიარებული. არქეოლოგიური მასალით ასეთი მდიდარი და ასე კარგად შენახული ადგილი სხვაგან არსად არის, თვით აფრიკაშიც კი, რომელიც ადამიანის წარმოშობის საშობლოდ მიაჩნევა“.

დმანისი — ნაქალაქარი და საველე მუზეუმი



აღმოჩენათა დიდოსტატი

დმანისის დიდი აღმოჩენების ერთ-ერთი მთავარი აუტორი ბატონი აბესალომია. უძეველესი ადამიანის ნაშთი — ადამიანის ქვედა ყბა, 1991 წელს აღმოაჩინეს. როგორ უხაროდა ბატონ აბესალომს, ნატრობდა ადამიანის თუნდაც ერთი პრეისტორიული კბილის პოვნას და ხელთ მოელი ქვედა ყბა შერჩა 16 კბილით.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ადამიანის პირველი თავის ქალის აღმოჩენა. 1999 წელს დმანისიდან ერთად ჩამოვატანეთ თითქმის შევრთ მიწაში განვეული რაღაცის თავის ქალა. თბილისში ერთმანეთს დავშორდით მითხვა, ახლავე შევუდგები მის პრეპარაციას და მაშინვე შევატყობინებო. არ გასულა სამი საათი, რომ დამირეკა და გახარუტელმა მომიღოცა, პრეისტორიული ადამიანის, ჰომინიდის თავის ქალაა. ამ დიდი აღმოჩენის შესახებ მაშინვე დავურუკე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორს, ბატონ როთარ ლორთქიფანიძეს. ერთმანეთს ვულოცავდით ამ სასიხარულო ამბავს.

უფლისგან მხედა დიდი პატივი, ათწლეულები მეტუშავა ბატონ აბესალომთან ერთად დმანისში. ჩვენი ერთობლივი საქმიანობა, ურთიერთობა ჩემი და ჩემი ოჯახისთვის უდიდესი ბედნიერება იყო და ჩემს შვილებს არასდროს დაავიწყდებათ. არ მახსოვს არც ერთი ახალი წელი, აბესალომს რომ არ მოელოცა. თავდაუზოგავ შრომასთან, ერთად მოლხენა-ქეიფიც უყვარდა. ამაშიც სამაგალითო იყო — მართლაც რომ ნამდვილი ქართველი კაცის განსაზიერება...



ჯუმბერ კოპალიანი, არქეოლოგი, პროფესორი

ოვახები

ამონარიდები უურნალ „ისტორიანის“ პირველი ნომრიდან:

ბატონი აბესალომის მეუღლე, ქალბატონი იზოლდა ენუქიძე სპეციალობით სამთო ინჟინერია. — ერთი მარქშეიდერი ხომ გვჭირდება ოჯახშით, — „აღიარა“ ბატონმა აბესალომმა და დასძინა, — არ მინდოდა, ჩემი პროფესიის მთელი სირთულე სცოდნოდა. მაგრამ წლების წინ საერთაშორისო სიმპოზიუმი მოქმედო ივრისპირეთის ქვაბების ფაუნასთან დაკავშირებით. მაშინ ნახა, რას გაკეთებდი, როგორ მკაცრ პირობებში „მიმუშავია“ მრავალი წელი: უდაბურ, ლამის ფეხდაუდგამ ადგილას, კარავს რომ ხან ქარი დაგაფხრევს თავზე, ხან თავსხმა ჩაგრეცხავს და ხანაც შხამიანი გიურზა ჩაისრიალებს ზედ შენი კარგის წინ. ხომ იცით, იყრისპირზე დღვეუნდელი აფრიკის საგანის წინაპარი ფაუნა დასტურდება...“

— შარშნ, ქორწინებიდან 50 წლისთავზე, ჯვარი დავიწერეთ წმინდა ივლიტასა და კვირიკეს ტაძარში. მეჯვარებად შვილიშვილები გვყვდა,

სამივნი: ელენე და სანდრო ვეკუები და გიგი ჯგუშია. „ქორწილი“ შვილებმა გა-

„ქარბუქუთ კაცი ვიფვა...“



დაგვიხადეს, საგურამოში, აგარაქზე. მთელი ჩვენი ნათესაობა იყო. ასე დიდი სუფრა ჩვენს ცხოვრებაში პირველად გვქონდა. სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს პომპეული ქეიფები, მაგრამ ოქროს ქორწილი ხომ ოქროს ქორწილი უნდა იყოს!..

— ბედნიერი ვარ იმით, რომ შევქმენი ტრადიციული ქართული ოჯახი, ხოლო პალეონტოლოგიასა და გეოლოგიაში დავსაქმდი ისე, რომ მუდამ მაქვს მიზანი, რომლის მიღწევაში ძალიან ხშირად ბედიც მწყალობს. მიმაჩნია, რომ მე ჩემს ადგილზე ვარ. ჩემი სურვილი და ნატვრა ჩემი ხალხის კეთილდღეობა და საქართველოს ერთიანობა. პირადად მე კათითქმის ყველაფერს მოვალწიე...



ზეზვასა და მხიას „სული“ ფრანგმა მოქანდაკე კლიშაბეტ დენმა შთაბერა....

„სადღეგრძელო“ მეორე იპონიდან

დასასრულ გთავაზობთ „სადღეგრძელოს“, რომელიც ესპანელმა პალეონტოლოგმა, პროფესორმა მარკ პურიომ და მისმა გუნდმა გამოგზავნეს:

პალეონტოლოგი აპესალომ ვეკუა საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერი იყო, დმანისის ძეგლის „მეთაური“. სწორედ იმ დმანისისა, სადაც თავმოყრილია აფრიკის შემდგომ ადამიანის ყველაზე ძველი ნაშთი, სულ ცოტა, მილიონ 800 ათასი წლისა. ჩვენი გუნდის წევრებს წილად გახვდა ბედნიერება, კურფილიყვათ ამ უდიდესი მეცნიერის, ამჟღროულად კეთილმობილი, ქარიზმატული და

კარგი ადამიანის მეგობრები და კოლეგები.

საქართველო რომაულ ეპოქაში იმავდროულად ცნობილია იბერიის სახელით ნაფოფიერი და სტუმართმოუგარე ქვეყანაა, სადაც გიხარია გამლილ სუფრასთან ჯდომა და გემრიელი ღვინის დალევა ტრადიციული გაუმარჯოთ. ქართულ სუფრაზე სკამნე ყოველივე იმ სიკეთის სადღეგრძელოს, რასაც ცხოვრება გვთავაზობს. ჩვენი მაუსტრო აბესალომი ლეგენდარული თამადაც იყო.

ჩვენ დღეს ჩვენი სამშობლოდან, მეორე იბერიიდან ვწევთ ჭიქას და ვსვამთ მისი მეგობრობისა და წსოვნის სადღეგრძელოს.

გაუმარჯოს აბესალომს!"

სალომე პოპიტაშვილი

„ხომ იში, მი აქ ვარ!“



ქართველ და უცხოურ მეცნიერებათა კატეგორია

ბატონი აბესალომი რომ მსოფლიო მეცნიერია და დიდი წვლილი მიუძღვის ქართული პალეონტოლოგიის განვითარებაში, ამაზე ლაპარაკი შორის წაგვიყვანს. ამასთან, იყო ძალიან ყურადღებიანი უფროსი, მზრუნველი, გალანტური და გასაოცრად ენერგიული...

ჩვენი პატრონი და იმედი იყო. გვკითხულა, რაიმე ხომ არ გჭირდებოდა, გვეტყედა: „ხომ იცი, მე აქ ვარ!“ არავის დაბადების დღე არ ვიწყდებოდა, დილით (პირველი მოდიოდა სამსახურში) დაბადების დღეზე ყვავილები გვხვდებოდა.

ყავის „რიტუალი“ — ბატონი აბესალომის კანცელება და „მანქნიანი პეტინიები“. ამ დღის სან ძველ ამბებს იხსენებდა, ხანაც მომავლის გეგმებზე ვსაუბრობდით. არასდროს ბიოლოგი რუსუდან ჩაგვლიშვილი



არაფერი ავიწყდებოდა. არ მახსოვს, ბატონი აბესალომისთვის სტატია ან წიგნი გეთხოვა, რომ იმ წუთასვე არ მოექმნა. თვითონაც მომთხოვნი იყო და გული წყდებოდა, თხოვნას თუ დროულად ვერ შეუსრულებდი.

სწრაფად დადიოდა ხელჯონით, რომელიც სულ ავიწყდებოდა. ხელჯონის წამოსალებად უკან მოპრუნებულს ვეუბნებოდით — ხომ ხედავთ, არ გჭირდებათ და ამიტომაც გრჩებათ-თქო. ამაზე გაიღიმებდა. კიბეზეც სწრაფად ამოიქროლებდა ხოლმე და თანაც ამბობდა, — კიბები მკლავსო. მერე თქვენც ნელა ამოდით-თქო. — რა ვქნა, „დურნაა პრივიტა“ მაქვს, ჩემო კარგოო. ერთ უურნალისტთან ისიც წამოსცდა, ქარბუქივით კაცი ვიყავიოდა მერე ერთხანს ასე ემახდნენ კიდეც...

არც კი ვიცი, ეს უნდა ვთქვა თუ არა — გვქონდა სახინკლეში სიარულის ტრადიციაც. განყოფილების გოგონები ბატონ აბესალომს პერიოდულად დაგვაედით ხინკალსა და მის საყვარელ მეგრულ საჭაპურზე.

ჰეშმარიტი ჯენტლმენი იყო ნებისმიერ ქალბატონთან... ძალიან დაგვაკლდა...

რუსუდან ჩაგვლიშვილი

ბიოლოგი, ეროვნული მუზეუმის ბიოლოგია-პალეონტოლოგიის განყოფილების კურატორი

მთავარი ღირსება – უბრალობა



აქადემიკოსი აბესალომ ვეგუა და პროფესორი ელდარ ნადირაძე უზრნალ „ისტორიანის“ პრეზენტაციაზე

როგორც პიროვნება, ბატონი აბესალომ ვეგუა არის მაგალითი, როგორ უნდა იცხოვოთ კაცმა. განგებამ ის დიდი სიეკარულის ნიჭითაც დააჯილდოვა, რომელსაც განძივით არიგებდა ჩვენ შორის. იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელიც ასე უფრთხილდებოდა ურთიერთობების. მას სწორად კაცის გამტანობის, ერთგულების, ლირსების და ოუ მისთვის ოდესმე გული უტყვია ვინძეს საქციელს, იმედგაცრუებას არ გამოხატვდა — ამას მხოლოდ საკუთარ პრობლემად მიიჩნევდა და სხვას არასოდეს შეაწუხებდა.

შეკრული იყო ოჯახური ტრადიციის არტახებით და მისი სიძლიერის საფუძველიც ეს გახლდათ. აქედან მოდიოდა მისი პატიონსება, სიტყვის გაუტეხლობა, მოყვასის გვერდში დგომა, დაუზარლობა და შრომისადმი უმტკიცესი დამოკიდებულება, რამაც იგი სახელოვან პიროვნებად აქცია.

ჩვენ ეველამ ვისწავლეთ მისგან — ადამიანისგან, რომელიც არასოდეს მისცემდა საკუთარ თვეს უფლებას, ვინმესთვის მორალი წაეკითხა. ბუნებრივი უბრალობა მისი უმთავრესი ღირსება იყო.

როგორც მეცნიერი, ჩემი ღრმა რწევნით, აბესალომ ვეგუა უთუოდ იმსახურებს ირიცხბოლეს იმ ქართველ მოღვწეთა შორის, რომელთა ნაშრომს სახელი მოაქვს ქვეყნის თვის. უეჭველია, ის იყო მსოფლიო რანგის მეცნიერი და მის ამგვარ შეფასებაში ზედმეტი არაფერია.

ბედმა ინგბა, ერთმანეთს დავნათესავებოდით და მეხილა იგი თავის „ციხესიმაგრეში“, მეუღლესთან, ქალბატონ იზოსთან ერთად. ისინი მისდევდნენ ტრადიციული ცხოვრების წესს, სადაც კველაფერს აქვს თვისი ადგილი და სადაც პატოს სცემენ კაცის სიტყვას. იყო მკაცრი მამა და სიყვარულით ძალაწარ-თმეული ბატუა.

და კიდევ, არათერი ადამიანური აბესალომ ვეგუასათვის უცხო არ ყოფილა და ეპიკურულოვათ ეწაფებოდა შზიანი დღის მშვენიერებას.

გარდაცალებამდე ორიოდ კვირით ადრე შინ ვეწვიე. კარგა ხანს ვისაუბრეთ, გასაოცარი სიმშვიდით იყო მოსილი. ერთმანეთს თბილად გამოვეთხოვეთ და ახლა იმ დღის მადლობელი ვარ, რომ ჩვენი ბოლო შეზედრა ამნაირად დასრულდა.

ელდარ ნადირაძე

ეთნოლოგი, პროფესორი

აბესალომ, აბესალომ...

(კულტურული
აბესალომი ვეურას
ხსოვნებას)

ორი აკადემიკოსი, მძაბლები აბესალომ
ვეურა და
თამაზ კვაჭანტირაძე



როცა დავითს, მეფეს ისრაელისას, უფლისწული აბესალომი დაედუქა, სულით ხორცაში შეძრული მამა ასე მოთქმდა — „აბესალომ, აბესალომ, ნეტავ მე მოვმკდარიყავი შენ სანაცვლოდ...“

აბესალომ ვეურას ასევე გულმხურვალედ დასტირის ყველა, ვინც მასთან ცხოვრობდა, საქმიანობდა, ოუნდაც, იცნობდა მას.

ნურავინ ვინუგეშებთ ამით თავს — კაცმა ოთხმოცდარებული გაასრულა, თავისი ვალი ოჯახის, ქვეყნის, უფლის წინაშე პირადად გაასტუმრა, ლამის საუკუნეს მიუკავუნა და ცას ხომ არ გამოიერებოდა...

აბა ჰეიტხეთ ელენიკოსა და სანდროს — აბესალომისა და ჩემს ზიარ შვილიშვილებს, ჰეიტხეთ მის გაზრდილ ნაბოლარა შვილიშვილს გიგის, ბაბუს თბილ ცხედარს რომ დაპლვარლვალებენ — ენუგეშებათ კი ამ სიმწირის დღეებში საყვარელი პაპის მხცოვანობა? ბებია-ბაბუს ხომ — მშობლებისა არ იყოს — ასაკი არა აქვთ!

მათ ბაბუ მოუკვდათ და — მერე როგორი ბაბუ, გინესის წიგნში შესატანი! აი, ამის და-მადასტურებელი ორიოდ ფაქტი: ნათლულები,

გიგანტური აფთარი. ქვედა ების ფრაგმენტი

ჩეულებრივ, ნათლიაზე უმცროსები არიან, აბესალომ ვეკუას კი თავისზე ხნიერი ნათლულები ჰყავდა, მზია და ზეზვა — მილიონ რვაასი ათასი წლისანი! ეს უძველესი ადამიანები, პირველი ევროპეიდები, აბესალომ ვეკუამ დმანისში აღმოაჩინა და, პირველაღმომზენის უფლებით, კიდეც მონათლა ისინი, მზია და ზეზვა დაარქვა.

ადამიანებს ხშირად ცხოველთა სახელებს არქევენ — ვეზევია, ლომა, ნუკრი, გელა (< მგელა)... პირიქით კი, ცხოველის ჯიშსა და სახეობას ადამიანის სახელი რომ მიემაგროს, ასე, ჩეულებრივ, არ ხდება... მსოფლიო პალეონტოლოგიაში კი ათამდე გადაშენებულ ცხოველს აბესალომ ვეკუას სახელი დაერქვა: არის „*Crocuta*-აბესალომ“ ანუ „აფთარი-აბესალომი“, „აბესალომის ირემი“, „ვეკუას ცხენი“, „ვეკუას ბეჭებოთი“, „მარტორქა-აბესალომი“... აბესალომ ვეკუამ, ჯერ კიდევ სტუდენტმა, 17 მილიონი წლის წინანდელი აფთრის ქვედა ება აღმოაჩინა და, იქიდან მოკიდებული, თოტქმის სამოცდაათი წლის მანძილზე ამდიდრებდა იგი ამ თავის უძველეს „ზოოპარკს“ — როგორც ველზე მომუშავე მკვლევარიცა და როგორც ამ ძიებათა ორგანიზატორიც — პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

კაცს რომ მილიონ რვაასი ათასი წლის ნათლულები გეფოლება და შენს სახელს მარტორქას დაარქევნ, გინესის წიგნში იქნები შესატანი, ცხადია!

სწორედ რომ საგინესე კაცი მოუკვდა მეცნიერებას, დაეკარგა საქართველოს, მოგვაკლდა ოჯახს.

ვინც მოული თავისი სიცოცხლე მილიონით წლის წინანდელ სამყაროში დახტიალობდა, ის მარადისობაშიც გაიკვლევს გზას: უკვდავებაში, აბესალომ, უკვდავებაში!

თამაზ კვაჭანტირაძე, 20 02 2014



განადი პარიშნიკოვი:

„მის შრომებს
ჰალეონტოლოგიაში
მსოფლიოს ყველა
მცლევარი იყენებს“

იმ დღეს, როცა შევიტყვე, რომ ჩემი
ქართველი მეგობარი, აბესალომ
კაპიტონოვიჩი ჩვენ შორის აღარ იყო,
სწორედ მის წიგნებზე ვმუშაობდი.
იმ წიგნებზე, რომელიც მსოფლიო
პალეონტოლოგიის კლასიკად იქცა
— ფუნდამენტურ ნამუშევრებზე
კავკასიის პლეიისტოცენური ფაუნის
კვლევით დაინტერესებულთათვის.
მეტიც, ეს ნამუშევრები ჩემთვის
პალეონტოლოგიური კოლექციის
აღწერისა და შესწავლის ნიმუშია...“

ერთმანეთს ბედმა 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საერთაშორისო-საელექ სემინარზე შეგვახვედრა, სადაც აბესალომმა წარმოადგინა მოხსენება წონის გამოქვაბულის ადგილსაპოვებლის უნიკალური ფაუნის შესახებ. იყო სხვა შინაარსიანი შევეღრიებიც, მათ შორის თბილისშიც, როცა შინ მიმიწვია, თავისიანები გამაცნო, არაჩვეულებრივი ქართული ღვინითა და თავისი მომზადებული კურდღლის უგემრიელესი ჩახოხბილით გამიმასპინძლდა.

შეიძლება ითქვას, ჩემს ქართველ კოლეგას გაუმართლა. უამრავი პრეიისტორიული აღმოჩენის შემდეგ, მსოფლიო აალაპარაკა დმანისის ნაქალაქარის მონაპოვარმა. მეტიც, აბესალომ ვეკუამ პირველმა შემოიტანა დარგის სამეცნიერო მიმოქცევაში უდიდესი ისტორიული ღირებულების მქონე აღმოჩენები. აღწერა მეცნიერებისთვის მანამდე უცნობი ცხოველთა სახეობები. მსოფლიოს ყველა მკვლევარი, ვინც კავკასიის ფაუნის ფორმირებისა და ევრაზიის ფაუნის ისტორიას შეისწავლის, აუცილებლად იყენებს მის შრომებს.

შევეცადე დამსახურებისამებრ მიმეგო პატივი მისთვის. ჩემს სამეცნიერო ნაშრომ-



გენადი პარიშნიკოვი: აბესალომ ვეკუამ პირველმა შემოიტანა დარგის სამეცნიერო მიმოქცევაში უდიდესი ისტორიული ღირებულების მქონე აღმოჩენები

ში, რომელიც დათვების ისტორიას მოიცავს. ერთ-ერთ გადაშენებულ პრეიისტორიულ დათვეს ქართველი მეცნიერის სახელიც ვუწოდე — „ურსეუს ეტრუსკუს ვეკუა“...

განადი პარიშნიკოვი

სანქტ-პეტერბურგელი ბიოლოგი,
პროფესორი

„ერთ-ერთ გადაშენებულ პრეიისტორიულ დათვეს ქართველი მეცნიერის სახელიც ვუწოდე — „ურსეუს ეტრუსკუს ვეკუა“...



მეცნიერის ოჯახური კორტიკები

გაფიშვილთან,
ზაზა კვერასთან ერთად



აბესალომ ვეკუას ოჯახი ვართ ის ადამიანები, რომლებმაც ერთ დღესაც გაიცნენ აბესალომი და მერე ერთად განაგრძეს ცხოვრების გზა — მეუღლე, რძალი, სიძე... და ისინი, რომლებმაც დაბადებისთვის დაინახეს იგი და მას შემდეგ ერთად იყვნენ — შვილები და შვილიშვილები...

ოჯახის წევრთა ამგვარი პრინციპით დაყოფაც შეიძლება, ყველას თავისი დრო, ადგილი და სივრცე აქვს. „ყველას თავისი აქეს... მოსაგონარი“ ჩემს „ეპტეგორიაში“ მოხვედრილთ კი, ერთი პატარა უპირატესობაც — ის „ერთი დღე“ გგაქვს...

დრო — 1989 წელი;

ადგილი — თბილისი, გოთუას 16;

ბაბუსაან ბამრი რამ ვისრავდა

გიგი კვეშია: მიჭირს ბაბუს გახსენება... ფოველდე მეყითხებოდა ხოლმე, — რამე ხომ არ გინდა, არ მოგერიდოს, მითხარიო. მისთვის „გიგუშია“ ვიყავი. ოჯახში ერთად-ერთი იყო, ვისაც სახელით არ მივმართავდი (ბაბუს ვეძახდი).

სტუმარი უყვარდა. განსაკუთრებით ჩემი მეგობრების მოსველა ახარებდა — „მმაკაც-აცობდა“ ჩვენთან. მეგობარითი გვესაუბრებოდა და იყო კიდევაც ჩვენი მეგობარი. ახლა კი სახლი თითქოს დაცარიელდა.

ბაბუსაან ბევრი რამ ვისწავლე და ვიცი, ბევრჯერ გამომადგება ცხოვრებაში...

ლალი კვეუა: — მამა ავტორიტეტი იყო არა მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის, არამედ ჩვენ გარშემო მყოფი ადამიანებისთვის. მას შეეძლო სიყვარულისა და სითბოს თანაბრად გადანაწილება ოჯახის თითოეულ წევრზე. მუდამ ცდილობდა, ცხოვრება გაევადვილებინა ჩვენთვის და ახერხებდა კიდევაც ამას...

სივრცე — 6-8 კვადრატული მეტრი (სამოთახიანი ბინის პატარა შემოსასვლელი).

იმ საღამოს ზაზამ თავის სახლში „ამიყვანა“ გავიცანი მისი შშობლები, რომლებმაც მორიდებით შემათვალიერეს, მიმასპინძლებს, ვისაუბრეთ... წასასვლელად მოვემზადეთ და შემოსასვლელში აბესალომმა ზაზას დასწრო — პალტო ჩამაცვა (სხვათა შორის, ეს ჯანტლმენური უესტი სისხლში პერნიდა გამჯდარი... პალტოს ყოველოვის მომიმარჯვებდა) და ლიმილით მეუბნება: — რომ იცოდე, ამ ოჯახში დედასა და დას ზაზას კულტი აქვთო!

იმ მომენტში 21 წლის გოგოს ნაძღვილად არ მითიქირია, რას ნიშნავდა ეს სიტყვები — გაფრთხილებას, მოფრთხილებას, მინიშნებას, თუ მხოლოდ ფაქტის აღნუსხვას. ინტუიციით მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ძლიერი მოკვეთი უნდა მეპოვა და... ჩემმა პასუხმაც არ დააყოვნა:

— მე და თქვენ თუ შევიკერებით, ამ კულტს ადგილად დაგამხობთ-მეთქი... მე და ზაზა წამოვედით. კარს იქით დარჩენილთა ფიქრები არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ჩემს რძლობაზე უარი არ უთქვამთ — ერთმანეთი ვერ „შევაშინეო“...

წლების გაღმოსახედიდან მგონია, რომ იმპულსურად ნათქვამი ეს ფრახები სულაც არ ყოფილა შემთხვევით — ჩვენ ერთმანეთი ჯერ მოვსინჯეთ, დავინახეთ, გამოვცადეთ, დავაფასეთ... და „შევიკარით“ — ოღონდ არაფრის და არავის დასამხობად. პირიქით — იმ ფასულობების მოსაფრთხილებლად და მოსაპატრონებლად, რომლებიც მისთვისაც ყველაზე ძვირფასი იყო.

...ჩვენ ჩვენი დრო, ადგილი, სივრცე გვქონდა, მაგრამ როცა ადამიანი მიღის, კონკრეტული ციფრები, თარიღები თითქოს აზრს კარგავენ, მაშინ:

დრო მარადიულია, ადგილი — უკიდვანო, სივრცე — დაუსაზღვრავი.

სანდრო

სანდრო ვეკუა ემაჟებოდა ბაბუას! არა-სოდეს უგრძნობინებია ჩემთვის, რომ გვარის გამგრძელებელს ელოდა, რომ უფროსი შვილიშვილის, ელენის შემდეგ აუცილებლად ბიჭი უნდა დაბადებულიყო... როცა წლები გავიდა და სანდრო წმოზარდა, მოჰვედი, რომ ეამაჟებოდა გვარის გამგრძელებელი, რაც ასე გამოიხატებოდა: სანდროს მძღვრად ჩასცებდა ბეჭებში და დაუქახებდა — „ვეკუა!“

ფური მოუკარი, სანდროს რომ სოხოვა ზაზამ, — ბაბუა იქნებ რამე მოიგონო... —

— საქვეყნოდ არაფერს მოგიგონებ; იმას, რაც მასილვა, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს მოვუყევია... —

მომწინა სანდროს პასუხი.

მისი და აბესალომის დრო 18 წელიწადი იყო... —

სანდრო ვეკუა განაგრძობს თავის გზას და მჯერა, კიდევ ბევრჯერ იგრძნობს მხრებზე ბაბუას ძლიერ ხელს და გაიგონებს სიამაყით წარმოთქმულს — „ვეკუა!“

ზაზა

ზაზაზე თითქმის არასოდეს ბრაზობდა, მასზე „კრიტიკას“ რაღაც დოზით მიიღებდა და მოისმენდა, შეძლებ კი მეტყოდა: — აბა, აბა! ასეც არ არის საქმე!

ვერმნობდი, სად გადიოდა ეს ზღვარი, მაგრამ მაინც „მივადგებოდი“ ხოლმე ამ ზღვარს. თუმცა ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა:

საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყება თუ არა, აგარაკზე ხშირად მივდიგარ და რამდენიმე დღით ვრჩები; დამით დამირეკავდა შეწუხებული. — არ გეშინა ზაზას გარეშე? — მკითხავდა და მერე გაბრაზებული ჩაილაპა-მეუღლესთან, იზოლდა ენუქიძესა და შეიღოშვილებთან, ელენესა და სანდროსთან ერთად



აბესალომ ვეკუა შვილიშვილთან,
გაგი ჯვუშიასთან ერთად

რაკებდა: „რა ჭკუას ემსახურება ეს ჩემი შვილი?!“ აი, მათინ კი მე მიწევდა ზაზას დაცვა.

დაახლოებით ათი წლის წინ, აბესალომთან ვართ სახლში, ვსაუბრობთ... უცებ შეუბნება: „ახლა ისეთი რაღაც უნდა გაღმოგცე, რასაც დიდი ხანია ვინახავ და უკვე ღროა, შენთან იყოსო“. გავისუსეთ, ერთმანეთს გადაზხედთ. ეტყობა, ამდენი წლის შემდეგ რაღაც ოჯახური რელიგია უნდა გაღმომეცეს-მეთქი, — გავითქმულ და თვალს არ ვუჯერებდი, როცა ზაზას სპორტული ცხოვრების ამსახველი ფოტოები, გაზეობიდან ამოჭრილი სტატიები



და რამდენიმე ძალიან ბრჭყვიალა მედალი გადმომცა — ყველაფერი მოწესრიგებული, დათარიღებულ-დასათურუბული.

ზაზა მეუწენებოდა, — ყველაზე კარგი ბუცები, მეკარის ხელთამანი და ფორმა მქონდაო... იმ დროში ვინც ვიცხოვრეთ, ის მახვდება, ეს რას ნიშაუდა პატარა ბიჭის-თვის. „საზღვარგარეთ ხშირად დადიოდა და არ მახსოვს, თავისთვის რამე ჩამოეტანაო“, — ეს მეც მახსოვს!

ზაზას ფეხბურთელობა-მეკარება არ მინახავს, მსმენია. საქართველოს ქალაქების გუნდებში თამაშობდა და ხელფასსაც იღებდა. მეუბნებოდა, — ყოველთვის ჩემი ფული მქონდა, მამაჩემზე მეტს ვიღებდიო... ამაზე უთქვამს აბესალომს: „შეიღო, დასანგრევია ის ქვეყანა, სადაც პროფესორზე მეტს 18 წლის ფეხბურთულს უხდიანო“.

„არ დაიკარგოთ, გა-მო-ჩედით!“

მოგონებებმა კიდევ ერთხელ მაფიქრებინა

— იმით უნდა ვიყოთ ბედნიერი, რაც გვქონდა, ვინც გვყვადა და არ ვიყოთ უბედური იმის გამო, ვინც ადარ არის. უსასრულო ხომ არაფერია!

ამიტომაც ისე ლაღად, ხალისიანად და იმედით დაემშვიდობოთ აბესალომს, როგორც თვითონ იცოდა: „არ დაიკარგოთ, გამო-ჩნდით!“

თამარ პატარების შემარტინი

ბატონ აბესალომ ვეკუას ხსკონისადმი მიძღვნილი მასალები მოაშხადეს: სალომე შოშიტაშვილმა, ხათუნა გაფრინდაშვილმა, თეონა შელიამ, გიორგი კოპალიანმა, ჯიმი ჩხვიმიანმა

უურნალი „ისტორიანი“ მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და მის თანამშრომლებს, ასევე ბატონ აბესალომ ვეკუას ოჯახის წევრებს უნიკალური ფოტომასალის მოწოდებისა და დახმარებისთვის

ჩიმი ბაბუ

ბაბუს სხვისი კარგი საკუთარივით უხაროდა, სხვის ცუდს გულით განიცდიდა. არ მახსოვს, ახალგაზრდობა გაექიდიკებინოს.

აბე ბაბუ ჩემი მეგობარი იყო. მისგან დაფარული საიდუმლო არ მქონია... პირველ „შატალოზეც“ კი მე და ჩემი დაქალი ბაბუს „დაგადექით“ მეზეუშმი და „შევეფარეთ“. მანაც „შეგვიფარა“. მის მხარდაჭერას ყოველ ნაბიჯზე ვკრძნობდი.

ბაბუს მუშაობა უყვარდა. კარს რომ გამიღებდნენ, სასტუმრო ოთახში შევაჭრიდი და „ბაბუუუუ“! — გახარებდი ჩემს მოსვლას ხმამაღლი შეძახილით, თან ლოვაის კარს ვაღებდი. ბაბუ ყოველთვის საწერ მაგიდასთან იჯდა და ჩემს შეძახილზე უკვე წამომტარი მეგებებოდა, „ხო, ბაბუუუ“! — აი, ასე. ამ სცენას ხშირად იმეორებს ჩემი წარმოსახვა.

სიტყვის კაცი იყო. ამიტომაც არასოდეს არსად აგვიანებდა, დანაპირებს ყოველთვის ასრულებდა. ბაგზობაში მაღაზიაში წითელი საქორწინო გაბა იყიდებოდა და დიდხანს ამშენებდა ვიტრინას. რაღა თქმა უნდა, შევნატროდი ამ კაბას. მაშინ შემპირდა ბაბუ, — კაბას მე გიყიდიო და ამის შემდეგ, ჩემს გათხოვებამდე რამეს თუ დაიჩველებდა, — ქორწილამდე ღალატი არ იყოს-მეოქი, ვეუბნებოდი. ისიც პირობას მაძლევდა, რომ ჩემს ქორწილში კარგად მოილხნდა. ასეც მოიქცა. ბაბუ ხომ სიტყვის კაცი იყო.

არ მახსოვს, ბაბუზე მენერვიულოს, ბაბუ ავად ყოფილი იყო. ასეთი რამ არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, ბაბუ ახალგაზრდა იყო... ბევრი ახალგაზრდა მოხუცი გვინახუეს... სიცოცხლით სავსე ბაბუ მყვადა და ასე მგონია — ის ბევრ „ცოცხალზე ცოცხალია“ დღესაც...

ელენე ვეკუა



12 week



ურნალთან ერთად
შაბროვა 2014 წლის
მსოფლიო ჩემპიონატის
ფაზორითიბის
პოსტკორიბი!

ყველა დროის საყვარელი სპორტული გაზათი ყოველდღე
ყოველ შაბათს „ლელო“ ურნალის სახით!

ქართული სამოსალი



ქართლის მეფე როსტომის მეუღლე დედოფალი მარიამი და მისი გაჟი ოტია.
სკეტჩიც ხოვლის ფრესკის რეკონსტრუქცია

ქართული ტანსაცმლის ნაირსახეობათა შესახებ ცნობებს გვაწვდის ზეპირსიტყვიერი და წერილობითი წყაროები, მოგზაურთა ჩანაწერები... საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ სამოსელის დასამშადებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ სელის, კანაფისა და მატყლის ქსოვილს. დასამაგრებლად და მოსართავად ჩმარობდნენ ღილებს, ხრიკებს (დუგმებს), ქინძისთავებს, ბალთა-აბზინდებს.

ფეოდალურ საქართველოში გაფრცელებული სამოსელის აღდგენა ხდება ძირითადად სტელებისა და ტაძრების ფასადების ნიმუშების, ნუმიზმატიკის, მინიატურების, ლიტერატურული ძეგლების მონაცემებით.

გამოვლენილია საქართველოში გაფრცელებული სამოსელის სხვადასხვა სახეობა: სამეფო-სადედოფლო, საერისკაცო, სამოხელეო, სამღვდელ-მოძღვრული, ბერული, გაჭრული, სამხედრო, სამგზავრო, საღარიბო, სადიაცო და სამამაცო; ასევე დანიშნულებით განსხვავებული ფორმები: საშინაო და საგარეო, საქორწინო, სამგლოვარო და სხვ. შესწავლილია ე.წ. სამოსელი ქუქშეთი და სამოსელი ზევითი.

სამეფო ტანისამოსის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“. სამეფო შესამოსელს წარმოადგენს ბისონი — ძვირფასი ქვებით შემკული; გვირგვინი, ქსოვილი ოქროხემსული, და რაც მთავარია, სამკლავე, რომლის ტარება მხოლოდ პრივილეგირებულ ფენათა წარმომადგენელს შევძლო. ასევე, დედოფლის ჩაცმულობაში ფიგურირებს ბისონი. ბეთანიის მხატვრობაში თამარს სამკლავე იდაყვამდე აქვს ჩამოშვებული და მოჩანს მანდილი.

ქართველთა შესამოსელის შესახებ საინტერესო ცნობებია დამოწმებული ვაჩუშტი ბატონიშვილის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: ქართველთა ზნე-ჩვეულებებზე საუბრისას ვაზუშტი გამოყოფს ქალისა და მამაკაცის ტანისამოსის სახეებს და აღწერს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის განსხვავებულ ტანისამოსს.

ვაჩუშტი ბატონიშვილმა ყურადღება მიაქცია ქართლისა და კახეთის ტანისამლის მსგავსებას: „შემოსილნი არიან ქართველნი და კახის ერთორიგად, თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან. ქუდა გრძელ-წვრილი, ბეწვეული, აფროსანი, ტანს კაბა ლარისა სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლ ქვემომდე, მასხედ სარტყელი“.

ვაჩუშტის დაკვირვებით, ქართველები ტანისაცმელს სეზონის მიხედვით იცვლიან. ზამთარში კაცნიც და ქალნიც იცვამენ ქათიბს, ტყავს, ბეწვეულს. ქალთა კაბა და ტყავი უფრო გრძელი ყოფილა და იგი თურმე მიწას სწვდებოდა.

ქართული ტანისამოსის ვრცელი აღწერილობა შემოვგინახა XIX საუკუნეში მცხოვრებმა დავით ფანასკერტელ-ციციშვილმა ნაშრომში „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათაოვის ქართველთა“. შემდგომში ქართული ტანისამოსი და მისი სახეები მოექცა მრავალი მეცნიერის თვალსაწიფრში (თბია ოჩიაური, ცალა ბეზარაშვილი, ლეილა მოლოდინი და სხვ.).

ქართული ტანისამოსის შესახებ საინტერესო მასალაა გადმოცემული ი. ბალაზიშვილის წიგნში „ძეგლი თბილისი“. იგი მოგვითხრობს თბილისური ტრადიციული ყოფის შესახებ და იქვე გამოყოფს მაღალი და დაბალი სოციალური ფენის ქალთა ჩაცმულობას. მისი მონაცემებით გლეხის ქალს ეცნა: კაბა — გულისპირი, ჩიხტიკიკოპი ქინძისთვით, კავებითა და ლებაქით, სარტყელი. ხოლო მაღალი წოდების ქალს — ქათიბი, ბაღდადი, ჩიხტი-კავებით, კობი, კაბა სარტყელ-გულისპირით, გულის სამკაული; თავსაკრავი — ქინძისთვით, ახალუხი, სარტყელი, ქოშები და სხვ.

ვროპული კულტურის შემოსვლის, ჯროპიზაციის დამკვიდრების შედეგად ქალთა

მეფე გორგა XI და კათოლიკოსი ნიკოლოზ VII ამილაზვარი. სკულპტურული ფრესკა
რუსენსტრუქცია





ხევსური ქალის ტალაჭარი. საღაცო, ქოქლო. მასალა: ტოლი, შალის ფერადი მაჯები, ღილ-კალოები, მონეტები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივიდან)



ხევსური მამაკაცის სამოსის ძირითად ნაწილს პერანგი შეადგენდა, რომლის მორთულობა და სილამაზე „ნაჭრულას“ მიხედვით ფასდებოდა

ჩაცმულობაც შეიცვალა. ქოშები ბათინგმა შეცვალა, ლეჩაქი — ფართო ფარფლიანმა ქუდმა. შეიცვალა ქართული კაბა, შემოვიდა „კორსეტი“, რომელმაც არისტოკრატიულ წრეში გაიკვლია გზა. გაჩნდა ახალი მოდის მკერავთა სალონები (რუარი, ველნერი და სხვ.).

ევროპულმა კულტურამ იმდენად მოიკიდა ფქნი ქართველ საზოგადოებაში, რომ მაღალ წრეებში თითქმის გამოდვნა ეროვნული ტანისამოსი. ასე, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი ნიკო ჭავჭავაძისადმი მიწერილ წერილში გულისტყიფილით აღნიშნავდა, რომ ზიჩხა ვერავინ იპოვა ისეთი, ვისაც ქართულ ტანისამოსში დახატავდა. წერილის ბოლოს გრიგოლ ორბელიანი სინაურილით დასმენდა: „ისე წახდა საქართველო, რომ ჰრცხვენიათ ქართულად ჩაცმა“.

მოდის ტრანსფორმაციამ მკვეთრად იჩინა თავი საზოგადოების მაღალ წრეებსა და ბარშა. ტანისამოსის უძველესი ფორმები კი მთამ შემოგვინახა, როგორც სიძველეთა მუზეუმში. ქართული სამოსი კოლორიტულ ელფერს იძენს ხევსურულ, რაჭულ, თუშურ, მოხვეურ, აჭარულ, ინგილოურ კომპლექსებში. ამჯერად გამოვარჩევთ ტანისამოსის ხევსურულ სახეობას, რომელმაც ქართველთან ერთად, უცხოური საზოგადოებაც დააინტერესა.

ხევსურულ ტანისამოსს ტალაგარი ეწოდება. იგი იკვრება შინ მოქსოვილი შალისგან (ტოლისგან). მას ხევსური ქალები ქსოვდნენ და ხელით კერავდნენ, რასაც ბავშვობიდანვე სწავლობდნენ. დამზადების თავისებურებიდან გამომდინარე, ის ხელით იკრებოდა და დიდი ღრიო და სახსრები სჭირდებოდა. ამიტომაც დვირად ფასობდა და ხელმისაწვდომი იყო შეძლებული ოჯახისთვის.

ქალის ტანისაცმელში გამოირჩეოდა „სადიაცო“, შავი ან ლურჯი შინნაქსოვი შალისგან დამზადებული. „სადიაცოს“ საყელო ამოდებული ჰქონდა, „ფარაგი“, „სამწვეტლოთი“ იკვრებოდა. გასათხოვარ ქალს „ფარაგი“ მაგრად უნდა ჰქონოდა შეკრული. „სადიაცოს“ ქვეშ შემოკერებული ჰქონია „ქოქომი“. სადიაცოს ზემოდან ქალები იცვამდნენ „ქოქლოს“. იგი მოკლეწელიანი და წინ გახსნილი იყო და შალისგან იკრებოდა. ქსოვილის საყელოს ამკობდნენ ფერადი შალის კუწუბებით,

ხოლო ზურგი და ბეჭები დაჭრულებული იყო ჯვრებით. ხევსური ქალის ტანისამოსში გამორჩეული ელემენტი იყო თათი (წინდა) და მანდილი (თავსაბურავი).

ხევსური ქალის მანდილი ფოჩიანი იყო. გასათხოვარი „სათაურას“ მანდილის გარეშე ისურავდა. ოუმცა მის ხმარებასაც დაღენილი წესი გააჩნდა. გათხოვილი ქალი უმანდილოდ ვერ მიეგებებოდა ქმრის ნათესავებს, ასაკით უფროსებს. მანდილს საქართველოში დიდი როლი და მნიშვნელობა პქონდა, მოშუღლებს მანდილის ჩაგდებით აშველებდნენ, რადგან მანდილის ანგარიშგაუწევლობა სირცხვილად მიიჩნეოდა.

ქართულ ტრადიციულ რეალობაში მანდილით, ლეხაქით გამოიხატებოდა არა მხოლოდ სოციალური, არამედ ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობაც. ძველად საქართველოში გასათხოვარი ქალები ლეხაქით ყელს არ იხვევდნენ, რასაც „ყელჩენით დაბურვა“ წროდებოდა. მაგალითად, ვარძიის ფრესკაზე თამარ მეფე ყელჩენითაა, ესე იგი მეფექალი

გასათხოვარია, რასაც ვერ ვიტყვით ბეთანიის, ყინწვისის, ბერთუბნის ტაძრის ფრესკებზე. ამ ტაძრებში გამოხატული სურათების მიხედვით, მეფექალი უკვე გათხოვილია.

რაც შექმნა ხევსური მამაკაცის ტანისამოსს, მის ძირითად ნაწილს შეადგენდა პერანგი, რომელიც შავი შალისგან იყრუბოდა. პერანგის მორთულობა და სილამაზე ფასდებოდა „ნაჭრელას“ მიხედვით. მთელი ოსტატობა „საბეჭურის“ დაშვადებაზე იხარჯებოდა. „ნაჭრელა“ ორგვარი იყო: აბრეშუმისა და ნაჭრის. პირველი ძვირად ფასობდა და დიდ ოსტატობას მოითხოვდა. ორივე შემთხვევაში გამოიყენდათ გეომეტრიული სახები და ჯვრები.

ხევსური მამაკაცის ჩაცმულობის შემდეგი ნაწილი იყო ჩოხა — შავი ან ლურჯი ქსოვილისგან შეკერილი. იგი პერანგთან შედარებით ზომიერად იყო შეკერილი, თუმცა მის ზურგსა და ბეჭებზე სირმის გრძებილით შემკული ჯვრები იყო გამოსახული. მამაკაცის ტანისაცმლის შემდეგი ნაწილი იყო შარქალი,



**ბეთანიის
მხატვრობაში
თამარ მეფეს
სამკლავე
იდაეკამდე
აქვს
ჩამოშევებული
და მოჩანს
მანდილი**



**ძველად
საქართველოში
გასათხოვარი
ქალები
ლეხაქით ყელს
არ იხვევდნენ,
რასაც „ყელჩენით
დაბურვა“
წროდებოდა.
გარძიის ფრესკაზე
თამარ მეფე
ყელჩენითა, ესე
იგი მეფექალი
გასათხოვარია,
რასაც ვერ
ვიტყვით
მაგალითად,
ბეთანიის
ფრესკაზე**

პართველთა მათერიალური კულტურა



თემიშერაზ I და დედოფლის ხორუმანი.
დრო მრისტოზორი და კასტელის ნახატი



ქართველი მამაკაცი საერთოკუპასიური ჩოხით

ნაბილის ქუდი, ფეხსამოსი „თათუბი“ ან ქალა-
მანი „ჯღანი“.

მამაკაცის ტალავრის „საბეჭური“ და
ქალის „ფარაგი“ ხევსურული ტანსაცმლის
უმთავრესი ელემენტებია. მათში ჩაქსოვილი
იყო დახვეწილი გამოუნება, ფერთა შესანიშ-
ნავი შერწყმა, სახეებისა და ფორმების არაჩ-
ვეულებრივი მრავალფეროვნება.

ტანსაცმლის მორთულობაში ჯვრის გამო-
სახულება ლეგენდის წყარო გამხდარა. ამის
მიხედვით, ხევსურებს სახავდნენ შუა საუ-
კუნების ვეროპული ჯვაროსანი რაინდების
მექვიდრებად და აյგ გადმოსახლებული მათი
ერთ-ერთი ნაწილის შთამიმავლებად.

სინამდვილეში ჯვრის ელემენტები ხევსუ-
რული ტანსაცმლის შემქულობაში გადმოსუ-
ლია ვერცხლის შიბებიდან. ჯვარი, როგორც
უპირველესი ნიშანი, ქრისტიანულ ქვეყნაში
ფართოდ იყო გაფრცელებული და ასე მოხვდა
იგი ხევსურულ ტალავერზეც.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვერო-
პულმა კულტურამ შეცვალა არა მხოლოდ
ქალის, არამედ მამაკაცის სამოსიც. ქალთა
ჩაცმულობიდან გაქრა შეიძიში, ქოშები,
ახალოხი. 60-იან წლებში შემოვიდა „ხაბარ-
დიანი“, ხოლო 80-იან წლებში „პრინცესა“
ანუ კუდიანი კაბები. შეიცვალა მამაკაცის
ტანსამოსიც, გაქრა ყურთმაჯიანი კაბა და
ნაოჭებიანი ახალუხი. იგი შეცვალა გრძელმა
ჩოხა-ახალუხმა, ე.წ. „ჩერქეზება“.

ქართული ტანსამოსის მიმოხილვისას
ვხვდებით როგორც ქართული ჩაცმულობის
ზოგადქართულ ელემენტებს, ისე თითოეული
კუთხისთვის დამახასიათებელ შტრიხებსაც.
მაგალითად, სვანური ნაბადი, მრგვალი ქუდი,
იმერული ფაფანაკი (მრგვალი ან ოვალური
კუთხებამაღლებული და ოქრომკედით ნა-
ქარვი). ასევე ვხვდებით პროტესიული ჩაც-
მულობის ნიშნებსაც. მაგალითად, ხელოსნის
მთლიანი ვერცხლის ქამარი (მსხვილგობა-
კებიანი), მონადირის „ბანდულები“ (თასმებ-
დაგრძებილი ქალამანი), მწყემსის „გვაბანაკი“
(ნაბილის წამოსასხმელი) და სხვ.

როდესაც ვსაუბრობთ ქართულ ტანსაც-
მელზე, ოვალწინ წარმოგვიდგება მის შემოქ-
მედთა ფანტაზია, ხელსაქმის ტრადიციის
ცოდნა და ის შრომა, რაც ფაქტ და სათუთ
მოპროცესს საჭიროებს და ქართულ ტრადი-
ციულ ყოფას ასახავს.

გაია ზურაბიშვილი

პატონის ციხეს გადაკრჩენა

საქართველოში დღემდე შემორჩენილ ერთადერთ სამეფო სასახლეს — ბატონის ციხეს, კონსერვაცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდება. თელავში მდებარე ხუროთმოძღვრულ კომპლექსში შედის: კახთ მეფეთა სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილის კარის ეკლესია, ციხის გალავნი, აბანო, სახარბაზნე კოშკი, სახაზინო სახლი, წმინდა ნინოს კოფილი სასწავლებელი და სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი გვირაბი. უკვე დანგრულია სამხატვრო გალერეა, ასევე სახაზინო სახლი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2012 წელს მოქმედია.

ბატონის ციხე



ბატონის ციხის კონსერვაციისა და რეაბილიტაციის გეგმა არქიტექტორ-რესტავრატორებმა, ხელოვნების ისტორიკოსებმა, კონსტრუქტორ-ინჟინერებმა, გეოლოგმა, არქეოლოგმა, დენდროლოგმა და სოციოლოგმა ერთობლივად შეიმუშავეს.

გეგმის შემუშავება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ბატონის ციხეზე 2010-2012 წლებში წარმართულმა სამუშაოებმა ხუროთმოძღვრული კომპლექსი საგრძნობლად დააზიანა. ძეგლის ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობა ორი წლის წინ შეჩერდა. კონსერვაციის ახალი გეგმა კომპლექსური ძეგლის ქსოვილში შეტანილი უხეში ცვლილებების გამოსწორებასაც ითვალისწინება.

ფიქრია ყუშიტაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი: „სრულფასოვანი რესტავრაცია-რეაბილიტაციის ნაცვლად, ძეგლი ლამის განადგურდა. საჭიროა ამ ხარვეზებისა და შეცდომების დროულად გამოსწორება. ზოგიერთი რამის გამოსწორებაც სამწუხაროდ, უკვე აღარ მო-

ხერხდება, მაგრამ კარგია, რომ ეს სამუშაოები დორულად შეჩერდა. ახლა კონსერვაცია პროცესიონალური რჩევებით წარიმართება“.

გურამ ურჩუხიშვილი, თელავის მუზეუმის დირექტორი: „ახალი პროექტიდან დავინის მუზეუმი ამოღებულია. მის აღგილს ისევ ისტორიული მუზეუმი, ფონდსაცავი და სამხატვრო გალერეა დაიკავებს. იგეგმება თანამედროვე შენობების აგებაც, სადაც მუზეუმის ადმინისტრაციული შენობა და კაფე-ბარი განთავსდება. არც მეორე სართულს დააშენებენ. პირველ სართულზე კი, ვინაიდან სივრცე დიდია, ალბათ ფონდსაცავები განთავსდება. ასევე საექსპოზიციო დარბაზი, რომელიც ისტორია-ეთნოგრაფიას დაეთმობა. სამხრეთით ცარიელ ტერიტორიაზე, უნდა აშენდეს დამატებითი საექსპოზიციო დარბაზები“.

ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი, რომელშიც სხვადასხვა პერიოდისა და დანიშნულების ნაგებობა შედის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ძეგლად რჩება.

ნინო ჯაფარიძე



სოხუმი. XIX საუკუნის დას ბარათი

აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი

სოხუმის ბიბლიოთეკაში ქართველი მეცნიერის მიერ გაგზავნილმა აფხაზური ენის განახლებულმა ლექსიკონმა აღვილობრივები შეობლიურ ენასთან „დააბრუნა“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტმა გამოსცეს რუსეთის ფლოტის ლეიტენანტის, ვლადიმირ რომანოვის მიერ 1827 წელს შედგენილი აფხაზური ენის პირველი ლექსიკონის თბილისური ხელნაწერის ტექსტი. ის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ლექსიკონის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, აფხაზური დაალექტური ფორმები აღადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაუროთ პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ.

წიგნში შესულია ლექსიკონის სკანირებული და თეიმურაზ გვინცელაძის მიერ გაშემიტული ტექსტები. აქვეა მისი გამოკვლევა ხელნაწერის ბეღ-იღბლის, ლექსიკონთან დაკავშირებულ პირთა ვინაობისა და აფხაზური ლექსიკური მასალის ლინგვისტურ თავისებურებათა შესახებ.

თმიმურაზ გვანცელაძე: — ორ ენაზე (რუსულ-აფხაზურად) შედგენილი წიგნი 1952 სალექსიკონო ერთეულს (ცალკეულ სიტყვასა თუ ფრაზას) მოიცავს. აქვე ნაბეჭდი სახით მოცემულია ლექსიკონის გაშიფრული ტექსტი და აფხაზური ენის აღდგენილი დაალექტური ფორმები. სალექსიკონო ერთეულებს ფრჩი-

ლებში აქვს მიწერილი აღდგენილი დაალექტური ფორმები, რომელებშიც გამოყენებულია დამატებითი ნიშნები აფხაზური ენის ბზიფური დაალექტისთვის დამახასიათებელი საეციფიკური ფორმების გადმოსაცემად. ხელნაწერის ცალკეულ ადგილას ნაწერის ბუნდოვანების, ასევე, ლექსიკონის შემდგენლის მიერ დაშვებული შეცდომების მიზეზით, სამწუხაოდ, მთელი აფხაზური სალექსიკონო მასალის გაშიფრა და აღდგენა ვერ მოვახერხეთ...

— უფრო მეტად რომელი ენიდან ჭარბობს ნასესხები სიტყვები?

— თურქული და ქართული ენებიდან, მაგალითად, მეგრულიდან... იმ პერიოდში აფხაზეთში რუსეთის გავლენა არ იყო დიდი და შესაბამისად, სულ ორი-სამი სიტყვაა რუსული.

— დღვეული აფხაზური ენის ლექსიკა ამ ლექსიკონში გადმოცემულისგან დიდად განსხვადება?

— დიახ, სრულიად განსხვავებულია, ვინაიდან ამ ლექსიკით იმ წლებში მხოლოდ სოხუმში ლაპარაკობდნენ. შემდგე კი, 1866-1867 წლებში, აფხაზები იქიდან განდევნეს და მათ აღდილას სხვები ჩაასახლეს. ის მეტყველებაც დაიკარგა. ასე რომ, ლექსიკონს ისტორიული დატვირთვა აქვს.

— ლექსიკონზე მუშაობის პროცესში აფხაზური მხარე არ მონაწილეობდა?

— არა, თუმცა როდესაც ხელნაწერს მიყავლით და დავრწმუნდით, რომ ეს ნამდვილად აფხაზური ჩანაწერი იყო, ინფორმაცია სოციალურ ქსელში განვათებული ამას აფხაზთა მხრიდან დიდი ინტერესი მოჰყება. ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, უურნალისტები და ზოგადად, თავიანთი ენის გადარჩენით დაინტერესებული აფხაზები უამრავ კითხვას გვისავამდინენ: ვინ შეადგინა, რა მასალას მოიცავდა ლექსიკონი. გაშიფრას დიდი დრო დასჭირდა, რადგან გაკრული ხელით ნაწერია და სიტყვების ზუსტად ამოკითხვა გართულდა, მაგრამ მთლიანობაში ძალიან საინტერესო იყო. როცა მუშაობა დაგასრულეთ, ამის შესახებაც გავაურცელეთ ცნობა და კვლავაც მოჰყება გამოხმაურება აფხაზთა მხრიდან. როცა თქევნთან, რედაქციაში მოვდიოდი, სოხუმიდან მესიჯი მივიღე, — ჩემი ახლობლის დახმარებით, რამდენიმე ლექსიკონი სოხუმის ბიბლიოთეკასაც გადაუეცა და მომწერეს, თანამშრომლები დიდი ინტერესით ეცნობდიან, შემობლიურ ენას „უბრუნდებიანო“... კრიტიკასაც უნდა ველოდოო, რადგან ეს მეცნიერებაა და აზრთა სხვადასხვაობა მისაღებიცაა და მისასალმებელიც. ეს ნიშნავს, რომ ინტერესი არსებობს.

— ლექსიკის შემდგენლის შესახებაც გვიამბეთ...

— ვლადიმირ რომანოვი რუსეთის სახედრო ფლოტის ლეიტენანტი იყო და აფხაზური მასალა ადგილზე, აფხაზეთში მოაგროვა. ხელნაწერი XIX საუკუნეს მიეკუთვნება. ავტორი საკუთარ თავს ფლოტის ლეიტენანტად მოიხსენიებს. ვლადიმირ რომანოვი საზღვაო-სამეცნიერო კომიტეტის წევრი და მწერალი იყო. მისი ბიოგრაფიიდან ჩვენთვის ის არის მნიშვნელოვანი, რომ 1862 წლის 15 სექტემბრიდან 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე შავი ზღვის ფლოტის ლეიტენანტი იყო. ეს ემთხვევა რუსულ-აფხაზურ ლექსიკონში მითითებულ თარიღს, ანუ იმ წლებში რომანოვის აფხაზეთში კოფნის პერიოდს... ამ ვარაუდის სისწორეს, ერთ-ერთ რუსულ საიტზე განთავსებული ბიოგრაფიის ოდნავ განსხვავებული ვარიანტიც ადასტურებს; — „ვლადიმირ რომანოვმა, 1827 წელს, ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ნაპირებიდან გავლის დროს, სოხუმ-ყალეს

და რედუტ-ყალეს ყურეები გადაცურა და შეადგინა რუკა, რომელიც მაშინვე დაიბჭებდა; სოხუმ-ყალესა და რედუტ-ყალეს რეიდების აღწერა გამოქვეყნდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საზღვაო შტაბის სამეცნიერო კომიტეტის ჩანაწერებში 1829 წელს, ხოლო მის მიერ შედგენილი აფხაზური და სხვა ჩერქეზულ მეტყველებათა ლექსიკონი მისმა უფროსობაში გადაგზავნა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში “... — ვკითხულობთ დოკუმენტში.

— თქვენ როგორ ჩაგთარდათ ის ხელთ?

— ჩანს, არსებობდა ლექსიკონის ორი ხელნაწერი, — ერთი ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, მეორე კი რომანოვის უფროსობას სევასტოპოლიდან სანქტ-პეტერბურგში, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიასთვის გადაუგზავნია. მისი ბედი ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოდ, სანქტ-პეტერბურგის არქივებსა და ბიბლიოთეკებშია მოსამიებელი...

— ბოლო დროს როგორც ქართველი, ისე აფხაზი სპეციალისტები აფხაზური ენის გაქრობის საფრთხეზე ლაპარაკობენ, რამდენად რეალურია ეს საფრთხე?

— ეს იუნესკომაც დაინახა, რაკი აფხა-



ოუმურაშ გვანცელამება: ამ ლექსიკით იმ წლებში მთლიან სოხუმში ლაპარაკობდნენ. შემდგა კი აფხაზები იქიდან განდევნებს და ის მეტყველებაც დაიკარგა. ასე რომ, ლექსიკონს ისტორიული დატვირთვა აქვს



კლადიმირ რომანოვის ხელნაწერი დაქვემდინობრი (ზემოთ) და აფხაზური ენის პირველი დაქვემდინობრის ახალი გამოცემა



ზური ენა გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ენების სიაში შეიტანა. ამ საფრთხეს ხედავს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც რამე საერთო აქვს აფხაზურ ენასთან. ამ საფრთხეზე თვალ აფხაზებიც ლაპარაკობენ. საქართველო არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ამ ენის მოვლა-პატრიონობასა და მის განვითარებაზეა პასუხისმგებელი. ის ფსევდოსახელმწიფო, რომელიც რუსეთმა თვისი მიზნებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად ცნო, აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებით დაინტერესებული არ გახლავთ ახლანდებლი აფხაზეთის განათლების სისტემა საბჭოთა სისტემის გაგრძელებაა. თავის დროზე, არარუსული მოსახლეობა, განათლებას პირველ ეტაპზე მშობლიურ ენაზე იღებდა, რუსულის გამლიერებულ სწავლებასთან ერთად. შემდეგ კი სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე გადადის. შედეგად, სკოლის დასრულების შემდეგ აფხაზმა ახალგაზრდამ, პრაქტიკულად, არ იცის აფხაზური ენა და მისი სააზროვნო სისტემა მთლიანად რუსულ ენასაა მორგებული. აფხაზების სრული უმრავლესობა საკომუნიკაციოდ და ინფორმაციის მისაღებად იყენებს არა აფხაზურს, არამედ რუსულს. ძველი თაობა, რომელმაც კარგად იცოდა აფხაზური, წაგიდა. ახალმა თაობამ კი მშობლიური ენა თითქმის არ იცის. მე გაცილებით კარგად ვულობ ამ ენას, ვიდრე ბევრი აფხაზი.

— **არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფოს რის გაეთვალისწინება შეუძლია?**

— საქართველოს კონსტიტუციაში დავწერეთ, რომ აფხაზური ენა, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართულთან ერთად, არის სახელმწიფო ენა. ეს ჩვენ მოგალეობებს გვაკისრებს და სხვათა შორის, არა მხოლოდ ენგურს იქით, არამედ ენგურს აქეთაც. კონსტიტუცია ხელისუფლებას ავალდებულებს, იზრუნოს, რომ აფხაზური ენა, კულტურა და იდენტობა საბოლოოდ არ გაქრეს. ქართული შესარევალდებულია, საქართველოს პარლამენტის მიღებული ყველა კანონი და შესაბამისი დოკუმენტებით თარგმნოს და აფხაზურ ენაზე გამოსცეს, რათა მისი გაცნობის საშუალება აფხაზ საზოგადოებასაც ჰქონდეს. სამწუხაროდ, ამას საქართველოს პარლამენტი არ აკეთებს. მე ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლებაში ამაზე ვინმე ფიქრობდეს. შესაძლოა, ვერც კი ხვდებიან, რომ ეს აუცილებელია.

ენგურს გადმოიღება აფხაზური ენის პრაქტიკულად მცოდნე, თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანების გარდა, თითქმის არავინ გვყავს. არც არავინ ზრუნავს, რომ ასეთი სპეციალისტები გაიზარდონ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენ საბაკალავრო პროგრამა გვაქვს აფხაზურ ფილოლოგიაში, მაგრამ ხელშეწყობა არ არის — სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის არარსებობას ვგულისხმობ და არა უზივერსიტეტის მხრიდან. აფხაზური ენის სპეციალისტების მხოლოდ ოთხი სტუდენტი გვყავს. გარდა ამისა, არჩევითი საგნის სახით, ყოველწლიურად 20-30 სტუდენტი მა-



ღვეულის პრეზენტაცია საჯარო ბიბლიოთეკაში

ინც ისმენს ერთსემესტრიან კურსს აფხაზურ ენაში, მაგრამ ბუნებრივა, ერთ სემესტრში პრაქტიკულად წარმოუდგენელია იმგვარი როთული ენის შესწავლა, როგორიც აფხაზურია. ახლანდელი სტუდენტები აფხაზური ენის სპეციალობას არ ირჩევენ, რადგან სახელმწიფოს მხრიდან ამ ენით დაინტერესებას ვერ ხედავთ. სტუდენტმა რომ იცოდეს, არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც თარგმნის ქართულ კანონმდებლობას (და არა მხოლოდ) აფხაზურ ენაზე და მას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აქვს შანსი, დასაქმდეს ამ სამსახურში, რასაკვირველია,

სპეციალობად აფხაზური ენის არჩევის მეტი სტიმული მიეცემა.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს საჯარო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს აფხაზური ენა?

— არ ვფიქრობ, რომ ეს ენა საჯალდებულო საგნად უნდა ისწავლებოდეს სკოლებში. თუმცა არჩევითი საგნის სახით, ვფიქრობ, კარგი იქნება აფხაზური ენის სწავლების შემოღება. განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომელთაც აფხაზებთან უშუალო ურთიერთობა უწევს, ამის აუცილებლობა არსებობს.

ლალი ააპასპირი



„თათრი გამი“ — XII საუკანის ტიტანიკი



სამეცნის ცორმან ბაროთია უმრავლესობაში უახლოესი ან შორებული ნათესავები დაპარგა

საზღვაო კატასტროფების ისტორიაში დღემდე ყველაზე დასამახსოვრებელ და გასტატურ მოვლენად 1912 წლის 15 აპრილს ბრიტანული სამგზავრო ლაინერის, RMS Titanic-ის ჩაძირვა მიიჩნევა. ატლანტის ოკეანეში დატრიალებულმა ტრაგედიამ გემზე მყოფთა ორი მეტამედი, დაახლოებით 1500 ადამიანი შეიწირა. ტიტანიკთან შედარებით XII საუკანის პირველ ნახევარში ჩაძირული ხომალდი, რომელიც La Blanche-Nef-ის ანუ „თეთრი გემის“ სახელითაა ცნობილი, ერთი შექვედვით შეიძლება „მსუბუქად“ მოგეწვენოთ. ატლანტის ოკეანე ლა-მანშის სრუტემ ჩაანაცვლა, მსხვერპლთა რიცხვი კი 300-ს არ ასცილებდა, თუმცა ერთი გარემოება „თეთრი გემის“ ჩაძირვას ერთორად ტრაგიკულს ხდის. გემზე მდგრადი უილიამ ადელინი, ინგლისის მეფის, პენრი I-ის ერთადერთი გაუი. მისი დაღუპვა კი პირდაპირი გამომწვევი მიზეზი გახდა სამოქალაქო ომისა, რომელიც თითქმის ოც წელიწადს გრძელდებოდა და ინგლისის ისტორიაში ფეოდალური ანარქიის სახელით შევიდა.

„თეთრი გემის“ ტრაგედიამდე ნახევარი საუკანით აღრე, 1066 წელს ლა-მანშის სამხრეთ სანაპიროზე უილიამ ადელინის ბაბუა, ნორმანდიის ჰერცოგი, უილიამ დამპყრობელი იდგა და სრუტეში ტალღების დაშოშინებას ელოდა. ეს წელიწადი ინგლისის ისტორიაში უნიშვნელოვანესი თარიღია. საბოლოოდ, უილიამმა არხი გადალახა და იმავე წლის დეკემბერში, ჰასტინგზის ბრძოლაში ინგლისის საქსი მეფე, ჰაროლდ გოდვინსონი დაამარცხა. ამით დიდი ბრიტანეთის სახელით ცნობილი კუნძულების ბედი სამუდამოდ

შეცვალა. უილიამმა საფუძველი ჩაუყარა ანგლო-ნორმანულ იმპერიას, რომელიც ინგლისის არხის ორივე მხარეს ვრცელდებოდა. უილიამის სიკვდილის შემდეგ ნორმანდია და ინგლისი მისმა უფროსმა ვაჟებმა, რობერტმა და უილიამმა გაიყვეს.

1120 წლისთვის სამეფო კვლავ ერთი მმართველის სახელის ქვეშ იყო გაერთიანებული. უილიამ დამპყრობლის უმცროსმა ვაჟმა, პენრი I-მა ერთი მმის სიკვდილის შემდეგ ჯერ ტახტი მიითვისა, შემდეგ კი მეორე ძმა, რობერტი ბრძოლის ველზე დაამარცხა და

სიცოცხლის ბოლომდე ციხეში გამოამწევდია.

ჰენრი I-ის მემკვიდრეობას ამგვარი საფრთხე არ ემუქრებოდა. მას ბევრი შვილი ჰყავდა, თუმცა მათ შორის კანონიერი მხოლოდ ორი: უფროსი, მატილდა 1114 წელს საღვთო რომის იმპერატორს გაჰყვა ცოლად. უმცროსი, უილიამ ადელინი კი ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო, რომელსაც ამ პატივს ვერავინ შეეცილებოდა. ამ პერიოდის თანამედროვე ისტორიკოსი, უილიამ მალმბერი თავის ნაშრომში მას უგვირგვინო მეფესაც კი უწოდებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნორმანდიას მონარქების აწ უკვე ინგლისური დინასტია მართავდა, საკერცოგო კვლავ ფრანგთა მეფის გასაღად მიიჩნეოდა. 1115 წელს ჰენრი I-მა, ფრანგი მეფისთვის ერთგულების შეფიცვა რომ თავიდან აეცილებინა, უილიამ ადელინი ნორმანდიის ნომინალური ჰერცოგი გახადა, უილიამ III-ის სახელით.

ეს საფრანგეთის მეფე ლუი VI-ისთვის, მეტსახელად „სქელისთვის“, საკმარისი არ გამოდგა. მან სანაცვლოდ უილიამ ადელინის ბიძაშვილს, უილიამ კლიტოს დაუქირა მხარი და ნორმანდიის დაბრუნებას მასთან ერთად შეეცადა. ამ მცდელობამ ამაოდ ჩაიარა, რადგან 1119 წელს მამამისის მხარდამხარ მცდოლება ადელინმა ბრემულეს ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ლუი VI-ის აჯანელულ ნორმან ბარონებზე.

გამარჯვების შემდეგ სწორედ ნორმანდიიდან ინგლისში ბრუნდებოდა მოელი სამეფო კარი, როცა ვინმე თომასი, სტეფნის ძე ეახლა მეფე ჰენრის და თავისი გემი, Blanche Nef-ი შესთავაზა ინგლისის არხის გადასაკვეთად. ჰენრის სათავისოდ უკვე შერჩეული ჰენრი და ხომალდი, მაგრამ არც თომასის უარით გაშვება უნდოდა, რადგან მამამისი, სტივენი „მორას“ კაპიტანი იყო. გემისა, რომელმაც 1066 წელს უილიამ დამპყრობელთან ერთად ინგლისი დალაშქრა. სანაცვლოდ ჰენრიმ „ოუთრი გემი“ თავისი უფროსი ვაჟისა და მისი ახალგაზრდა მხლებლებისთვის დაიქირავა.

„ოუთრი გემის“ მსგავსი, იმ დროისთვის კარგი ხომალდისთვისაც სახლვაო მოგზაურობა ხშირად შეიცავდა საფრთხეს. უბედური შემთხვევებისა და დაკარგული გემების რიცხვი ლა-მანშის სრუტეში დიდი იყო. სწორედ ამიტომ, საზღვაო მოგზაურობას ყოველთვის ერთდებოდნენ და მხოლოდ მაშინ მიმართავ-



მეფე ჰენრი I

ჰენრი I და „ოუთრი გემის“ ჩაძირვა 1120 წელს. XIV
საუკუნის დასწენის გამოსახულება





დინასტიის დაბადება — უილიამ ადელინის პაპის, უილიამ დამპურობლის შეჭრა ინგლისში



უილიამ დამპურობელი

დწენ, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

პრინცმა უილიამმა შემოიკრიბა სამეფოს ახალგაზრდა დიდებულთა უმეტესობა, მათ შორის 140 რაინდი და 18 დიდებული ქალი. მგზავრთა რიცხვმა 300-ს მიაღწია, თუმცა რამდენიმეტ ჩამოსვლა და შემდეგი გემის დაცვა არჩია — ხომალდზე გაჩადებული უსაზღვროს ტრიუმფის უკან.

ეკიპაჟმაც მიმართა დვინით მომარაგების თხოვნით, რაც მამაცმა პრინცმა უყოფებანოდ დააკმაყოფილა. ერთ-ერთი წევროს თანახმად, მთვრალმა მგზავრებმა გზის დასალოცად მისულ სასულიერო პირებს გემშე ასელა არ დაანებეს და გინებითა და შეურაცხოფით გაისტუმრეს უკან.

გემბანზე გამართულმა ღრეობამ კიდევ უფრო გაფიანურა გამგზავრება და საბოლოოდ, „თეთრი გემი“ თავის უკანასკნელ მოგზაურობაში უკუნ ლამეში დაიძრა. დატოვეს თუ არა ბარელორის ნაესადგური, მთვრალმა უფლისწულმა უბრძანა ასევე მთვრალ კაპიტანს, სრული სვლით დაძრულიყვნენ და მამის გემი ჩამოეტოვებინათ.

ასევე მთვრალი ეკიპაჟი უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას და მალე გემი წარალებება კლდეს შეჯახს, რამაც მარცხნა ბორტში უზარმაზარი ხერელი წარმოქმნა. ეკიპაჟმა გემის შენარჩუნება სცადა, თუმცა განწირულმა ხომალდმა მაშინვე ჩაძირება დაიწყო. პრინცი უილიამის პირადმა დაცვამ იგი პატარა ნავში ჩასვა და საფრთხეს სწრაფად გაარიდა, თუმცა ამ დროს უილიამს ნახევარდის, მატილდას ძახილი შემოესმა და ნავი მის გადასარჩენად უკან დააბრუნა. მაგრამ სანამ ნავი მატილდამდე მიაღწევდა, ვერ გაუძლო მასზე ასვლის მსურველებს და ჩაიძირა. XII საუკუნის ინგლისში ცურგა ძალიან ცოტამ თუ იცოდა. ჩაძირული გემი საზღვაო სასაფლაოდ იქცა. სასიკვდილოდ განწირულ დიდებულთა ძახილი ნორმანიის სანაპიროსა და მეფის ხომალდზეც კი ისმოდა, თუმცა ეს ხმაურიც მათ მხიარული ღრეობის ნაწილად მიიჩნიებ. ინგლისელი მემატიანისა და ბენედიქტელი ბერის, ორდერიკ ვიტელისის ცნობით, კატასტროფას ერთადერთი მგზავრი გადაურჩა, ყასაბი რუანიდან, სახელად ბერლილი.

როცა ტრაგედიის ამბავმა ინგლისში ჩააღწია, უილიამის სიკვდილმა პენრის თავზარი დასცა. ლეგენდის თანახმად, ვერც ერთმა დიდებულმა ვერ შებედა მეფეს საშინელი ცნობის მოხსენება და საბოლოოდ მასთან პატარა ბიჭი მიაგზავნეს. პენრიმ, მოისმინა თუ არა საბედისწერო ამბავი, კონება დაკარგა და მას შემდეგ აღარასოდეს გაულიმია. „თეთრი გემი“ არ ყოფილა მხოლოდ ინგლისის მეფის პირადი ტრაგედია. ბარონთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაკარგა უახლოესი ან შო-

რეული ნათესავი მაინც. უილიამ ადელინთან ერთად დაიღუპნენ მისი უკანონო დედმამიშვილები რიჩარდი და მატილდა, ჩესტერის ერლი (შესაბამებოდა გრაფის ტიტულს) რიჩარდ დ'არანჩესი და მისი ძმა ოთორი, სამეფო მოსამართლე ჯეფრი რიდელი და მრავალი სხვა.

ბედის ირჩით, „თუმცა გემის“ მსხვერპლთა შორის არ აღმოჩნდა პენრი I-ის დისტვილი სტივენ ბლუელი (სტეფან ბლუასელი). ის ბოლო მომენტამდე აპირებდა უილიამთან ერთად გამგზავრებას, თუმცა შემდეგ დიარეის გამო გადაიფიქრა. ბლუელი ნორმანიდაში დარჩა, რათა შემდგომ მატილდასთან (პენრი I-ის ქალიშვილთან) ერთად ქვეყანა სანგრძლივ ანარქიაში ჩაეთრია. სტივენის მოულოდნელმა აკადმყოფობამ, ბუნებრივია, ბევრი კითხვა გააჩინა ისედაც იღუძალებით მოცული ტრაგედიის გარშემო. მიუხედავდ იმისა, რომ სტივენი მართლაც მოგებული დარჩა ამ ტრაგედიით, ისიც ფაქტია, რომ დაღუპულთა ნუსხაში ასევე მოხვდა მისი და, ლუსია-მაკოტი, ჩესტერის ერლის მეუღლე.

1120 წელს ეჭვები პრაქტიკულად არავის გასჩენია. ერთნი ტრაგედიას სიმთვრალეს აბრალებდნენ, სხვნი კი გემის ჩაძირვას ზღვაში გასვლამდე დატრიალებულ ინციდენტს მიაწერდნენ, როცა მგზავრებმა ნება არ მისცეს მღვდლებს, მათი მგზავრობა დაელოცათ. XIII საუკუნის ფრანგი ბერი და ისტორიკოსის, გილგმი ანჟუელის აზრით კი ღმერთმა „თეთრი გემის“ ბორტზე მყოფი სოდომის ცოდვისთვის დასაჯა.

17 წლის უილიამ ადელინის სიკვდილმა ინგლისის სამეფოში მემკვიდრეობის კრიზისი წარმოშვა. პენრის კანონიერი ვაჟი აღარ ჰყებდა, ამიტომ ზუსტად ორ თვეში იგი ხელახლა დაქორწინდა ლუვენის გრაფის ქალიშვილ ადელიზაზე, იმ ფუჭი იმედით, რომ ახალი მემკვიდრე შეეძინებოდა.

ტახტის შესაძლო მემკვიდრეთა სიას, რათემა უნდა, პენრის ერთადერთი კანონიერი შევილი, საღვთო რომის იმპერატორის ქერივი, მატილდა, იგივე მოდი ედგა სათავეში, თუმცა ამ დრომდე ქალისთვის ტახტის გადაცემის პრეცედენტი ინგლისის ისტორიაში არ არსებობდა. კიდევ ერთი პრეცენდენტი იყო მეფის უფროსი ვაჟი, რობერტ ფიცრო, გლოსტერის ერლი. მიუხედავდ იმისა, რომ გლოსტერი უკანონო შვილი იყო, მას სიბრძნისა



პენრი I-ის უფროსი შვილი მატილდა პირეული ქორწინებით საღვთო რომის იმპერატორს გაჰყვა ცოლად



უილიამ ადელინის დედა — ინგლისის დედოფლადი, პენრი I-ის მეუღლე, მატილდა შოტლანდიელი



უილიამ ადელინის ნაზარდა მატილდა



მეფე სტუუნ ბლუელი



შოფრი ანგლელს პენრი I-ის უფროსი შვილი მატილდა მეორე ქორწინებით გაჰყვა ცოლად

და ნიჭიერების გამო დიდ პატივს სცემდნენ. არსებობდა ახალგაზრდა უილიამ კლიტოს მეგვიღილეობის შესაძლებლობაც. კლიტო პენრის უფროსი იმის, რობერტის შვილი იყო და სამეფოს ყველა კანონის გათვალისწინებით, ინგლისის თუ არა, ნორმანიდის ტახტი მაინც უკვე დიდი ხანია ეკუთვნოდა, მაგრამ წარსულში მის დაპირისპირებას ბიძასთან ურთიერთობა მეტი მეტად დაეძაბა.

მეფემ გადაწყვეტილება 1127 წლის იანვარში მიიღო. მან თავისი ბარონები აიძულა, ერთგულება მატილდასთვის შეეფიცათ. მატილდას მდგომარეობა კიდევ უფრო გაძლიერდა 1133 წელს, როდესაც შოფრი ანგლელთან შეეძინა პირველი ვაჟი, სახელად პენრი.

1135 წლის 1-ელ დეკემბერს პენრი I გარდაიცვალა და სიკვდილის წინ თავის მეტკვიდრედ მატილდა კიდევ ერთხელ დაასახელა, თუმცა მისი ქალიშვილი ამ დროს მეუღლესთან ერთად ანგუშში იმყოფებოდა და ინგლისის კენტ დროულად გამგზავრება ვერ მოახერხა, ანგუშშივე მიმდინარე აჯანების გამო.

ამ მდგომარეობით სამეფო ოჯახის კიდევ ერთმა წევრმა, სტუუნ ბლუელმა ისარგებლა, სტორედ იმ სტუუნმა, ვინც „ოუთ გემს“ სასწაულებრივად გადაურჩა. მართალია, სტუუნი მხოლოდ და მხოლოდ პენრი I-ის უმცროსი დის, ადელას შვილი იყო და ისიც, მესამე ვაჟი, მაგრამ მატილდას სახით ქალი მეფისა და მისი მთავარი მხარდაჭყრის, უკანონობ შობილი რობერტ გლოსტერის ბატონობის პერსაეჭტივი მას ხელ-ფეხი გაუხსნა. სტივენმა იმავე თვეს ჩააღწია ლონდონში და ნაჩეარევად მოაწყო საკუთარი კორონაცია, რითიც დაიწყო ანარქია, სასტიკი ომი ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის.


1120 წლის 25 ნოემბერი ნამდვილად არის ერთ-ერთი იმ თარიღთაგანი ერთ ისტორიაში, რომლის შედეგების დანახვა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იყო შესაძლებელი. მან არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი ევროპის ისტორიის ჩარჩი სულ სხვა მხარეს მიმართა. „ოუთომა გემმა“ ინგლისის შტურვალი ერთი ფრანგული დინასტიისგან მეორეს გადასცა, ნორმანები ანგლელი პლანტაგენეტების დინასტიამ ჩაანაცვლა, რომლებიც ევროპული კუნძულის სათვეში XVI საუკუნემდე იდგნენ და ანგლიის იმპერიის სახელით ცნობილი სახელმწიფო შექმნეს.

თორთის გურანი

აირჩივ შესაფერისი იარაღი. ისრობე ზუსტად
მააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლით თოვისთვის საფანტის შერჩევა

335 მნიშვნელოვანი რჩევა
ნაირობის შესახებ

ფასი
29.95 ლარი



შეიძინოთ ნიმნის მაღაზიებში

წიგნები სახლში მიცანით ფასნამაზის მარება ლინ: 0(32) 236 26 73, 0(32) 236 26 74 www.elva.ge



ჩინგიზ ხანს დაკურობები კლიმატი და ხემარა

ჩინგიზ ხანის იმპერიის აყვავება XIII საუკუნეში შესაძლოა ნაწილობრივ ამ პერიოდში მომხდარ კლიმატურ ცვლილებებს უკავშირდებოდეს.

ამერიკულმა მეცნიერებმა მონცოლეთში უძეველესი ხელის წლიური რკალების შესწავლის შემდეგ დაადგინეს, რომ ჩინგიზ ხანის აღზევების ხანა უკანასკნელ ათას წელიწადში ყველაზე რბილ და ხოტით ამინდებს დაქმთხვა. ასეთ პირობებში ბალახი უფრო სწრაფად იზრდებოდა, რაც მონცოლი მომთაბარე მეომრუბისა და მათი ცხენების საკვებით უზრუნველყოფას ხელს უწყობდა. ჩინგიზ ხანმა მოახერხა მონცოლური ტომების ერთი სარდლობის ქვეშ გაერთიანება და აზია-ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილის დაყრობა. მისი იმპერია მრავალ ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული. მოიცავდა თანამედროვე ჩინეთს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას, რუსეთს, აღმოსავლეთ ევროპას, ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას.

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის უურნალში გამოქვეყნებული კვლევის მონაცემებით, ჩინგიზ ხანის მმართველობის წინა პერიოდი უჩვეულოდ შშრალი კლიმატით ხასიათდებოდა. მაგრამ 1211-1225 წლებში, როდესაც იმპერიის საზღვრები აქტიურად ფართოვდება, მონცოლეთში უჩვეულოდ რბილი კლიმატი, რეგულარული მოღრუბლებები და ზომიერი ტემპერატურაა.

ემილ ჰესლი, დასაცავეთ კირჯინიის პროფესორი: „ზედმეტად შშრალიდან ზედმეტად ხოტით ამინდებზე გადასვლა, რომელიც ამ პერიოდში აღინიშნებოდა, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კლიმატი ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობდა. ეს არ იყო მთავარი და ერთადერთი ფაქტორი, მაგრამ მისი წყალობით შეიქმნა იდეალური პირობები ქაოსში შობილიყო ძლიერი, ქარიზმატული ლიდერი, რომელმაც შეძლო არმიის

შეკრება და ძალაუფლების ხელში აღება“.

ისარგებლა რა ხელსაყრელი კლიმატური ცვლილებებით, მონღოლმა წინამძღოლმა შეძლო დაქსაქსული ტომები ერთ სამხედრო ბლოკში გაეკრიანებინა, რომელმაც მეზობელი ქვეჭნების დაპყრობა მიყოლებით დაიწყო.

წლიური რგოლების სპეციალისტებმა ციმბირული ფიჭვების ანალიზი ჩაატარეს, რომლებიც მონღოლეთში ტყეების ხანძრების შესწავლისას აღმოაჩინეს. ფიჭვები იმ ბზარებში ამოზრდილიყვნენ, რომელიც ლავის

ამოხეთქვის შემდეგ ხანგაის მთებში გაჩნდა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ასეთ პირობებში ხები ნელა იზრდებიან და კლიმატური ცვლილებებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარები არიან. სწორედ ამიტომ მეცნიერებს შესასწავლად მდიდარი მასალა აქვთ.

ბკვლევარების მტკიცებით, ზოგიერთი ფიჭვის ასაკი 1100 წელს აღემატება, ხოლო ერთ-ერთი ფრაგმენტი ძველი წელთაღრიცხვის 650 წლით თარიღდება

მომზადებულია BBC-ის მიხდვით

ჩინის ხანის ტახტზე ასვლა მდინარე ონანთან — იღუსტრაცია რაშიდ ად-დინის ისტორიულ კრბულ „კამი ათ-თაჯრიზიზდან“





რა შევთხვათ ტამაჭირ რაიცლებს?

ორდენის არსებობის 200 წლის განმავლობაში ტამპლიერმა რაინდებმა განუზომელ ძალაუფლებასა და სიმღიდოებს მოუყარუს თავი. მერე კი, XIV საუკუნეში ისინი დაუნდობლად გაანადგურეს. მართლაც ეშმაკის თავფანისმცემლები იყვნენ, როგორც გამოცხადდა, თუ ულმობელი მტრების უდანაშაულო მსხვერპლნი? მართლაც გადაურჩნენ განადგურებას სხვა სამმოს სახით, დიდ განძს დაეპატრონნენ და საუკუნეების შემდეგ ახალი დროშით გამოიდნენ ასპარეზზე? ამ იდუმალი სამმოს გადარჩენა-დაღუპვის შესახებ ათასგარი ვარაუდი გამოთქმულა, თუმცა ტამპლიერთა ხეედრი დღემდე აღძრავს ინტერესს.

შეუ საუკუნეებში ქრისტიანულმა ეკროპამ არაერთი აგრესიული ჯაპროსნული ლაშქრობა მოაწყო წმინდა მიწის გასათავისუფლებლად. ლაშქრობებს ირი მიზანი ჰქონდა: მუსლიმი მმართველებასთვის ისრაელის მიწების ხელიდან გამოგლეჯა და მომლოცველთა დაცვა. იერუსალიმმა 1099 წელს პირველ ჯვაროსნულ შეტყვას ვერ გაუძლო და დაუცა. როგორც კი ჯვაროსნულმა პალესტინაში ფქი მოიკიდეს, თავდადებული მებრძოლი რაინდების ჯგუფმა გაერთიანება და მონასტრულ-სამხედრო ორდენების ჩამოყალიბება გადაწყვიტა. არაერთი რაინდი მანამდეც იცავ-

და პილიგრიმებს, მაგრამ მხოლოდ 1099 წელს მოახერხეს ტამპლიერებმა, თვით იერუსალიმისა და მომლოცველთა დამცველ სამხედრო ორდენად გამოიცხადებინათ. პილიგრიმებს სმელთაშუა ზღვის საპორტო ქალაქ აკოდან (აკრადან) საკმაოდ სახიფათო გზის გავლა უწევდათ. იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-მ რაინდები დალლოცა და სასახლეში თავშესაფარიც მიუჩინა ბიბლიური სოლომონის ტაძრის საგარაუდო მხარეს. სწორედ აქედან მიიღეს რაინდებმა ტამპლიერთა (მეტაძრეთა) სახელი — Les pauvres chevaliers du temple (ღარიბნი რაინდნი ტაძრისანი).

ამ მოკრძალებული დასაწყისის შემდეგ, ტამპლიერები სწრაფად დაეპატრონნენ სიმღიდორესა და შუა საუკუნეებისთვის უაღრესად გაყლენიან თანამდებობებს. ტამპლიერთა ორდენი ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო, რამაც პირს XIII საუკუნეში მიაღწია, როცა 20 ათასი კაცი შეადგინა. ასპარეზშე ლიად გამოსვლის პირველ ხანებში, ბრძოლაში მრისხანე რაინდები თავიანთ სამხედრო საქმიანობას ბერმონაზენურ იმიჯს უხამებდნენ. ტამპლიერებმა დიდი პატივისცემა მოიპოვეს, როგორც იდეალური ქრისტიანული საქციელის მქონე ბერ-მებრძოლებმა; საერთო თუ სასულიერო ლიდერებს ლამის შეჯიბრება პენდათ გამოცხადებული ტამპლიერთათვის შესაშური პატივისცემის გამოხატვასა და პრივილეგიათა მინიჭებაში. რაინდები გაათვისეულეს ბევრისგან, ფართო უფლებები მიანიჭეს და ეკრანის გულუხე შემომწირველთა მიერ, ძირითადად, საფრანგეთიდან ნაბოძები ძღვნის დიდი ნწილიც უწილადეს.

ენით აუწერულმა სიმღიდორემ, უკიდეგანო მამულებმა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, მოგზაურთა ფაზიკური დაცვის ორგანიზებამ ტამპლიერებს იმ დროის კომერციულ ცხოვრებაში გაუკვალა გზა. როცა საქმე უულის გადატანას შექებოდა, მათ შეეძლოთ თავიანთი არაოფიციალური იმპერიის ნებისმიერ წერტილში გაეგზავნათ საბუთი, რომელიც საგსებით საკარისი იყო თანხის მისაღებად ან გასაცემად — ამ თვალსაზრისით, ტამპლიერებმა პირველი საბანკო ჩეკები შექმნეს. მომლოცველებს აღარ უწევდათ ფულის ჯიბით ტარება შორეულ და სახიფათო გზებშე. პილიგრიმს შექმლო, მაგალითად, საფრანგეთში გადაეცა უფლი ორდენისთვის, მერე კი იერუსალიმში ჩასულს მათ მიერ საფრანგეთში გაცემული საჭუთით ნაღდი ფული მიეღო.

XIII საუკუნის მიწურულს ტამპლიერები ევროპის ქვეყნების მეფეებისა და უფლისწულთა სწორად მიიჩნევდნენ თავს და მხოლოდ პაპის ქვეშვერდომობას აღიარებდნენ.

სწორედ ამ დროს ტამპლიერ რაინდოთა წინააღმდეგ მოვლენათა უეცარი აზვირუება დაიწყო. მუსლიმმა სარკინზებმა, სალადინის სარდლობით, 1187 წელს კვლავ ხელთ იგდეს იერუსალიმი. მეტადრე რაინდებმა, სხვა გასამხედროებულ ორდენებთან ერთად, მხოლოდ აკრას შენარჩუნება შეძლეს მომდევნო ერთი

საუკუნით, თუმცა 1291 წელს პალესტინაში ეს უკანასკნელი საყრდენიც დაეცა, რასაც ავტომატურად მოჰყვა ტიროსის, სიღონიისა და სხვა ქალაქების დაცემა. ტამპლიერები, ვინც აკრას სისხლის ღვრას დააღწია თავი, კვიპროსზე გადავიდნენ, საიდანაც იმედი პქინდათ (თუმცა ამაოდ), რომ კინტრშეტებას მოწყობდნენ.

ტამპლიერები წმინდა მიწიდან გააძვევეს, თუმცა ისინი მძლავრად იდგნენ ფეხზე ფინანსურადაც და ორგანიზაციულადაც, შტაბბინით პარიზში, და ორგორც სამმომ, გაერთიანებამ, თავის შენარჩუნება მოახერხეს. მაგრამ უსაფრთხოების შეგრძნება მხოლოდ იღუზია იყო. ისეთმა მძიდარმა ორგანიზაციამ, როგორც ტამპლიერთა სამმომ იყო, ბევრის გულის წყორმა და აღმფოოთება გამოიწვია. ბოლო წლებში გულზვიადი და ამპარტავანი რაინდების სახელი გაუკარდათ, რომელიც წესსა და კანონს არად აგდებდნენ, რასაც სარჩულად მათი ფული და პრივილეგიებიც დაედო. როცა რომელიმე წევრი საფრთხეში გარდებოდა,

იერუსალიმის აღდა და აღდა 1099 წელს XIII საუკუნის მინიატურა



მას საშეკლად ცოტა თუ გაუწვდიდა ზელს. მაგრამ ნამდეილი საფრთხე მაინც მოულოდ-ნელად დაატყედათ თავს: ტამპლიერებს ბრალი სატანისტური რიტუალების მოწყობასა და უწმინდურისადმი თაყვანისცემაში დასდეს — ქრისტეს მტრებად და მწვალებლებად შერაცხეს. ერთი მხრივ, შეჩერებების, გმობის, წყველა-კრულვის, ღვენის, მეორე მხრივ კი — სულის ხსნის, განეითხეის დღის მოლოდინისა და უფლის სამსჯავროზე წარდგენის შიშის ეპოქაში სხვა ბრალდება ალბათ, წარმოუდგენელიც იქნებოდა.

ტამპლიერებზე შეტევა საფრანგეთის გვირგვინოსანმა ფილიპ ლამაზმა დაიწყო. როცა რომის ეკლესიის ახალარჩეული მე-თაური კლემენტ V ვერაფრით დაიყოლია მეტაძრეთა დევნა-შევიწროებაზე ერებისა და გარევნილების ბრალდებით, რაც დამტკიცებას საჭიროებდა, საქმეს თვითონ მოჰკიდა ზელი. 1307 წლის 13 ოქტომბერს, თანამედროვე უშიშროების სამსახურებსაც რომ შეშურდებათ, ისეთი ოპერატიულობით, ფილიპ ლამაზმა ერთ ლამეში დააპატიმრებინა საფრანგეთში

მყოფი კელია ტამპლიერი. პაპმა ეს ამბავი გააპროტესტა. განაცხადა, ტამპლიერებზე მხოლოდ ჩემი იურისდიქცია ვრცელდებაო, თუმცა ამაოდ დაშვრა. წამებითა და წამების მუქარით ბევრმა ტამპლიერმა აღიარა, ჯვარს გაფურთხებდით და მამათმავლობასაც ვეწეოდითო. თვით დიდი მაგისტრი უაკ დე მოლე გამოტყდა, ბიწიერებასა და მწვალებლობაში მეც მიმიძღვის ბრალიო.

პაპი კლემენტი ამგვარ აღიარებებს სკეპტიკურად უუკურებდა. თუმცა 1308 წლის ოქტომბერისამდე „ბრალდებულმა“ მის წინაშე აღიარა დანაშაული. ამის მერე პაპი უკეთ კალდებული შეიქნა, ორდენის საქმეთა გამოძიება დაევალებინა თავისი კომისიისთვის არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ მთელი კლემენტის მასშტაბით. ზოგჯერ ტამპლიერებს გამოსატეხად კელავაც აწმებდნენ. გამოძიებამ წლობით გასტანა და წამებამ და წამების მუქარამ კიდევ უფრო მეტი „აღიარება“ მოიტნა. ევროპაში ასეთი მასშტაბის გამოძიება მანამდე არც ყოფილა, მით უფრო, ასეთი „შედევრიანი“.

იქრუსალიმის მეფებ რაინდებს ბიბლიური სილომონის ტაძრის საფარაუდო მხარეს მიუჩინა აღვიღო. აქედან მიიღო ორდენის ტამპლიერთა (მეტაძრეთა) სახელი





ქალაქ
აკრის აღდე

თუმცა საფრანგეთში გამოძიების ბუნდოვნებით მოსილი საქმე ჩიხში შევიდა, რადგან წამებით მუქარის ქვეშ მიცემული აღიარება ბევრმა მოგვიანებით უარყო და ნათქვამი გადათქვა. ვინც ასე მოიქცა, ერესში დადანაშაულდა და საერო მოხელეებმა მეფე ფილიპს გადასცეს შესაწყნარებლად. ამ უკანასკნელმა კი არავინ შეიწყალა და უკვე 1310 წლის ვარდობისთვეში 54 ტამბლიერი კოცონზე დაწვეს. ოთხი წლის შემდეგ უკვე დე მოლემ გადაწყვიტა, აღარ წარემართა მოლაპარაკებები, რად-

განაც მიცემულ აღიარებას იძულებითად მიიჩნევდა და სასამართლო ხელისუფლებასთან კავშირიც სიცრუის გაგრძელებად მიაჩნდა. იგი 1314 წლის 18 მარტს პარიზის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძართან ანთებულ კოცონზე ავიდა. ლეგენდის თანახმად, როცა აღის ენები მისწვდა დე მოლეს, მან პაპსა და მეფეს უფლის სამსჯავროზე წარსადგომად მოუხმო თურმე. საგულისხმო დამთხვევაა, რომ მეფე ფილიპმაცა და პაპმა კლემენტმაც იმავე წელს განუტევეს სული.



ფილიპ IV
ლამაზი
(საფრანგეთის
კორონი
ბიბლიოთეკი)

ტამპლიერთა დასასრულის სიმბოლოდ დემოლებს სიკვდილი იქცა, მიუხედავად იმისა, რომ პაპს ორი წლით ადრე უკვე გაუქმებული ჰქონდა ორდენის ლეგიტიმურობა. ესპანეთმა და პორტუგალიამ ტამპლიერთა ნაშთების შეტანის ნებართვა გასცეს, თუმცა სხვა სახელებით მეტაძრეთა ქონება და უფლებები კი მეტოქე — პისპიტალიერ სასულიერო რაინდთა ორდენს გადასცეს.

ისტორიის სცენიდან განდევნილმა ტამპლიერებმა იდუმალ, მითურ სამყაროში გადაინაცვლეს. მათი დამნაშავეობის ამბავი საუკუნოდ საკამათო გახდა. მათი მომხრები

ფილიპ ლამაზის ტამპლიერთათვის ცილისწამებაში სდებენ ბრალს. იმასაც ამბობდნენ, რომ ტამპლიერთა ქონებისთვის აღძრული შურით მეცემ სუსტ პაპზე იმხელა გავლენა მოახდინა, რომ ორივენი ამ შურს გადაყენენ. ზოგის ვარაუდით, მეტაძრები სრულიად უდანაშაულო წამებულნი იყვნენ. სხვები კი ტამპლიერებს „საგმირო საქმეთა მიღმა“ ქრისტიანებისა და ომის კათოლიკური ეკლესიის დამორჩილების მიზანსაც მიწერდნენ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს კონსაკრაცია დღემდე გრძელდება ფრანგმასონთა მიერ, რომლებიც ტამპლიერთა დარად საიდუმლო

საინიციაციო რიტუალებს აწყობენ. ის ფაქტი, რომ ზოგი (ცხადია, არა ყველა) ფრანგმასონი მეტაძრებთან სულიერ კავშირზე მიანიშნებს, უკვე ეჭვს აღძრავს. უფრო დაბალანსებული მოსაზრება კი ის გახლავთ, რომ ზოგიერთი ტამპლიერი, ალბათ, მართლაც უდიერად იყენებდა თავის მდგომარეობას (რაც არც ერთ სასულიერო ორგანიზაციაში არ არის გასაკვირი, მთ უფრო ტამპლიერებისთვის ხალხმრავალ სამმოში) და საუჭვო რიტუალებშიც მონაწილეობდა.

არაა კლება საინტერესოა მეტაძრეთა ქონების ბედი. როცა ტამპლიერები მასობრივად დააპატიმრეს და სასამართლოს მოხელეებმა მათი უძრავი ქონების კონფისკაცია მოახდინეს, იმავე დამეს პარიზიდან დიდძალი განდი გაიტანეს მალულად საზღვაო პორტ ლა-როშელში. გადმოცემის თანახმად, პორტიდან უცნობი მიმართულებით გაცურა ტამპლიერთა ხომალდმა განძთან ერთად, რომლისთვისაც დღემდე ვერ მიუკვლევიათ. არ გამოირიცხავნ, რომ სწორედ ამ ქონების წყალობით, გადარჩენილმა ტამპლიერებმა იატაკებებშეთში მოახერხეს გადანაცვლება და მომდვნო ხანებში ფრანგმასონთა სამმოდ გარდაქმნა.

განხეულის გადამალვის შესახებ არსებობს თეორია, რომ ლტოლვილმა ტამპლიერებმა შოტლანდიას მიაშურეს, სადაც მეფე რობერტ ბრიუსმა თავშესაფარი მისცათ. იმ ხანებში შოტლანდის გვირგვინოსანი ინგლისის მეფე ედვარდ I-ს დამოკიდებლობის შესანარჩუნებლად ეომებოდა. 1314 წელს შოტლანდიელებმა გასაოცარი გამარჯვება მოიპოვეს ბანოქბურნთან, სადაც უკუაქციეს ინგლისის ტახტის მემკვიდრე ედვარდ II გაცილებით აღმატებული ჯარით. თეორიის თანახმად, სწორედ მრისხანე ტამპლიერმა რაინდებმა მოაპოვებინეს რობერტ ბრიუსს ბანოქბურნთან გამარჯვება.

ამავე თეორიაზე დაყრდნობით, შოტლანდიაში XVII საუკუნის დამდეგს ფრანგმასონთა გამოჩენა სწორედ ტამპლიერებს უკავშირდება. ეს ამბავი კიდევ ერთხელ იმავე საუკუნის ბოლოს ამოტივტივდა, როცა დიდი განდი საიდუმლოდ გაუყენეს ოუკაილენდის გზას, კანალის ახალ შოტლანდიაში. სამალავს, თუკი მართლაც იმავე ადგილზეა ლაპარაკი, „ფულის ორმო“ დარჩევა. „ფულის ორმო“ საკმაოდ გონივრულად აგებული ჭაა, რომელიც მაშინვე წყლით ფსება, თუკი ვინმე მის



ჟავ დე მოლე, ტამპლიერთა უკანასკნელი დიდი მაგისტრი



პაპი კლიმენტ V



ზაქ დე
მოლეს
დაკითხვა

ფსკერზე დააპირებს ჩასვლას. მაგანთა აზრით, აქ მეკობრეთა ნაალაფარა ჩამალული. ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ ახალი შოტლანდია, როგორც ერთ დროს ბევერლი, ტამპლიერთა განძის საბოლოო დანიშნულების ადგილად იქცა.

რას შეიცავდა წენებული განძი, დღემ-

დე განსჯის საგანი და ათასგვარი ვარაუდის საფუძველია. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მეტაძრებს იერუსალიმში ფასდაუდებელი რელიგიები ჰქონდათ ნაპონი — მათ შორის ბიბლიური კიდობანი და წმინდა გრაალი. მაგრამ თუკი განძი მართლაც შეიცავდა ამგვარ არტეფაქტებს, მაშინ დაისმის

ტამპლიერების ორდენის ექლესია ლონდონში





ტამბლიერების სიკვდილით დასჯა. შუა საუკუნეების მინატურის ფრაგმენტი



ტამბლიერთა უკანასკნელი მაგისტრის სიკვდილით დასჯა

ლოგიკური კითხვა: რისთვის დასჭირდათ ტამბლიერებს და მერე ფრანგმასონებს, არა-სოდეს გამოემუდაგნებინათ ეს საიდუმლო? გაფრცელებულია მოსაზრება, რომ ტამბლიერთა განძი მსოფლიო მნიშვნელობის სიმდიდრეს შეიცავს, რასაც მართლაც ესაჭიროება უცხოთვალისებან ათასგვრი ლეგენდით დაცგა. რო-

გორიც უნდა იყოს სიმართლე ტამბლიერებზე, მათ განძსა და ბედ-იღბალზე, კამათი დღესაც არ წყდება და ალბათ, ეს თემა კიდევ დიდხანს არ ამოიწურება.

*National Geographic-ის გამოცემა
„ისტორიის საიდუმლოებანის“
მიხედვით მოამზადა ლევან ინასარიძე*

ტამბლიერების შესახებ კამათს დასასრული არ უჩანს



ეგვიპტელი ჯარისკაცის 1800 წლის ფარილი


ისტორიკოსებმა გვეკიპტელი ჯარისკაცის წერილი გამოიფრუს, რომელიც ერთ-ერთ რომაულ ლეგიონში მსახურობდა. ლეგიონერმა ის გვიპტეში ოჯახის წევრებს 1800 წლის წინ გაუგზავნა.

ბერძნულ ენაზე შედგენილი ეს წერილი, სხვა მასალებთან ერთად გვიპტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის, ტებტუნისის ტაძართან ასი წლის წინ იაპვეს. თუმცა მისი შინაარსის გაშიფრა მანამდე არავის უცდია. ეს მისია რაისის უნივერსიტეტის ასპირანტ გრანტ ადამსონს ერგო.

ავრელიუს პოლიონი მეორე ლეგიონში მსახურობდა, გვეპტიდან მოშორებით, თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიაზე.

ჯარისკაცი პურით მოვაჭრე დედას, ასევე და-ძმას სწერს, რომ ისინი ძალიან ენატრება, ყოველდღე ლოცულობს და ღმერთებს მათ კეთილდღეობას შესთხოვს. ამასთან წუხს, რომ ოჯახის წევრებმა მის არც ერთ წერილს არ უპასუხეს და მას ეპყრობიან როგორც უცხოს. ავრელიუს პოლიონი წერს იმასაც, რომ აპირებს მეთაურს შვებულება სთხოვოს და სახლი მოინახულოს.

გაიუს მარიუსის სამხედრო რეფორმის შემდგე, ძვ.წ. II-I საუკუნეებში რომაული ლეგიონები დაქირავებულებით კომპლექტდებოდა. ჩანს, ავრელიუს პოლიონიც ამ პერიოდში



ასე გამოიყურება დღეს ჩვიპტელი ჯარისკაცის წერილი

წავიდა მოხალისედ, იმ იმედით, რომ საკვები და ანაზღაურება ექნებოდა. ამასთან, ლეგიონში 25-წლიანი სამსახურის შემდეგ მიწის პატარა ნაკვეთს მიიღებდა და შეეძლო რომის მოქალაქე გამხდარიყო.

**მოშადებულია
livescience-ის მიხედვით**



ყველის უძველესი რეცეპტი

ჩინელმა და გერმანელმა ბიოლოგებმა უძველესი ყველის ანალიზი ჩაატარეს, რომელიც ერთ-ერთი მუმიას სამკაულად გამოიყენეს. სამარხს ჩინეთში, ხიაოპის პროვინციაში მიაკვლიერს. მეცნიერები აცხადებენ, რომ უძველესი ყველის რეცეპტი თანამედროვე ტექნოლოგიის-გან შეიძლება განსხვავდება.

სამარხებს ხიაოპის პროვინციაში 2000 წელს მიაკვლიერს. ისინი ძვ. წ. 1980-1450 წლებით თარიღდება. მუმიების ნაწილი რიძის პროდუქტებისგან დამზადებული სამშვენისებით არის შემკული. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს იყო საკეპი სულებისთვის, რომელებიც მკვდრების სამეფოში მოგზაურობდნენ.

მეცნიერებმა „სამშვენისების“ დეტალური ქიმიური ანალიზი ჩატარეს და აღმოჩნდა, რომ ყველის დასწადებლად 4 000 წლის წინ საფუ-



არსა და მიკროორგანიზმებს იყენებდნენ. შედეგად კი იღებდნენ მდნარი ყველის ტიპის მასას.

მეცნიერების აზრით, ყველის წარმოების ტექნიკის ფლობაშ ბრინჯაოს ხანის აღილობრივ მოსახლეობას საშუალება მისცა საკეპის მარაგი და გარეობინათ, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. რიძის პროდუქტების მწარმოებელი მესაქონლეობის არსებობის ყველაზე ძველი დოკუმენტური მტკიცებულებები ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით თარიღდება. დასკნების უმრავლესობა კურამიკის ჭურჭლის ქაღლებზე შემორჩნილი რიძის მეფეს ანალიზს შერდნობა. თუმცა, რიძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიაზე ინფორმაციას ვერ იძლევა.

*მომზადებულია
Huffington Post-ის მიხედვით*

ქაღლის 4000 წლის მუმია ხიაოპიდან





გურჯაანის ყველაწინდება



საქართველოს ტურისტულ
დირსექსანიშნაობებს
შორის განსაკუთრებული
აღნილი უკვია გურჯაანის
ყველაწმინდას — ერთადერთ
ორგუმბათიან ეკლესიას
ქართულ ეკლესიებს შორის.
ეს ტაძარი გამორჩეულია
ქართული ხუროთმოძღვრების
ისტორიაშიც.



ტაძრის დასკვლეოთა ფასადი

VII საუკუნის II ნახევრიდან ქართული ხელოვნების ისტორიაში დაიწყო განვითარების ახალი საფეხური, რომელიც X საუკუნის II ნახევრამდე გაგრძელდა. მას გარდამავალი ხანის ხელოვნება უწოდეს. ეს პერიოდი ხასიათდება სტილისტური მრავალფეროვნებითა და ამ მრავალფეროვნებით გამოწვეული თავისებურებებით, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად უნიკალურ ნიმუშებს გვაძლევს. გარდამავალ ხანაში ირდვევა არქიტექტურის კლასიკური ფორმები და იწყება ახალი გზების ძიება. ერთმანეთს ჩშირად ერწყმის ორი სრულიად განხხავებული არქიტექტურული ტიპი. ამგვარი მოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში გურჯაანის ყველაწმინდაა. შიდა სივრცის გადაწყვეტის მიხედვით, ის სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ გუმბათოვანი გადახურვა აქვს. თანაც ტაძარს ერთის ნაც-

ვლად ორი რვაწახნაგა გუმბათი ადგას, რაც მას მკვეთრად გამოარჩევს სხვა ქართული ძეგლებისგან. გარდა ამისა, გურჯაანის ყველაწმინდის ტაძარსა და აქ არსებულ მამათა მონასტერს უკავშირდება ლეგენდა ივერიის დვთისმობლის სასწაულმოქმედ ხატზე, რომელიც აქ წლების განმავლობაში ინახებოდა.

გურჯაანის ღვთისმობლის მიმინების მონასტერი ქალაქიდან ორი კილომეტრის დაშორებით, კახოუბის ხეობაში მდებარეობს. წერილობითი წერილები ტაძრის აგების შესახებ არ მოგვეპოვება, თუმცა სტილისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ იგი VIII-IX საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

ტაძარი აგებულია შერეული მასალით: კარგად შერჩეული ფორმის რიყის ქვით ამოფვანილია გარეთა კედლები, აფსიდი, გვერდითი ნაკები და პატრონიკები; შირიმი ნახმარია

კედლების კუთხებში (წყობის გასამაგრებლად), ხოლო აგურით ამოყვანილია მთელი შუა ნავი, კედლების კამარა-გუმბათებიანად. ჩვეულებრივი კვადრატული აგურის გარდა, აქ გვხვდება საგანგებო ფორმის აგური სვეტის-თავებისა და სხვა სპეციალური დეტალებისთვის. ნავებიც და გუმბათიც გადახურულია დარისებური კრამიტით.

ტაძრის ინტერიერი სამ ნავად იყოფა. შუა მაღალი ნავი ორფერდა სახურავითაა გადახურული, ნალისებრი აფსიდით სრულდება და სამი კვადრატისგან შედგება. პირველსა და მესამე კვადრატებზე ამოყვანილია რვაწახნაგა გუმბათები ტრომპების მეშვეობით (ტრომპი კონსტრუქციაა, რომლითაც გუმბათის წრიული საფუძველი საფეხურებრივად უკავშირდება საყრდენ კვადრატს). დასავლეთი გუმბათი ოდნავ მაღალი და განიერია, ვიდრე აღმოსავლეთისა.

ნალისებრი აფსიდის გვერდით საკურთხევლის დამხმარე სათვესები: სამკვეთლო (ჩრდილოეთი) და სადიაკვნეა (სამხრეთი). მთავრი ნავს სამხრეთსა და ჩრდილოეთიდან ეკვრის კამარებით გადახურული ორი გვერდითი ნავი, რომლებიც ერთმანეთს თვალით სიგანის ნავით უკავშირდებიან დასავლეთი მხრიდან. სამივე ნავი ორსართულიანია, აღმოსავლეთ დაბოლოებებში დამატებითი სამლოცველო ეკვდერებით, ხოლო დასავლეთი ნაწილი სამ იარუსად განლაგებული გუმბათი ოდნავ მაღალი და განიერია, ვიდრე აღმოსავლეთისა.

საყრდენ კვადრატებს რვაწახნაგა გუმბათების წრიული საფუძველი საფეხურებრივად უკავშირდება. დასავლეთი გუმბათი ოდნავ მაღალი და განიერია, ვიდრე აღმოსავლეთისა, რაც ინტერიერშიც კარგად ჩანს.



ნალისებრი თაღებით იხსნება და წარმოქმნის პატრონიკეს, ანუ საგანგებო ადგილს საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებისთვის ლიტერუგიის მოსასმენად. პატრონიკებად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ჩრდილოეთი და სამხრეთი მეორე სართულის სათვესები.

ტაძარის შესასვლელი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. დასავლეთ მხარეს ამ ფუნქციას ითვასებს დამატებითი სწორკუთხა მოყვანილობის სათვესი – ნარტექსი, რომელიც დასავლეთ სათვესს მოულ სიგრძეზე ეკვრის და ტაძრის მშენებლობის თანადროულად მიიჩნევა. იგი ვიწრო კარით უკავშირდება ტაძრის მთავარ სივრცეს და აქვს კიდევ ერთი მცირე ზომის ნიშა ზედა სართულზე ასასვლელად. მის თავზე ღია ტერასაა, რომელსაც აღრე მოაჯირი უნდა ჰქონოდა.

ტაძარში მიმსვლელი თავდაპირველად აღმოსავლეთ ფასადს მიაღება. ის სხვა ფასადებზე მეტად არის გაფორმებული. დეკორატიული მორთულობის ძირითადი ელემენტია ქვის წყობაში თითო საფეხურით შეღრმავებული, ნალისებური თაღით დაბოლოებული არები, რომლებიც შიდასტრუქტურულ დახასწილებას იმეორებენ. შეუა ნაწილის ორი თაღი კველაზე მაღალია, შესაყართან დეკორატიული ჯვარი აღგათ თავზე. გვერდით ნაკვეში ორ-ორი თაღით, სარკმლებია, ამათგან პირველი სართულის სარკმლებს თავზე ჯვრები აქვთ გამოსახული. მორდილი ჯვარი უნდა





დასავლეთი ფასადი (ზემოთ) და
ჩრდილოეთი ფასადი (ქვემოთ)



ყოფილიყო საკურთხევლის სარქმლის თავზე, რომელიც ფასადის კომპოზიციურ ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს.

სამხრეთ ფასადზე, პირველი სართულის დონეზე შირიმით მოპირკეთებული ფართო კარია. მის თავზე შირიმის გვის წყობით გამოყვანილი ყვითელი ჯვარი რიყის ქვის წყობაშია ჩამოტარებული და შემოფარგლულია ნალისებრი თაღით. ამ თაღის გასწროვ აღმოსავლეთით გაჭრილია სწორკუთხა მოყვანილობის დიდი

სარქმელი, რომელიც სადიაკვნეს ეკუთვნის და გვიანდელი უნდა იყოს. შესასვლელის ზემოთ მეორე სართულის გარშემოსავლელის ოთხი თაღია გახსნილი. კარი და სარქმლები მკვეთრად გამოიყოფა ფასადის დიდ, დაუნაწევრებელ ზედაპირზე და ძალიან მკაფიო რიტმულ მახვილს ქმნის მის ცენტრში. რიტმულობის შთაბეჭდილებას ზრდის შუა ნავის სარქმლებიც და განსაკუთრებული თრი გუბბათის ყელი დასაფეხურუბული საფსა-დო საბრტყებით და მათ შუა დატოვებული ინტერიერით.

ჩრდილოეთ ფასადი არქიტექტურული ფორმებით სამხრეთის ანალოგიურია, მაგრამ აქ არ არის ტაძარში შესასვლელი, გაქვს ჩრდილოეთ პატრონიკის ოთხი ლიობი. აქედან სამი სარქმელია და ერთიც კარი, რომელიც მეორე სართულის წინ ადრე არსებულ ბაქანზე უნდა გასვლიყო.

დასავლეთ ფასადი ყველაზე ნაკლებად გამოშახველია, მთავარ მახვილად აღიშება აგურით ნაწყობი ნალისებურთალიანი, განიერი და მაღალი შესასვლელი, რომელიც ნარტექსის (ქრისტიანული ტაძრის შესასვლელი — სათვაის, რომელიც მას აკრავს, ჩვეულებრივ, დასავლეთის მხარეზე; განკუთვნილი იყო მათვაის, ვისაც მღლოცველთა მთავარ სადგომში შესვლის უფლება არ ჰქონდა) თავზე მოწყობილ ტერასას დასავლეთ პატრონიკეს-თან აკავშირებს.

გახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გურჯაანის ყველაწმინდა ჯერ კიდევ თამარ მეფის დროიდან ენისელ მოურავთა მფლობელობაში ყოფილა, ხოლო XVII საუკუნიდან თავად ჯანო ანდრონიკაშვილის სამფლობელოს წარმოადგენდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი თავად ხოდარ ჯორჯაძეს გადაეცა, რომლის სახელსაც უკავშირდება ტაძრის ძირეული რესტავრაცია და გადაკეთებები XVII საუკუნეშივე. ის უმთავრესად შექმნა აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალურ დეკორატიულ თაღს, ასევე გამაგრდა დასავლეთის გუმბათის ყელი, კარნიზი და გადახურვა. საგარაულოდ, ამ პერიოდშივე უნდა დაფარულიყო ტაძრის კედლები ფერწერით. სამწუხაროდ, ჩენოვის უცნობია აქ არსებული მოხატულობანი.

ტაძრის მომდევნო რეკონსტრუქცია 1938 წელს საქართველოს კულტურისა და მემკონი დაცვის სამსახურმა წარმართა. გაიწმინდა ტაძრის დასავლეთი ნაწილი მიწის საფრისგან

და გამოჩნდა პატრონიკესკენ მიმავალი კიბის მცირე ნაშთები. სამწუხაროდ, ამ სამუშაოების ღროს შეიცვალა სამხრეთ ფასადის თავდაპირველი სახე, ამოშენდა ოთხი დიდი ღიობი და აგრეთვე ჩრდილოეთ ფასადის აღმოსავლეთ ღიობი. გამაგრდა და შეეკთდა რიგი არქიტექტურული ელემენტები, რის გამოც ზოგიერთიმა დეტალში თავდაპირველი ფორმა დაკარგა. ამ სამუშაოების ღროს ტაძრის სამხრეთ ფასადთან, რამდენიმე ნაბიჯში გაიხსნა საიდუმლო ოთახი, რომელიც გადახურული ყოფილა ნახევარწრიული კამარით.

გურჯაანის ყველაწმინდის ტაძართან და აქ არსებულ მამათა მონასტერთან დაკავშირებულია ლეგენდა ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატზე, რომელიც წლების განმავლობაში აქ ინახებოდა. მღვდლის, პოლიკარპე კარბელაშვილის ცნობით, ხატის ცენტრალური ნაწილი (ღვთისმშობელი ყრძით) საღებავით ყოფილა დაწერილი, ხოლო გარშემო მოოქრული ჭედური ჩარჩო ჰქონია შემოვლებული. ხატის სიგრძე დაახლოებით 30 გოჯი იყო, ხოლო სიგანე — 7. ამ ხატთან დაკავშირებული ყოფილა ასეთი ისტორია: 1615 წლის შემოღომაზე შაპაბასის კახეთში ლაშქრობის ღროს გურჯაანის ყველაწმინდის მონასტრის წინამდღვარი ყოფილა მამა იოანე. მან შეკრიბა მონასტრის სამმო და მათთან ერთად გადაწყვიტა, მონასტერი არ მიეტოვებინათ, მაგრამ ტაძრის სიწმინდეები და საეკლესიო ნივთები დროებით ტაძრის ქვემოთ საიდუმლო ოთახში გადაემალათ. იმავე დამეს მამა იოანეს სიზმარში ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოიცხადა და უბრძანა, წმებულის მონასტრის წმინდა გიორგის ტაძრის (ყველაწმინდას მონასტრიდან 1-2 კილომეტრში) სვეტში პატარა ნიშა ამოცრა, იქ ივერიის ღვთისმშობლის ხატი დაებრძანებინა, ხოლო ნიშა ამოქოლა. მეორე დილას მამა იოანეს ძმებისთვის გაუცნია ღვთისმშობლის ნება და ხატი სვეტში დაუმალავს. შაპაბასის შემოჭრის შეძლევ აოზრდა მრავალი სოფელი და მონასტერი, მათ შორის ყველაწმინდასა და წამებულის მონასტრებიც, დაიხოცნენ ბერებიც. ამდენად, დიდი წნის განმავლობაში ამ მონასტრებში ღვთისმსახურება შეწყდა.

200 წლის შეძლევ კახოუბნის მონასტერში მცირე სამმო იღუმენ გაბრიელის წინამდღოლობით სასულიერო ცხოვრებას აღადგენს.



ტაძრის ინტერიერის ნაწილი (პატრონიკე)

შირიმის ქვა გამოუყენებულია ქვდღების კუთხებში, წყობის კასამაგრუბლად





ტაძრის კედლებზე რამდენიმე
ჯვარია გამოსახული



1820-1822 წლებისთვის იწყებენ ღვთისმშობლის ხატის ძიებას, მაგრამ უშედევოდ ერთხელაც, მამა გაბრიელმა სიზმრად იხილა ყოვლადწმინდა, რომელმაც აუწყა ხატის ადგილსამყოფელი. მეორე ღვეს მამა გაბრიელი ვეჯინის ამაღლების მონასტრის წინამძღვარ მამა იოსტონისთან (ერისკაცობაში თავადი ანდრონიკაშვილი) და გურჯაანელი მღვდლის, აბრაამ დემუროვსა და უამრავ მღვდლთან ერთად გაემართა წამებულის მონასტრის ჰენ. მითითებულ ადგილას კედლის გახსნის შემდგე იპოვეს ოვერიის ღვთისმშობლის ხატი და კახოუბნის მონასტერში წამოაპრძანეს.

მონასტერი კვლავ დაცარიელდა დაახლოებით 1845 წელს, როცა აქაური ბერები ხირსის სტეფანწმინდის მონასტერში გადაიყვანეს. ხატი კი გურჯაანეში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაიტანეს. წელიწადში ორჯერ, ღვთისმშობლის მიძინებისა და ტაძრის დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს ხატს მიაბრძანებდნენ კახოუბნის მონასტერში, სადაც წირვა-ლოცვა აღვავლინებოდა... ამჟამად ხატის ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია.


ხატის შესახებ და ტაძარში არსებულ სხვა საეკლესიო ნივთებზე ცნობებს ვხვდებით გაზეთ „ივერიაში“. აქ ძველი საეკლესიო ნივთებიდან დაცული ყოფილა ვერცხლის საცეცხლური. მასზე არსებული წარწერით ირკვეოდა, რომ ტაძრისთვის შეუწირავს იმერიელის მეფე სოლომონის დას, მარიამს. ასევე აქ ინახებოდა ერთი პარაკლიტონი, გადწერილი ზოსიმე კოჭობაძის მიერ მეფეომეფის ასულის ქეთივანის ბრძანებით და ერთი სახარება. ეს უკანასკნელი ეტრატზე ყოფილა ნაწერი და დართული ჰქონია მახარებელთა მინიატურები. სახარებაზე არსებული წარწერით, გადამწერი იყო ვინმე გორგი, ხოლო თვით სახარება ენისელი მოურავის შვილს, ქაიხოსროს ეკუთვნოდა.

კახოუბნის მონასტერი წარმოადგენდა საღვთისმეტყველო სკოლას, სადაც სასულიერო პირებს აშადებდნენ. მღვდელი პოლიკარპე კარბელაშვილი ასახელებს რამდენიმე აქ აღზრდილ სასულიერო პირს, მათ შორის არიან: მიხეილ, გიორგი, იოანე და ნიკოლოზ კობიაშვილები, სტეფანე წიბლაშვილი, გიორგი ჯოხაძე, იასონ ქიტოშვილი.

მარითა სახლოზუდიშვილი

ინფორმაცია, რომელიც მიზანში ხვდება!

სისტემა



სამხედრო-პნალიტიკური
ყოველთვიური გუნდი

იპითხით პრესის გამავრცელებლებთან!
ნიმუში ადგილზე მიმართ-elva.ge; ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

პეტლიურას ომი გთლივანი უკრაინისთვის

რატომ ვინ ბაროსე
უკრაინელები...

2014 წლის თებერვალში მესამე უკრაინული რევოლუცია მოხდა. უკრაინელმა ხალხმა კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ თვითორგანიზაცია და საკუთარი იდეალების ერთგულება შეუძლია. მსოფლიომ ეს ჯერ კიდევ 1918 წელს შეიტყო, პირველი უკრაინული რევოლუციის დროს.



სიმონ პეტრილიშვილი

1917 წლის ოქტომბერის ცარიზმი და-
ემხო. რუსეთის მთელ იმპერიაში მძღვრი
ეროვნულ-განმათვავისუფლებელი ტალღა
აზეირთდა. უკრაინაში შეიქმნა ცენტრალუ-
რი რადა, რომელმაც ავტონომია მოითხოვა.
რადის თაყვანიდღმარედ ისტორიკოსი მიხაილო
გრუშევსკი (სოციალისტ-რევოლუციონერთა,
ანუ ესერების პარტიიდან) აირჩიეს, განე-
რალურ მდივნად კი მწერალი ვოლოდიმირ
ვინიჩენკო (სოციალ-დემოკრატი). სამხედრო
საქმეთა გაძლოლა სოციალ-დემოკრატს, ყო-
ფილ სემინარიელსა და უურნალისტს, სიმონ
პეტლიორას დაკავშრა.

უკრაინის სახელმწიფოს თვითდამგვიდრებისთვის ბრძოლა ურთელეს ვითარებაში მიმდინარეობდა. დროებით მთავრობას უკრაინის ავტონომიაზე არათრის გაგონება არ სურდა. გერმანიას, თავის მხრივ, უკრაინის მიმართ იმპერიული ზრასვები ამოძრავებდა. თუმცა პირველი მსოფლიო ომის მიწურულს გერმანია უმძიმეს მდგრმარეობაში აღმოჩნდა. ბერლინში უკვე შიმშილობა იწყებოდა. მძიმე ვითარება იყო ვენაშიც. გერმანია კაპიტულაციის გამოცხადებას აპირებდა, თუმცა რუსთავის ოქტომბრის რეალურად ეს ჩაშალა.

— მოვლენების ჩვენს სასარგებლოდ შე-
მოტრიალების შანსი წარმოიქმნა, — წერს
გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტი-
პელს კირხი.

ფრონტი იმხანად მდინარე ზბრუჩზე გადი-
ოდა, რომელიც უკრაინის დასავლეთით ერთ
ნაწილს ჰყოფდა აღმოსავლეთ უკრაინისგან.
გერმანელები აშშადებდნენ ოპერაციას, რო-
მელიც რუსეთის ომიდან გამოსვლითა და უკ-
რაინის ოჯახადით უნდა თასწოლობილიყო.

რუსეთ-უკრაინის ომის დასაჭყისი

ბოლშევიკური გადატრიალების შემდგე
რუსეთმა უკრაინაში ჯარი შეიყვანა. დაიწყო
ომი. 1918 წლის იანვარში გააფთოუბული
ბრძოლების შემდგე, რუსებმა კივე დაიკა-
ვეს. ცენტრალური რადა იძულებული შეიქნა,
გერმანელებისთვის დახმარება ეთხოვა. მალე
300-ათასიანი გერმანული არმია უკრაინაში
შეიჭრა. რუსები განდევნეს, მაგრამ ისინი
გერმანელებმა ჩაანაცვლეს. მალე მათ ცენტ-
რალური რადა დაშალეს. უკრაინის ჰერმანად
(კაზაკთა ჯარის არჩეულ მეთაურად) შეფის
არმიის ყოფილი გენერალი და მსხვილი მე-
მამულე პავლო სკოროპადსკი გამოაცხადეს.
დაიწყო გერმანიაში სურსათოსა და ქვანახში-
რის მასიურად გაზიდვა.

სამას წელიწადს იმპერიის ნაწილად ქოფნამ თავისი შედეგი გამოიძღვის. უკრაინა რუსულენოვან და უკრაინულენოვან მოქალა-ქებად დაიყო. ცარიშმის დროს რუსულენოვან უკრაინას განკუთვნებოთხენ მეტაზოლები,

ვაჭრები, რუსული ინტელიგენცია. მუშები უკრაინულენოვანი რჩებოდნენ, ასევე სოფელი და იქიდან გამოსული მცირერიცხოვნი, თუმცა ნიჭიერი ინტელიგენცია (უკრაინული უნივერსიტეტი მაშინ არ არსებობდა). რუსულენოვანი უკრაინა რეალურად ცარიწმის ღროს ჩამოყალიბდა.

პეტმანი პავლო სკოროპადსკი რუსულენოვანი უკრაინის წარმომადგენელი გახლდათ, ძველი კაზაკური გვარის შთამომავალი. მისი წინაპარი ივანი თავის დროზე პეტმან მაზეპას განუდგა და პეტრე პირველს მიემსრო. სანაცვლოდ პეტრემ დიდმალი მამულები და უკრაინის პეტმანობა უბოძა. ივანის დახმარებით რუსეთმა უკრაინის ავტონომია საბოლოოდ დაასამარა. ამის შემდეგ სკოროპადსკების გვარი რუსეთის ტახტს პირნათლად ემსახურებოდა. პავლოც გამონაკლისი არ ყოფილა. სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და ერთხანს ნიკოლოზ II-ის ამალაშიაც მსახურობდა. იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში. თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა და ნიშკირმა მეთაურმა. რევოლუცია რომ არა, ალბათ ბოლომდე რუსეთის იმპერიის ერთგული დარჩებოდა. თებერვლის რევოლუციამ კი ეროვნული ტალღა ააზიორთა. უამრავმა უკრაინელმა, მათ შორის მათაც, ვისი მშობლიური ენა რუსული იყო, თავიანთი ფესვები გაიხსენეს. მათ შორის იყო პავლო სკოროპადსკიც, რომელმაც ცენტრალურ რადას თავისი სამსახური შესთავაზა.

— კორპუსი, რომელსაც სკოროპადსკი მეთაურობდა, ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავი უკრაინიზებულად გამოაცხადა. ამის გამო დროებითი მთავრობა მის დაშლას და სკოროპადსკის ტრიბუნალისთვის გადაცემას აპირებდა. მეთაური მისმა ჯარისკაცებმა დაიცვეს და ხელისუფლება იძულებული გახდა, დაეთმო. კორპუსი ფრონტიდან მოხსნეს და უკრაინაში გადმოისროლეს, — წერს მწერალი და ისტორიკოსი ვასილი ივანისი, რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცერი, შემდგომში თეთრი მოძრაობის მონაწილე.

არმიის გაუპრაინებება

დაიწყო არმიის მასობრივი უკრაინიზაცია. დროებითი მთავრობა ამაოდ ცდილობდა ხელის შეშლას. მალე სკოროპადსკი თავისუფალ კაზაკთა ატამანად აირჩიეს. ამან რადის ხელმძღვანელები შეაშფოთა.

— რადაში უმრავლესობას ლიბერალ-სოციალისტები შეადგენდნენ. სკოროპადსკი კი მათთვის პანი და ექსპლუატატორი იყო. თანაც, გენერალი უკრაინულად არ ლაპარაკობდა, რის გამოც უცხოდ მიაწნდათ. მის წინააღმდეგ ინტრიგების მთელი გორგალი აზგირთდა, — წერს უკრაინელი ისტორიკოსი, პროფესიონალი სერგიიჩუკი.

ინტრიგებმა შედგევი გამოიღო. სკოროპადსკი გადადგომის შესახებ განაცხადა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ გენერალი შეიარაღებულ ძალებში დაბრუნდა და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, გერმანულების მოსვლის შემდეგ კი უკრაინის პეტმანი გახდა. სახელმწიფო გადატრიალება გერმანული ხიშტების დახმარებით განხორციელდა. ამის შემდეგ გაიმართა ე.წ. პეტმანის არჩევნები, რომლის შედეგები წინასწარ იყო ცნობილი.

ცენტრალური რადის ლიდერებმა ახალი



კავკასი პედაგოგიური მუზეუმის შენობაში 1917 წელს უკრაინის ცენტრალური რადი განთვალისწინებული იყო.



ლოტკა სოფიის მოედანზე კიევში, უკრაინის პეტმანად პავლო სკოროპადსკის გამოცხადების შემდეგ



უკრაინის პეტრები პავლო სკოროპადსკი

ხელისუფალი არ მიიღეს და ოპოზიციაში ჩაუდგნენ. გამოიკვეთა რადიკალური ფრთა, რომელსაც სიმონ პეტლიურა მეთაურობდა.

სემინარიელის ფახურთი

სიმონ გასილის პეტლიურა სოფელ კობილიაკიში (პოლტავის მხარე) გაიზარდა მეუტლის ოჯახში. პოლტავის სასულიერო სემინარიაში სწავლისას რევოლუციონერებს დაუახლოება და უკრაინის რევოლუციური პარტიის (რუპ-ის) წევრი გახდა. ალექსანდრ ჟუკი, რომელიც პეტლიურასთან ერთად სემინარიაში სწავლობდა, მას მხიარულ, გულკეთილ ყმწვილად ახასიათებს. პეტლიურა ჟეველა თინბაზობის სულის ჩამდგმელი გახლდათ. ლექტორს ასეთ კითხვებსაც უსვამდა: „შეუძლია თუ არა რომის პაპს ველოსიპედზე სეირნობა“ ან „უფარდა თუ არა წმინდა პეტრეს ლუდი“. პეტლიურამ სემინარიელების საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბა. რექტორმა არ მოიწონა სასულიერო სემინარიის სტუდენტთა ტრუსების ამარა სირბილი და ბურთის დევნა.

პეტლიურამ მიუგო, — საღვთო სჯულში რომ ამის შესახებ არაფერი წერია?

რექტორთან პეტლიურას ურთიერთობა დაიძაბა. მალე პოლტავის მხარეში ებრაელთა დარბევები დაიწყო. პეტლიურამ თანამოაზრებთან ერთად დამცავი რაზმი შექმნა. ამ პერიოდიდან იწყება მისი მეურიბრობა ვლადიმირ (ზევ) უაბოტინსკისთან (სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი მთავრი იდეოლოგი). სემინარიის რექტორმა პეტლიურა დაიბარა და უთხრა, ურიებთან მმაკაცობა მომავალ მდვდელს არ ეკადრებაო. პეტლიურა აღშუოთდა, — ქრისტე ხომ ებრაელი იყოო!..

რექტორმა მსტორუბი მიუჩინა. მალე რამდენიმე სემინარიელთან, მათ შორის პეტლიურასთან, ჩხრეკა მოაწყვეს და მარქსისტული ლიტერატურა აღმოუჩინეს.

პეტლიურა სემინარიიდან გარიცხეს.

„მსაა დაორუპიდებლობა?“

ლვოვი მაშნ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემაღენლობაში შედიოდა. პეტლიურა ლვოვში გაემგზავრა და წელიწად-ნახვარი თანამშრომლობდა ივან ფრანკოსთან, ხოლო კიევში დაბრუნების შემდეგ ვოლოდიმირ ვინიჩენკოსთან ერთად უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამარსებელი გახდა. აქვეყნებდა პოლიტიკურ სტატიებს გაზეთ „სლოვოში“, მონაწილეობს 1905-1907 წლების გამოსვლებში. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ ყუბანში გაემგზავრა, სადაც ჯერ ბუდალტრად, შემდეგ კი სახალ-ხო მასწავლებლად მუშაობდა. 1909 წლიდან პეტლიურა მოსკოვში გადავიდა და უკრაინულ „უკრაინსკაია უიზნის“ რედაქტორი გახდა.

— ეს იყო რუსულენოვანი და ლიბერალური, მაგრამ მაინც პატრიოტული უკრაინალი, — წერდა უკრაინელი მწერალი, პოეტი და მთარგმენტი ტოლოსი ოსმაჩა. უკრაინალში იბეჭდებოდნენ ალექსეი ტოლსტიო, მაქსიმ გორკი, ლენინი, ანატოლი ლუსაჩარსკი. უკრადღება ეთმობოდა ქართულ თემატიკასაც. პეტლიურამ ვრცელი სტატია მიუძღვნა ილია ჭავჭავაძეს. გამოაქვეყნა ილიასა და ვაჟას ლექსების რუსული თარიღმანებიც.

პირველი მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად, შეიქმნა „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“ (სუკ), შტაბ-ბინით ვენაში. კავშირის მიზანი იყო ავსტრიისა და გერმანიის დახმარებით უკრაინის დამოუკიდებლობის მიღწვა.

დმიტრო დონცოვმა, სვეუ-ს ერთ-ერთმა იდეოლოგმა, პეტლიურას მათ რიგბში გაწევრება შესთავაზა. პეტლიურამ უარით უპასუხა. მეტიც, თავისი უურნალის უურცლებზე გამოაქვევნა სტატია, რომელშიც უკრაინელებს, რუსებთან ერთად, გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის მოუწიდა.

პეტლიურა ლიბერალურ და სოციალისტურ პოზიციებზე იდგა. დონცოვმაც მას პოლიტიკური იმპოტენტი უწოდა. მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. მეფის მთავრობამ უურნალი დასურა, სიმონ პეტლიურას კი ფრონტზე უკრეს თავი, სადაც თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო.

ის კიევში დაბრუნდა, სადაც გრუშევსკი-სა და ვინიჩენკოსთან ერთად ცენტრალური რადა შექმნა და სამხედრო საქმეთა გენერალური მდივანი გახდა. იქმნებოდა პირველი უკრაინული პოლკები, რამაც პეტლიურას პოპულარობა გაზარდა. სეჩელ მსროლელთა მეთაურმა ვეგენი კონვალეცმა შესთავაზა, ცენტრალური რადა დავშალოთ, გრუშევსკი და ვინიჩენკო თქვენდამი შურით აღითხნენ და ეცდებან, თავიდან მოგიშორონო.

მათ მართლაც დაშალეს პეტლიურას ნაწილები. მალე რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო. ამ დროს პეტლიურამ თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და ნიჭიერმა მეთაურმა.

პავლო სკოროპადსკის ძალიან აწუხებდა, რომ მასსა და რადას ლიდერებს შორის უფსკრული ღრმავებოდა და პეტლიურას კიევის მახლობლად, თავის რეზიდენციაში შეზღდა. პეტმანის არგუმენტმა, რომ ასე თუ ისე უკრაინა რუსეთის სისხლიან ოპერუტას გაემიჯნაო, პეტლიურაზე არავითარი ევექტი არ მოახდინა.

— რომელ უკრაინულ სახელმწიფოზე მელაპარა კებით?! მთავრობის არც ერთი წევრი უკრაინულად არ ლაპარაკობს! უშიშროებაში წამყვან პოსტებზე კვლავ მეფისდროინდელი უანდარმები დანიშნეს, არმიაში რუსი ოფიცერი ჭარბობენ! ესაა დამოუკიდებლობა?! — ბობოქორბდა პეტლიურა.

დიალოგი ვერ შედგა. მალე პეტმანმა პეტლიურას დაპატიმრება ბრძანა.

